ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
## შაბათი-კვირა

12 — 13 თებერვალი, 2011 | №36 (5417) | ფასი: 30 თეთრი

## სოფი მარსო — ფრანგი ანა კარენინა

გვ.9



გვ.16

## ასტროპროგნოზი

## TV პროგრამა

გვ.13



# სოსო შატბერაშვილმა სიდედრი ასპირანტობით მოხიბლა

გვ.5

ლეიბორისტების გენმდივანი ბაბუა გახდა

## ადამიანმა ეკლესიაში გააზრებულად უნდა ილოცოს

გვ.7



## დღეს ციხეში 40 კანონიერი ქურდი ზის

გვ.3

## პირჯვრის გადაწერის გამო ნაკრებიდან მრიცხავდნენ

გვ.6

დეპუტატმა რომან მარსაგიშვილმა ამერიკიდან ფსალმუნები მალულად შემოიტანა





## მეზობლის თივას ცეცხლი წაუკიდე

გვ.4

დეპუტატ რატი მაისურა ეს ღამის 12 საათზე უწევს ჭამა





## 3090
### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.


გვ.8

## დიასახლისად არ გადავიქცევი



ISSN 1987-9385











გვ.2

## კვირის ქრონიკა

# ლეიბორისტები „თელასის“ დასალაშქრავად ემზადებიან

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ კომუნალური გადასახადების ერთიანი ქვითრით გადახდა მოგვიწევს, ლეიბორისტებს მშვიდად აღარ დაუძინიათ. კვირა ისე არ გავა, მათ საპროტესტო განცხადება არ გააკეთონ.

ქართველი მშრომელები თავიანთი ლიდერის შალვა ნათელაშვილის მეთაურობით ხელისუფლებას ამ ბოროტი განზრახვის გაუქმებისკენ მოუწოდებენ.

მიღებული გადაწყვეტილებით კომუნალური გადასახადების ერთია-



ნი ქვითრით გადახდა შარშან 15 დეკემბრიდან უნდა დაწყებულიყო. იმ დროისთვის ეს საკითხი ვერ მოგვარდა. ამიტომ ამ სასიამოვნო სიახლის დანერგვა ერთი თვით გადასწიეს. ამის განხორციელება ვერ იანვარში მოხერხდა. ერმა იფიქრა, რომ ხელისუფლებამ ამ წესს კიდევ დიდხანს ვერ აამოქმედდა, მაგრამ, როგორც საქართველოს პრეზიდენტი იტყოდა, ნურას უკაცრავად.

ეს წესი უკვე ძალაში შევიდა და ერთიანი ქვითრები მოსახლეობას უკვე დაურიგეს. ლეიბორისტები ამის გამო ძალიან გაბრაზდნენ და, რადგან „თელასმა“ მათი მოთხოვნები არ გაითვალისწინა, საგანგებო აქციის მოწყობა გადაწყვიტეს.

აქციას ლეიბორისტები ამჯერად უკვე სააქციო საზოგადოება „თელასის“ შენობასთან გამართავენ. ისინი „თელასს“ მომავალ კვირაში, კერძოდ კი 15 თებერვალს მიადგებიან.

„თელასთან“ მისასვლელად ლეიბორისტები საგანგებოდ ემზადებიან. ამ დღეების განმავლობაში მათ თბილისის სხვადასხვა უბანში აქცია-ბრიფინგები გამართეს. მოსახლეობას აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდეს.

— მსგავსი კანონი მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის პარლამენტს არ მიუღია და ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლება და რუსული კომპანია „თელასი“ მოსახლეობის დაყაჩაღებას აპირებენ. მისი თქმით, 15 თებერვალისთვის დაგეგმილ აქციაში ხალხის დიდმა ნაწილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა იმისათვის, რომ ხელისუფლება იძულებული გახდეს, ხალხის დაყაჩაღებისაგან ხელი აიღოს, — აცხადებდნენ ლეიბორისტები.

შორენა მარსაგიშვილი

# უნივერსიტეტის პირველი კორპუსი იყიდება?

ხელისუფლება ყველაფერს ყიდის. გასაყიდი ობიექტების სია ჯერ კიდევ დიდია. ჩვენში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გაყიდვასაც აპირებს.

ამ კვირაში უნივერსიტეტის დაარსებიდან 93 წელი აღინიშნა. საინტერესოა, რომ ეს საგანგაშო ინფორმაცია სწორედ საზეიმო დღეებში გაჟღერდა. ოპოზიციამ, ბუნებრივია, შეშფოთება გამოხატა.

თავიანთი შეშფოთება საგანგებო ბრიფინგზე დააფიქსირეს ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრებმა. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ სახელით განცხადება თამარ ზაალიშვილმა გააკეთა.

— წლების განმავლობაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოსალოდნელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გაყიდვა. საუბარია იმ შენობის გაყიდვაზე, რომელიც ქართული ეროვნული



თვითშეგნების შენარჩუნებისა და გაძლიერების, თავისუფლებისა და სულიერების სიმბოლოა და რომლის ფორმა შეუძლებელია განხილულ იქნეს ამ შინაარსისგან განცალკევებით. მიგვაჩნია, რომ ამ ინფორმაციების გავრცელება ხელისუფლების პიარტექნოლოგიების გამოვლინებაა და ემსახურება საზოგადოებრივი აზრის მომზადება-შეგუებას, — მიიჩნევს თამარ ზაალიშვილი.

პარტიის მთავარი საბჭოს წევრი პარტიის სახელით ხელისუფლებისგან სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნას ითხოვს.

— მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას; ხელისუფლებას, რომლისათვისაც ძნელად გასაგებია ეროვნული ფასეულობების მნიშვნელობა, — განაცხადოს ოფიციალურად, რომ ხელშეუხებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი და მასთან დაკავშირებული ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო. გარდა ამისა, ჩვენ, დემოკრატიულ მოძრაობას, გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია, მიღებულ იქნეს ცალკე კანონი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, რომლითაც შეიქმნება უნივერსიტეტის არსებობისა და მისი ქონების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, განისაზღვრება უნივერსიტეტის საკუთრებაში, ხაზს ვუსვამთ, საკუთრებაში და არა სარგებლობასა და მფლობელობაში არსებული ქონება, მათ შორის, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, რომლის გასხვისებაც დაუშვებლად გამოცხადდება, — აღნიშნა დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრმა.

# საქართველოში სიკვდილის გამომწვევი ნარკოტიკი გავრცელდა

საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსის“ საქართველოს ნარკოსცენაზე ბოლო პერიოდში კუსტარულად დამზადებული ახალი სახის ნარკოტიკი, ე.წ. ნიანგი გამოჩნდა, რომელიც აფთიაქში ხელმისაწვდომი პრეპარატებისგან მზადდება. ამის შესახებ ფრანგული კულტურის ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრ „ახალი გზის“ თავმჯდომარე დალი უშარიძემ განაცხადა.

მისი თქმით, „ნიანგის“ დამზადებისას, პრეპარატებთან ერთად, ტოქსიკური ნარევი „კროტიც“ გამოიყენება, რომელიც საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში კანალიზაციის სისტემის გასაწმენდად მოიხმარება.

პრესკონფერენციას ასევე ესწრებოდნენ ექსპერტები, რომლებმაც განსაკუთრებულად საყურადღებოდ შეაფასეს ის ფაქტი, რომ „ნიანგის“ ხელმისაწვდომობის გამო მისი მომხმარებლები ძირითადად მოზარდები და ქალები არიან.

როგორც ნარკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე ხათუნა თოდაძემ განმარტა, ნარკოტიკს „ნიანგი“ იმის გამო ეწოდა, რომ მისი გამოყენების შემდეგ ადამიანის კანი წყლულდება და თანდათან ემსგავსება ნიანგის კანს. მისი კუსტარულად დამზადებული საშუალება უკვე დიდი ხანია გავრცელებულია რუსეთსა და უკრაინაში, საიდანაც მისი მოხმარება გავრცელდა აფხაზეთის ტერიტორიაზე და შემდეგ უკვე — დანარჩენ საქართველოში.

ოპიატების ჯგუფის სხვა ნარკოტიკებისგან განსხვავებით, „ნიანგი“ გაცილებით ადრე იწვევს მასზე დამოკიდებულებას და აჩქარებს ლეტალურ შედეგს. აქამდე გავრცელებული კუსტარული ამფეტამინებისგან — „ვინტისა“ და „ჯეფისგან“ განსხვავებით, „ნიანგი“ უფრო სწრაფად იწვევს ზედოზირებას და დოზის გადაჭარბების შემთხვევაში სიკვდილიანობის რისკი გაცილებით მაღალია. მეტიც, შესაძლოა, ყოველი ზედოზირება სიკვდილის დადგომით დასრულდეს.

ნარკოლოგიის ექსპერტ გელა ლეჟავას თქმით, აუცილებელია სახელმწიფომ კონტროლი დააწესოს სააფთიაქო ქსელში „ნიანგის“ დასამზადებლად საჭირო პრეპარატების გაყიდვაზე და ისინი მხოლოდ რეცეპტის წარდგენის შემთხვევაში გასცეს.

გარდა ამისა, პრესკონფერენციაზე საუბარი იყო პრეპარატ „ნალოქსინის“ სააფთიაქო ქსელში არარსებობაზე. ნალოქსინი არის პრეპარატი, რომელიც ზედოზირების შემთხვევაში სასიცოცხლოდ აუცილებელ მედიკამენტს წარმოადგენს და შესაძლოა დოზის გადაჭარბების შედეგად სიკვდილამდე მისული ავადმყოფის გადარჩენა მოახერხოს.

# „ქართული პარტია“ სააკაშვილის შესაცვლელად ემზადება

ყველა პარტია, რომელსაც არ ეზარება, გვპირდება, რომ ხელისუფლებას შეცვლის, თანაც ამტკიცებენ, რომ ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ მათ შეუძლიათ. ამ მხრივ მოკრძალებას არც ახლად შექმნილი პარტიები იჩენენ.

„ქართული პარტია“ გასული წლის ნოემბერში დაფუძნდა. პარტიის ერთი ლიდერი, ირაკლი ოქრუაშვილი, პარიზშია გამაგრებული. სწორედ პარიზიდან დაგვიბარა ოქრუაშვილმა, ამ ხელისუფლების შემცვლელი მხოლოდ მე ვარო. ოქრუაშვილმა კონკრეტული თარიღიც დაასახელა. მისი თქმით, „ქართული პარტია“ ხელისუფლებას გაზაფხულის ბოლოს შეცვლის.

ეს განცხადება არაერთხელ გაიმეორეს პარტიის სხვა ლიდერებმაც. ამ კვირაში ხელისუფლების შეცვლაზე რამდენჯერმე გააკეთა განცხადებები პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა, რომელიც, განცხა-



დებების გაკეთების პარალელურად, პარტიის რაიონული ორგანიზაციების დაფუძნებითაც იყო დაკავებული.

— ჩვენ ვასრულებთ ჩვენს დანაპირებს და ვაგრძელებთ ოფისების გახსნას. ვფიქრობ, სააკაშვილმა უნდა იგრძნოს, რა ხდება დღეს მსოფლიოში. ავტოკრატების ეპოქა მთავრდება. ამაზე მეტყველებს ის, რაც მოხდა შარშან ყირგიზეთში, ამაზე მეტყველებს ის, რაც ხდება დღეს ეგვიპტეში, ტუნისში და მე ვურჩევდი, არ მოაახლოოს ასეთივე დასასრული თავისი თავისთვის. ამიტომაც დაჰყვეს ხალხის ნებას, დროზე დათმოს თანამდებობა, რომელიც მოპარული აქვს ხალხის ხმების გაყალბებით. ეს იქნება ჩემი რჩევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუწევს ისეთივე გზით წასვლა, როგორითაც მოუწია ყირგიზეთიდან ბაკიევს, ან ტუნისის პრეზიდენტს, ან მოხდება იგივე, რაც ხდება დღეს ეგვიპტეში და მე ნამდვილად არ მინდა, რომ ეს მოხდეს საქართველოშიც, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

# ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების რიცხვში შეიყვანა

ტერორიზმთან ბრძოლის ისრაელის შტაბმა იმ ცხრა ქვეყნის სია გამოაქვეყნა, სადაც ქვეყნის მოქალაქეთა მოგზაურობა უსაფრთხო არ არის. მათ შორის აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა — აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო. მათთან ერთად საშიშ ქვეყნებად დასახელდა თურქეთი, ვენესუელა, ეგვიპტე, კოტ-დივუარი, მალი და მავრიტანია.

შტაბმა გაფრთხილება „ჰეზბოლას“ ერთ-ერთი ლიდერის ლიკვიდაციიდან მესამე წლისთავთან დაკავშირებით გააკეთა.

იმის მიუხედავად, რომ სომხეთი და საქართველო მუსლიმანური ქვეყნები არ არის, ორივეს ირანთან მჭიდრო კავშირები აქვს.

— საქართველომ ირანთან, ისრაელის ამ დაუნდობელ მტერთან, 2010 წლის ნოემბერში უვიზო რეჟიმი დააწესა. ირანი, ასევე, სომხეთის სერიოზული პარტნიორია რეგიონში და მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს მეზობელ აზერბაიჯანთან, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტი მუსლიმანია, — წერს ებრაული გამოცემა.

პოტენციურად სახიფათო ქვეყნების სიაში პირველად არ მოხვდა ტაჯიკეთი, არ არის დასახელებული აგრეთვე ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები.

# სააკაშვილი ავღანეთში დამატებით ძალებს აგზავნის



წინა კვირაში ჩვენი პრეზიდენტი მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით. მისმა გამოსვლამ მშობლიური ნაციონალები გადარია და გაახარა. ოპოზიცია, როგორც ყოველთვის, უკმაყოფილო დარჩა.

მათ ისიც კი დაიწუნეს, რომ ჩვენი ხელისუფლება ავღანეთში დამატებითი ძალების გაგზავნას აპირებს. ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო მისიაში ქართველი სამხედროები უკვე კარგა ხანია მონაწილეობენ, მიუნხენში კი სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართველი სამხედროების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

# ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციას აბიტურიენტები ინტერნეტით გაივლიან



2011 წლის ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტები რეგისტრაციის გავლას ინტერნეტით შეძლებენ. ახალი პროგრამის პრეზენტაცია პარასკევს თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში გაიმართა.

პრეზენტაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე ესწრებოდნენ.

მაია მიმინოშვილის თქმით, ინტერნეტით რეგისტაციის დანერგვა მნიშვნელოვანია იმით, რომ აბიტურიენტებს შეეძლებათ არაერთხელ შეცვალონ საკუთარი არჩევანი რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე.

— აბიტურიენტების ინტერნეტით რეგისტრაცია მაქსიმალურად შეამცირებს მექანიკური შეცდომების დაშვების რისკს, რაც აბიტურიენტებისთვის რეგისტრაციისას ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო, — განაცხადა მიმინოშვილმა და დასძინა, რომ ის აბიტურიენტი, რომელსაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება, რეგისტრაციას უწინდებურად გაივლის.

აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთ სკოლებშივე გაიარონ რეგისტრაცია. მასწავლებელთა სასერთიფიკატო გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტების საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაცია შესაძლებელია გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და ნებისმიერ სხვა ადგილზე, სადაც ინტერნეტი იქნება ხელმისაწვდომი.

— საქართველოსა და ეროვნული გამოცდების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა აბიტურიენტებს ინტერნეტის საშუალებით შეეძლებათ ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის გავლა. ეს არის ის სიახლე, რომელიც, პრაქტიკულად, მთლიანად გამორიცხავს ტექნიკური შეცდომების დაშვებას, — განაცხადა კოკა სეფერთელაძემ.

ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია 14 თებერვალს დაიწყება და 25 მარტამდე გაგრძელდება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# დღეს ციხეში 40 კანონიერი ქურდი ზის

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან

***— ბატონო გელა, საუბარია იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში ასზე მეტი ადვოკატი დააჭერინაო, თქვენ რას ფიქრობთ, რატომ ებრძვის ჩვენი პრეზიდენტი ადვოკატებს?***

— გამომდინარე იქიდან, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური ხაზი, მმართველობის ხაზი გადის ადამიანის უფლებების შელახვაზე, მასობრივად და სისტემატურად, ბუნებრივია, ის ებრძვის ყველა იმ ადამიანს, რომელიც ცდილობს დაიცვას ადამიანის უფლებები. ასეთ კატეგორიაში პირველ რიგში გადიან ადვოკატები და აქედან გამომდინარე სულ არ არის გასაკვირი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან პირველ დარტყმას სწორედ ადვოკატები იღებენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადვოკატი, რომელიც დაკავებულია, არის უკანონოდ და უსამართლოდ დაპატიმრებული, მაგრამ მათ შორის საკმაოდ ბევრია ისეთი, რომ ხელოვნურად შეთხზული, შეთითხნილი ბრალდებით არიან დაპატიმრებულნი. თუმცა ვიმეორებ, ისევე, როგორც ყველა კატეგორიის ადამიანებში, ყველა სოციალურ სფეროში და ყველა პროფესიის ადამიანებში, ადვოკატებშიც არიან ის ადამიანები, რომლებმაც მართლა დაარღვიეს კანონი და მართლაც იყვნენ კრიმინალური ქმედების ჩამდენი და მართლაც იმსახურებდნენ დაკავებას, მაგრამ საკმაოდ დიდი რაოდენობა, სულ ცოტა, რამდენიმე ათეული ადამიანი ნამდვილად იყო დაკავებული იმ მოტივით, რომ ერთი მხრივ, იცავდნენ იმ ადამიანებს, რომელთა უფლებები შელახა სააკაშვილმა და იცავდნენ ძალიან ზედმეტი თავგამოდებით და ეს აღკვეთა ხელისუფლებამ. მეორე მხრივ კი, დანარჩენებს აჩვენა მაგალითი, რომ თუ ასე გააგრძელებდნენ ზედმეტი თავგამოდებით ადამიანების დაცვას, მათ ასეთივე ბედი ელოდათ.

***— ითქვა ისიც, რომ ბევრი ადვოკატი ქურდულ სამყაროსთან მეგობრობდა და სააკაშვილმა მათზე შური იძიაო, თქვენ თუ ეთანხმებით ამ აზრს და თუ იცნობთ ისეთ ადვოკატებს, რომლებსაც მართლაც ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან?***

— იცით, როდესაც არის ურთიერთობა კლიენტსა და ადვოკატს შორის, ამ კლიენტებს შორის, რასაკვირველია, იქნებიან სრულიად შემთხვევით მოხვედრილი ადამიანებიც ციხეებში და იქნებიან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, რასაც ეძახიან ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს. მე სხვებზე არ ვიცი რა გითხრათ, მაგრამ ყოველთვის კლიენტსა და ადვოკატს შორის ყალიბდება ნდობის ატმოსფერო და თუ ამას მეგობრობას დაარქმევ, შეიძლება ესეც დაარქვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაცა კრიმინალური შეიძლება ჩაიდინოს ადვოკატმა. მაგალითად, თუ კანონიერი ქურდის უფლებები ისევე ირღვევა, როგორც რიგითი მოქალაქის უფლებები და რიგითი პატიმრის უფლებები, ადვოკატი ვალდებულია ისე დაიცვას, ისეთივე თავგამოდებით და ობიექტურობით დაიცვას ეს ადამიანი, როგორც იცავს რიგით ადამიანს. მეც მყოლია კანონიერი ქურდები და ახლაც მყავს დაცვის ქვეშ და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონია, მაგრამ ეს ურთიერთობა არ სცილდება, მაგალითად, მღვდლისა და მისი მრევლის ურთიერთობას, სადაც კანონიერი ქურდიც შეიძლება მივიდეს აღსარების ჩასაბარებლად და რიგითი ადამიანიც. ასევე იმ ექიმისა და პაციენტის უფლებას, სადაც პაციენტი შეიძლება იყოს კანონიერი ქურდიც და რიგითი ადამიანიც. ადვოკატის პროფესია რაღაცა ნიშნებით აერთიანებს ექიმისა და მღვდელის პროფესიას და, ბუნებრივია, მისი ურთიერთობა თავის კლიენტთან უნდა იყოს ურთიერთკეთილგანწყობილი, საქმიანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადვოკატები იმ გაგებით მეგობრობენ ქურდთან, რა გაგებითაც ეს ხელისუფლება აბრალებს, რომ თითქოს მათაც აქვთ ქურდული სამყაროსკენ მიდრეკილება. მე ასეთ ადვოკატს არ ვიცნობ.

***— ბევრი კანონიერი ქურდი ზის დღეს ციხეში?***

— დღეს ციხეში ზის დაახლოებით ორმოცამდე კანონიერი ქურდი. ისინი არიან ერთად განთავსებულნი მეშვიდე საპყრობილეში, ორი მათგანი განთავსებულია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რადგან მძიმედ არიან დაავადებულები. პერიოდულად შეიძლება, თითოოროლა მათგანი გადაიყვანონ მეშვიდედან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. ხოლო ის ორი ადამიანი, რომელთან შეხება მეც მომიწია და ვიცავდი მათ ინტერესებს, ნამდვილად ვიცი, რომ ინვალიდები არიან და ისინი სტრასბურგის სასამართლოს დავალებით სხედან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უკვე წლებია.



***— როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება მათდამი?***

— ხელისუფლების დამოკიდებულება მათდამი იყო განსაკუთრებით მკაცრი იმ პერიოდში, როდესაც ისინი ფაქტიურად სპობდნენ ქურდულ სამყაროს, ეს იყო 2005-2006 წლებში. ყველანაირ მეთოდს იყენებდნენ მათ წინააღმდეგ, ბევრი გარდაიცვალა კიდეც. იყო ფიზიკური ზემოქმედებები ინვალიდებზეც კი. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, მათ ეს სიტუაცია დაარეგულირეს იმ თვალსაზრისით, რომ ქურდულ სამყაროს გავლენა აღარა აქვს დანარჩენ პატიმრებზე და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, განსაკუთრებული იზოლაციის წესები აქვთ მათთვის დაწესებული იქ, სადაც ჰყავთ, ანუ მეშვიდე საპყრობილეში, რომელიც მდებარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეშ.

***— თქვენ დღესაც აქტიურ ადვოკატურ საქმიანობას ეწევით, ხომ ვერ გაიხსენებთ ყველაზე გახმაურებულ საქმეებს სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში?***

— ასეთი საქმე ბევრი იყო, დაწყებული იმ ხალხით, რომლებსაც ეძახიან გიორგაძის მომხრეებს, 12 ადამიანის საქმე, იქიდან მე 7 ადამიანს ვიცავდი სხვადასხვა ეტაპზე. სხვათა შორის, ოთხნახევარი წელი გადის უკვე და ორი მათგანი უკვე გათავისუფლდა და ექვსი თავისუფლდება იმის გამო, რომ მოიხადეს სრულად თავისი სასჯელი. დარჩება მხოლოდ ოთხი პატიმარი, რომლებსაც 7-8 წელი აქვთ შეფარდებული. ასევე იყო ირაკლი ბათიაშვილის საქმე, იყო გახმაურებული მუხროვანის ამბოხის საქმე, რომელშიც მე ვმონაწილეობდი. კანონიერი ქურდი ვახსენე და ასევე ვიცავდი მალხაზ ზედელაშვილს, რომელიც ინვალიდია და უკვე მეხუთე წელია იმყოფება სწორედ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ასევე ციხის ბუნტის გახმაურებული საქმე, სადაც 6 ადამიანი გაასამართლეს, იქ ვიცავდი მალხაზ ზედელაშვილს. გახმაურებულს და გაუხმაურებელს, მართალი გითხრა, ადვოკატისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ყველა საქმე, რიგითი ადამიანი იქნება ეს თუ ცნობილი ადამიანი, არის ძალიან მნიშვნელოვანი და საქმე არის საერთოდ უფრო მნიშვნელოვანი ადვოკატისთვის, ვიდრე ეს გახმაურება. ჩვენთვის მთავარი კი საქმეში გამარჯვებაა, თუმცა ადვოკატებისთვის ეს შეუძლებელია, დღევანდელი სასამართლოს და მართლმსაჯულების პირობებში, თუმცა ალბათ სასწაულია ის, რომ ეს კობა კობალაძის საქმე ყველას ახსოვს, მუხროვანის პროცესი, სადაც ის სასამართლო პროცესიდან პირდაპირ გაათავისუფლეს. მანამდე მე კიდევ მქონდა ორი გამამართლებელი განაჩენი ამ ხელისუფლების პირობებში. ეს იყო ლევან ორახელაშვილის, რომელიც გახმაურებული მკვლელობის საქმისთვის, როდესაც გიორგი შავგულიძის შვილიშვილი მოკლეს, ჯგუფურად ბევრი ადამიანი 10-12 კაცი დააკავეს. არასრულწლოვან ლევან ორახელაშვილს ბრალდებოდა ეს მკვლელობა და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს გამამართლებელი განაჩენით წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ და ასევე ზურა ბლუაშვილი, ახალგაზრდა, 19 წლის ბიჭი, რომელსაც ძარცვაში ედებოდა ბრალი, რომელიც 8 თვიანი პატიმრობის შემდეგ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული მართლმსაჯულების პირობებში ფაქტიურად შეუძლებელია გამამართლებელი განაჩენის დადგომა, ადვოკატები პატარ-პატარა წარმატებებს მაინც აღწევენ.

***— ბატონო გელა, რა მდგომარეობაა დღეს საპატიმროებში?***

— საკმაოდ მნიშვნელოვანია დღეს პენიტენციალურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. ძალიან ბევრი გვესმის ბოლო ხანებში, რომ იქ მდგომარეობა გართულდა, მაგრამ განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში მესმის პატიმრების მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტების შესახებ. პირდაპირი წამებები ხდება, ყოველგვარი მოტივაციის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმრავლესობა, ვინც მუშაობს დღეს საპატიმრო დაწესებულებებში და რომლებიც სხვისი დავალებით თუ თავიანთი სურვილით პირდაპირ სცემენ პატიმრებს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ისინი არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები, ვინაიდან პატიმარმა ერთი ხელი რომ გაარტყას ზედამხედველს, მას სასტიკი სასჯელი, მრავალწლიანი პატიმრობა და სიკვდილის პირამდე მიყვანა ელის, მაგრამ როდესაც ეს პატიმრები მიყავთ სიკვდილის პირამდე და ყოველდღე სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს, ეს ადამიანები უნდა ისხდნენ ციხეში და უნდა იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოუწევთ, ვინაიდან არ იმალება არაფერი. მე ამას ვლაპარაკობ იქიდან გამომდინარე, რომ ბუნებრივია, ადვოკატებს ერთმანეთთან გვაქვს ყოველდღიური კონტაქტი და თითქმის ძალიან ბევრი ადვოკატი ამას უზიარებს ერთმანეთს, რომ მის პატიმარს სცემეს და სასტიკად აწამეს. განსაკუთრებით ცემა-წამების ფაქტები მასობრივად გავრცელებულია წინასწარი დაკავების საკნებში, სადაც მიუსჯელი პატიმრები სხედან, თუმცა არც ზონებში აკლებენ. პატიმრები ყოველთვის არ საუბრობენ ამის შესახებ, რადგან ისინი დაუცველები არიან ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში და მეორეც, ამის დამტკიცება არის შეუძლებელი. მეთოდები აქვთ ისე დამუშავებული, რომ ცემის კვალი არ დარჩეს. სახეზე ხელს არ ახლებენ, მაგრამ ტანზე ისეთ დღეში აგდებენ ამ პატიმრებს, რომ სიკვდილის პირას არიან მიყვანილნი. არც მოხუცებს, არც ინვალიდებს და არავის ისინი არ ერიდებიან. ეს არის გამხეცებული ადამიანების მიერ პატიმრებზე მოპყრობა. როდესაც კალმახელიძე გამოდის, ეს ხელოვნური ქალი, გამოდის და ლაპარაკობს იმას, რომ თურმე რა მოხდა, პატიმრები სიბერით კვდებიან, ისე, როგორც გარეთ მყოფი ადამიანები, ეს არის ცინიზმი მისი მხრიდან.

***— ხელოვნურ ქალს რატომ უწოდებთ?***

— მე სიტყვა ხელოვნური ქალი შემთხვევით არ გამომიყენებია, ის თოჯინასავით გაკეთებული რომ არის ვიზუალურად, ერთი მხრივ ეს ვიგულისხმე და მეორე მხრივ, შინაგანად, როგორც ქალი არ უნდა კადრულობდეს იმას, რომ ასე ცინიკურად ილაპარაკოს პატიმრების იმ გაუსაძლის მდგომარეობაზე და ამიტომაც მე მას დავარქვი ხელოვნური ქალი. ის არ ჰგავს უჭკუო ადამიანს და შეუძლებელია მან არ იცოდეს ის ყველაფერი, რაც ციხეებში ტრიალებს. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ, მარეკ დუდაევს 23 წელი აქვს მისჯილი, სულ რამდენიმე ხნის წინ დამიკავშირდა და მთხოვა, რომ დამეცვა მისი უფლებები. უკვე 8 წელია ეს ადამიანი ციხეში ზის და მას არა აქვს პრეტენზია მუხლის შეცვლაზე, მას აქვს უბრალოდ სიცოცხლის შენარჩუნების პრობლემა, ვინაიდან ოპერაცია აქვს გასაკეთებელი ყელზე, ვარაუდობს, რომ კიბო აქვს, საშინელ დღეშია და მე ელემენტარულად ვერ მოვიპოვე კვირების მანძილზე მისი ავადმყოფობის ისტორია. ყოველგვარი კანონის დარღვევით უარს მეუბნება ადმინისტრაცია, რომ ავადმყოფობის ისტორია მომცეს. ადმინისტრაცია პატარა ბავშვივით იტყუება, რომ აი დღეს, აი ხვალ გავაგზავნით და დღემდე არაფერი შეცვლილა. მე ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ასეთ ცნობად ადვოკატს რომ ასე ექცევიან ყოველგვარი პატივისცემის გარეშე, ეს არის დამახასიათებელი იმისა, რომ მათ უბრალოდ ფეხებზე ჰკიდიათ ყველა და ყველაფერი, რადგან ზემოდან აქვთ ნაბრძანები, რომ დაარღვიონ კანონი. ადრე თუ გვიან, ეს ადამიანები აუცილებლად აგებენ პასუხს კანონის წინაშე, იმიტომ, რომ კანონს არღვევენ.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან" ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ
„გზაზე"-თან" ერთად შეიძინეთ
„ახალი ქართული პროზის" ახალი ტომი
7 თებერვლიდან გაიყიდება
მე-7 ტომი




ჟურნალი წიგნთან ერთად
3 ლარი ღირს

ნანა მიშელაშვილი

# „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი რატი მაისურა ე არ მალავს, რომ ქალიშვილს ანებივრებს და ყველგან თან დაჰყავს, დაწყებული ელიავას ბაზრობიდან, რესტორნებით დამთავრებული.

დეპუტატი ამბობს, რომ არ უყვარს არაფრის შეგროვება, მათ შორის, არც ფულის, ხარჯავს იმდენს, რამდენიც აქვს.

რამდენია მისი რეკორდული წონა, უყვარს თუ არა სამზარეულოში საქმიანობა და რის მომზადება შეუძლია?

**„ახალი თაობა“ რატი მაისურაძეს ესაუბრა.**

***— საიდან ხართ მაისურაძეები?***

— რაჭველები ვართ, კერძოდ, ონის რაიონის სოფელ ცხმორიდან.

***— რაჭული სიდინჯე გაქვთ?***

— სხვათა შორის, რაჭული სიდინჯით არ გამოვირჩევი.

***— მალე ფიცხდებით?***

— არა, არა, არც მალე არ ვბრაზდები. ალბათ, დედის მეგრულმა მხარემ გააწონასწორა.

***— მაისურაძეები საქართველოში მრავალრიცხოვანი გვარი ხართ. მე მგონი, პირველი თუ მეორე ადგილი გიკავიათ...***

— ძალიან ბევრნი ვართ. იმდენად ბევრნი, რომ როდესაც ვიგებ, ვიღაც მაისურაძეა, მიხარია, მაგრამ, ვიცი, რომ 80% უშუალოდ ჩემი ნათესავი არ არის. მამაჩემისგან ვიცი, მაგრამ არ ვიცი, რამდენად რეალურია, ჩემი შტო მაისურაძეებში ერთადერთია, რომელსაც მეფემ აზნაურობა უბოძა. ეს ბავშვობაში მახარებდა. კიდევ ის მახარებდა, რომ ბაბუაჩემი მეფის არმიის პოლკოვნიკი იყო. იმ დროს პოლკოვნიკი რომ იყო, გეამაყება, ვინმე წარმატებული როდესაც გყავს, გამორჩეული. ეს ბევრს ნიშნავს. ქართველებმა ვიცით წინაპრების დაფასება. სხვათა შორის, ჩვენ ხომ ჩვენი წინაპრებით ვამაყობთ. იაპონიაში, იცით, როგორი წესია? რაც უფრო შენ ხარ კარგი, მით უფრო საამაყო ხდება შენი წინაპარი.

***— საგვარეულო შეკრება მაისურაძეებს გაქვთ?***

— მე არ დავსწრებივარ, შესაძლოა, იყო.

***— საგვარეულო გერბი გაქვთ?***

— არა.

***— რაჭველებისთვის დამახასიათებელი რა თვისება გაქვთ?***

— სამზარეულოში ტრიალი მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებულ საჭმელებს არ ვაკეთებ, მიყვარს რაღაცის კეთება, თავად პროცესი მიყვარს.

***— რისი გაკეთება შეგიძლიათ?***

— ბევრის არაფრის, უფრო არაფრისგან რაღაცის გაკეთება შემიძლია...

***— ცომეული გიყვართ?***

— ძალიან მიყვარს, ეს მეტყობა კიდეც. სხვათა შორის, ჩემი რეკორდი არის 112 კილოგრამი.

***— ახლა რამდენს იწონით?***

— ახლა რეკორდამდე 2 კილოგრამი მიკლია, 110 კილო ვარ.

***— სიმაღლით რამდენი ხართ?***

— მეტრი და 91 სმ.

***— ახლა დიეტაზე ხართ?***

— არა. გაზაფხული როდესაც მოვა, შემიძლია სალათებზე გადავიდე. მაგარი მჭამელი არა ვარ, ვჭამ ერთხელ და ბევრს. ალბათ, ეს უფრო მასუქებს.

***— ღამის 12 საათზე შეგიძლიათ მიირთვათ?***

— შემიძლია კი არა, თითქმის მაგ დროს გეახლებით. ჩემი ცხოვრების ტემპი ისეთია, რომ როდესაც სახლში მიდიხარ, არა გშია, ღამის 12 საათზე აღმოაჩენ, რომ გშია.

***— ბევრ ყავას მიირთმევთ?***

— ვისთვის ბევრია და ვისთვის — არა, მაგრამ მე მინიმუმ 5-6 ფინჯან ხსნად ყავას ვსვამ.

***— რაც შეეხება თქვენს ოჯახს, რამდენი წლის შვილი გყავთ?***

— მყავს ერთი ქალიშვილი — ანანო, რომელიც სამი წლის არის.

***— სამი წლის ქალიშვილმა იცის, მამა სად მუშაობს?***

— იცის, რომ პარლამენტში მუშაობს.

***— ანანოს გაგებით, პარლამენტი რას ნიშნავს?***

— სხვათა შორის, ამ თემაზე არ გვილაპარაკია. უფროსი თაობისგან მსმენია, რომ ეს თაობა სხვანაირია. ახლა ჩემს შვილს როდესაც ვუყურებ, ვფიქრობ, რომ ეს თაობა მართლა განსხვავებულია. ანანო ძალიან დაქოქილია.

***— სახლიდან როდესაც გამოდიხართ, რის მიტანას გთხოვთ ანანო?***

— უფრო თოჯინებისა და ტკბილეულის მიტანას მთხოვს. ამ ეტაპზე, საბედნიეროდ, ამით შემოვიფარგლებით.

***— ბევრი თოჯინა აქვს?***

— ჩვენთან ყველა თოჯინა გაფუჭებულია და ასე გდია.



# მეზობლის თივას ცეცხლი წავუკიდე

## დეპუტატ რატი მაისურა ეს ღამის 12 საათზე უწევს ჭამა

***— რატომ? ანანოს თოჯინების გაფუჭება უყვარს?***

— ასე გამოდის. ახლა ერთი სათამაშო ფუმფულა ძაღლი ჰყავს, რომელსაც თოკი აქვს მობმული და დაატარებს. ძაღლები ძალიან უყვარს, მაგრამ ჩემი მეუღლე ძაღლს არ მოგვაყვანინებს ამ ეტაპზე სახლში. ანანოს კიდევ ერთი უცნაურობა ის აქვს, რომ გამოგონილი მეგობრები ჰყავს. ისეთი ბავშვი არ არის, რომ სხვა ბავშვებთან კონტაქტი უჭირდეს ან ჩაკეტილი იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოგონილი მეგობრები მაინც ჰყავს. იმდენად ვიცი მისი გამოგონილი მეგობრები, რომ ილუზია მექმნება, თითქოს მათ ვიცნობ. ამ 4 მეგობრის სახელიც ვიცი: ონა, რონდიკო, დინკა და ტინკა. ონა ცოტა უზრდელია, იმიტომ რომ, თუ რაიმე ცუდს ეუბნება, ეს ონა ეუბნება.

***— ამ მეგობრებს უბრაზდება თუ მშვიდად ესაუბრება?***

— არ უბრაზდება, მშვიდად ესაუბრება. ანანოს კომპიუტერთან დაჯდომა თუ უნდა და ამ დროს მე ვზივარ, მეუბნება: მამა, ონა დავსვათ კომპიუტერთან. ყველაზე აქტიური ონაა.

***— მამა უფრო ათამამებს 3 წლის ქალიშვილს თუ დედა?***

— მამა უფრო ათამამებს, თუმცა, მამის უფრო ეშინია, ჩემს მიმიკებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საერთოდ, ოჯახში ავკრძალე, რომ მამით შეაშინონ.

***— მამით აშინებდნენ?***

— ერთი-ორჯერ შევამჩნიე, რომ ეუბნებოდნენ, მამას ვეტყვი და... ერთი მხრივ, ეს ჩემი ოჯახის წევრებს საქმეს უიოლებს ანანასთან ურთიერთობაში, მაგრამ, მეორე მხრივ, რატომ უნდა ეშინოდეს მამის? საერთოდ, ანანოს ათასში ერთხელ ვაძლევ შენიშვნას.

***— ძირითადად რის გამო აძლევთ ანანოს შენიშვნას?***

— ძალიან იშვითად ვაძლევ ანანოს შენიშვნას. თუ რაღაცას მივუთითებ, არასდროს უსამართლოდ არ ვაძლევ შენიშვნა.

***— ანანო თუ გთხოვთ, რომ პარლამენტში წაიყვანოთ?***

— კი, სხვათა შორის, მთხოვდა და ვაპირებ, რომ ერთხელ სამსახურში მოვიყვანო. ძალიან თბილი და აქტიური ბავშვია. ჩემს შვილს ასეთი რამ დაებედა: აბსოლუტურად ყველგან დაგვყავს, თვეების იყო, ელიავას ბაზრობიდან დაწყებული, რესტორნებით დამთავრებული, ყველგან დაგვყავდა. ეს ბავშვი არ ქმნის პრობლემებს, ნებისმიერთან შედის კონტაქტში. ახლახან რესტორანში ვიყავი, იქ ინდოელები იყვნენ, ჩემს შვილს არ ჰყავდა შავკანიანი ადამიანი ნანახი. ინდოელი ანანოს მოეფერა, ანანოს იმდენად შეეშინდა, რომ ტირილი დაიწყო. იმდენად უხერხულად ვიგრძენი თავი, რომ აღარ ვიცოდი, ბავშვი დამეწყნარებინა თუ ინდოელისთვის მომეხადა ბოდიში.

***— მამასთან ერთად გასეირნებას ანანო ხშირად ითხოვს?***

— ზამთარში ასეთ სმიამოვნებას მოკლებულია, გაზაფხულზე ბებიასთან და ბაბუასთან მიმყავს, კერძო სახლი გვაქვს. იქ ძაღლი გვყავს და ანანო კარგად ერთობა.

***— ძაღლის გარდა, ანანო რომელიმე შინაური ცხოველის ან ფრინველის ყიდვას თუ გთხოვთ?***

— თუთიყუში ჰყავს, რომელსაც კოსტა ჰქვია.

***— კოსტა ანანომ დაარქვა?***

— თავიდან კესო დაარქვა, მაგრამ მამალი აღმოჩნდა და შემდეგ კოსტა დაარქვა. არც ისე პატარა მოვიყვანეთ, მაგრამ ენა მაინც აიდგა. ახლა თავის სახელს იძახის, ამბობს, რომ ვუყვარვართ.

***— პირადად თქვენ ბავშვობაში შინაური ცხოველები გიყვარდათ?***

— არ არსებობს სულიერი, რომელიც მეზიზღება. სიყვარულით ძალიან ბევრი ცხოველი მიყვარს, ძაღლებზე ვგიჟდები. შეიძლება რომელიმე ცხოველის მეშინოდეს, მაგრამ ზიზღით არ მეზიზღება.

***— ბავშვობაში რაიმეს კოლექცია გქონიათ?***

— არა, ბავშვობიდან არ მიყვარს რაღაცის შეგროვება, ამაში ფულიც შედის.

***— მხარჯველი ხართ?***

— ალბათ, უფრო მხარჯველი ვარ. იმას არ ვამბობ, რომ მთელ ფულს რესტორნებში ვხარჯავ, თუ რაიმე მინდა, იმას ვყიდულობ. ძალიან მომწონს, როდესაც ვიღაცას რაიმეს ვჩუქნი.

***— თქვენ რომ გჩუქნიან, ეს უფრო მოგწონთ, თუ თქვენ როდესაც ჩუქნით?***

— კარგია, როდესაც სხვას ჩუქნი. ძალიან გახარებს, როდესაც სხვას შენი ნაჩუქარი ნივთი მოსწონს.

***— ბოლოს საჩუქარი ვის აჩუქეთ?***

— მეუღლეს.

***— რა აჩუქეთ?***

— ჩანთა მოსწონდა, რომელიც ერთად შევიძინეთ.

***— ბოლო საჩუქარი რა მიიღეთ, გახსოვთ?***

— არ მახოვს.

***— ბავშვობისას რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— ჰუმანიტარული საგნები უფრო მიყვარდა. მე არ გავეკუთვნები იმ ბავშვების ჯგუფს, რომელთაც სკოლაში სიარული ძალიან უყვარდათ. მიუხედავად იმისა, რომ ნორმალურად ვსწავლობდი, არც ინსტიტუტის სიყვარული გამომყვა, არც სკოლისა და არც ჯარის.

***— სკოლაში ორიანი რომელ საგანში მიგიღიათ?***

— თითქმის ყველა საგანში მიმიღია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორიანი გამომყოლია. ჩვეულებრივი ამბავია, სკოლაში ორიანი ყველა ბავშვს მიუღია.

***— რომელი საგანი არ გიყვარდათ, რაც ახლაც მწარედ გახსოვთ?***

— მათემატიკა. ამას პედაგოგს ვაბრალებ. პირველად მათემატიკის სწავლა როდესაც დავიწყე, იმ დონეზე მომეწონა, რომ ათასი კითხვა დავუსვი მასწავლებელს, ბოლოს მიკივლა: შემეშვი, თავი დამანებეო. ჩემი ჭკუით „დავსაჯე“ და საერთოდ აღარ ვისწავლე მისი საგანი. როდესაც აღარ სწავლობ, ვეღარ იგებ და საგანი აღარ გიყვარს. ძალიან მიყვარდა ქართული.

***— ქართულში „შპარგალკა“ გამოგიყენებიათ?***

— ყველა საგანში გამომიყენებია „შპარგალკა“, სადაც შეიძლებოდა, რომ გამომეყენებინა. საერთოდ, „შპარგალკას“ თუ განაზოგადებ, ცხოვრებაში თუ დაგჭირდა „შპარგალკის“ გამოყენება, უნდა გამოიყენო.

***— პარლამენტის სხდომაზე „შპარგაპლკა“ გამოგიყენებიათ?***

— არ დამჭირვებია, თორემ დიდი სიამოვნებით გამოვიყენებდი. „შპარგალკას“ თუ იმას ვუწოდებთ, რომ სანამ მიკროფონთან მიხვალ, გარკვეული თეზისები გაქვს ჩამოწერილი, მაშინ მისი გამოყენება რატომ არ შეიძლება? ეს ჩვეულებრივი ამბავია.

***— ბავშვობაში მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— კი. ეჭვი მეპარება, რომ ისეთი ბავშვი იყოს, რომელიც მასწავლებელს ერთხელ მაინც კლასიდან არ გაუგდია. ერთხელ მაინც რაღაცას დააშავებ, ან, ბოლოს და ბოლოს, მასწავლებელი იქნება გაბრაზებული და იმაზე მეტს ვერ მოითმენს, რასაც სხვა დროს მოითმენდა და კლასიდან გაგაგდებს, მით უმეტეს ჩემი თაობის ბავშვებისთვის კლასიდან გაგდება ჩვეულებრივი ამბავი იყო.

***— ამის გამო სახლში არ გსჯიდნენ?***

— არა, ამის გამო არ დავსჯილვარ. ერთხელ მათემატიკაში საკონტროლოში ორიანი მივიღე და ამის გამო დამსაჯეს.

***— როგორ?***

— განსაკუთრებული დასჯის მეთოდი არ გამოუყენებიათ, მამაჩემმა შენიშვნა მომცა.

***— ცოცხი არ მოგხვედრიათ ბეჭებში?***

— არასოდეს ცოცხი არ მომხვედრია, თუმცა, ბარი მომხვდა კოჭში.

***— ვინ მოგარტყათ ბარი?***

— მამაჩემს მიწის ნაკვეთი ჰქონდა, სადაც მეზობლის თივის ზვინი იდგა. ერთხელ ამ ბაღში ავედით მე და მამაჩემი, ჩემთვის ვთამაშობდი, თივის ზვინს ცეცხლს მოვუკიდებდი და ჩავაქრობდი. მამაჩემი მაფრთხილებდა, რომ ზვინს მოვშორებოდი, არ დამეწვა. მაინც არ მოვეშვი და ზვინი აბურბურდა. რაც ხელში მოხვდა, მამაჩემმა ის მესროლა. ბარი კოჭში მომხვდა. მეტკინა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ დავკოჭლდი. მამაჩემი იმ დროს ლამის მოკვდა.

***— რამდენი წლის იყავით?***

— 12 წლის.

***— ბავშვობაში თავი გაგიტეხიათ?***

— ერთხელ მეგობართან ერთად ვცუღლუტობდი და შემთხვევით ასფალტზე თავი დავარტყი. სერიოზული დაზიანება არ მიმიღია.

***— კბილის ექიმთან მისვლის გეშინიათ?***

— არა. ექიმთან როდესაც მივდივარ, ე.ი. ძალიან რაღაც მტკივა. ისე, ექიმთან არ მივდივარ.

***— სკოლაში რომ არ წასულიყავით, ავადმყოფობას ხშირად იმიზეზებდით?***

— არა, ასეთ რამეს არ ვიგონებდი. ვიცოდი, რომ ჩემს მშობლებთან ეს „გაყიდვადი“ არ იყო. საწუწუნოდ საქმე არ მქონდა. დედაჩემი უმაღლესში ასწავლებდა, ამავე დროს, ფსიქოლოგია. დედაჩემისთვის მარტივი გასაგები იყო ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სკოლაში წასვლა არ მინდოდა.

***— დილით გაღვიძება გიჭირდათ?***

— დილით გაღვიძება მიჭირდა, როდესაც ბავშვი ვიყავი, მოზარდობის პერიოდში, ჯარში და ახლაც. ძილისგუდა არა ვარ, ძალიან გვიან ვიძინებ. როდესაც 3-4 საათზე დაიძინებ, 9 საათზე გაღვიძება გიჭირს.

***— კლასელებთან ხშირად ჩხუბობდით?***

— არა.

***— სანადიროდ თუ დადიხართ?***

— ვერ დავდივარ, თუმცა, დიდი მონადირე არც არასოდეს ვყოფილვარ. ალბათ, უფრო სროლა მიყვარს, ვიდრე მოკვლა. მიზანში გარტყმა მიყვარს და არა ცხოველის ან ფრინველის მოკვლა.

***— იარაღი მოგწონთ?***

— კი. ნებისმიერი იარაღი მომწონს, ცივი, ცხელი...

***— იარაღს თან ატარებთ?***

— არა.

***— დეპუტატებს იარაღის ტარების უფლება ხომ გაქვთ?***

— დეპუტატებს იმდენი რამის უფლება გვაქვს... მე იარაღს არ ვატარებ.

***— ახლა რა მანქანა გყავთ?***

— ჯიპი, მონტერო სპორტი მყავს. ტალახში, თოვლში თუ მოვხვდი, თავს კარგად ვართმევ. თბილისში მომრავლდა მანქანები, რომლებსაც „ჯიპის“ ფორმა აქვთ. ბევრს წვავს, მაგრამ სედანზე ოდნავ მეტი შეუძლია. უხეში მანქანები მიყვარს, რომლებიც უფრო მეტ საქმეს აკეთებენ. უხეში, პრაქტიკული მანქანები მიყვარს.

***— ჯიპის შენახვა ძვირი გიჯდებათ?***

— არ მიჯდება ძვირი.

***— საბურავის გამოცვლა შეგიძლიათ?***

— კი. არიან ადამიანები, რომლებიც, მანქანაში რაღაც რომ გაუფუჭდებათ, თავად აკეთებენ, მე ეს არ შემიძლია, მაგრამ საბურავის გამოცვლა შემიძლია.

***— ქალი საჭესთან მოგწონთ?***

— ერთადერთი, სადაც ქალი არ მომწონს, ეს არის საჭე.

***— მეუღლეს მანქანა არა ჰყავს?***

— არა. მეუღლემ ჯერ მართვის მოწმობა უნდა აიღოს, მერე ალბათ ჩემს მანქანაზე უნდა ისწავლოს...

***— ქალი საჭესთან რატომ არ მოგწონთ?***

— ჩემს მეუღლეს ყოველთვის ეგონა, რომ ვჭარბებდი, როდესაც ვამბობდი, რომ ქალი საჭესთან არ მომწონს. ახლა, როდესაც მეუღლესთან ერთად ვარ და მძღოლი წესებს არღვევს, ჩემი მეუღლეც კი ხვდება, რომ საჭესთან ქალია. როდესაც ვუახლოვდებით, ვხედავთ, რომ საჭესთან მართლა ქალი ზის. ქალები რაღაც მომენტში ზედმეტად ფრთხილები არიან, რაღაც მომენტში საერთოდ კარგავენ სიფრთხილეს. ჩემს მანქანას სამჯერ დაარტყეს, სამჯერვე მანქანიდან ვიყავი გადასული, სამჯერვე ქალმა დამარტყა.

# სოსო შატბერაშვილმა სიდედრი ასპირანტობით მოხიბლა

შორენა კოწოწაშვილი

## ლეიბორისტების გენმდივანი ბაბუა გახდა

ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა, ბევრმა არ იცის, რომ ის მთლად სასურველი სასიძო არ ყოფილა, მაგრამ მომავალი სიდედრი ასპირანტობით მოხიბლა. ნათელაშვილის თანაგუნდელი ამბობს, რომ მთვრალი არასოდეს უნახავთ და არ უყვარს იარაღი.

— ჩემს სასიდედროს ძალიან უნდოდა, მათი სიძე ექიმი ყოფილიყო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. სიდედრს ვეუბნებოდი, ექიმი სიძე თუ გინდოდა, რატომ არ დამიწუნე-მეთქი. სამაგიეროდ, ასპირანტი იყავიო. მაშინ ჩემმა ასპირანტობამ გაჭრა. დღეს მხოლოდ ბიზნესმენი სასიძოა მოდაში. ჩემი სისუსტე მანქანებია. ბევრი ფული რომ მქონდეს, ალბათ, რამდენიმე მანქანას ვიყიდდი. რაც შეეხება ქალებს, ქალები ყოველთვის მიყვარდა და დიდ პატივს ვცემ, — აცხადებს სოსო შატბერაშვილი და არ მალავს, რომ სუფრაზე კარგი თამადაა და არაერთი კურიოზიც შემთხვევია.





რა არის შატბერაშვილის სისუსტე, რა ასაკში შეუყვარდა და რა ბიზნესები აქვს, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სოსო შატბერაშვილთან.

***— ბატონო სოსო, როგორ მოხვედით პოლიტიკაში, რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება?***

— საქმე ის არის, რომ მე პოლიტიკაში ყოველთვის ვიყავი, იმიტომ რომ პოლიტიკა იყო ჩემი მოწოდება. თუმცა, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, ანუ სკოლისა და სტუდენტობის ასაკის, მაშინ იყო ერთადერთი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ამ პარტიაში შესვლა ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. ასე რომ, პოლიტიკა ყოველთვის ჩემი მოწოდება იყო. რა თქმა უნდა, კომკავშირელი ვიყავი. მაგრამ კომკავშირში მე-8 კლასში მიმიღეს, როგორც ფრიადოსანი. კომკავშირის წევრი მაშინ, პრაქტიკულად, ყველა ახალგაზრდა იყო, მაგრამ აქტივისტი არასოდეს ვყოფილვარ. სანამ საბჭოთა კავშირი იყო, მე ოფიციალურად პოლიტიკაში არ ვყოფილვარ. როგორც კი ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მაშინვე ჩავერთე ამ მოძრაობაში. თუმცა, მაშინაც არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. სამოქალაქო ომის შემდგომ, რამდენიმე ხანში ჩამოყალიბდა ლეიბორისტული პარტია, რომლის დამფუძნებელ შალვა ნათელაშვილს ბავშვობიდან ვიცნობდი და ოჯახებით ვმეგობრობდით. ვიცოდით, რომ შალვა ნათელაშვილი იყო არა მარტო კარგი იურისტი, არამედ საკმად განათლებული და ჭკვიანი პოლიტიკოსიც. როდესაც ნათელაშვილმა პარტია ჩამოაყალიბა, მცირე ფიქრის შემდეგ ლეიბორისტულ პარტიაში გავწევრიანდი. შეიძლება ითქვას, უცველი ლეიბორისტი ვარ.

***— ნათელაშვილის ფაქტორის გამო გახდით ლეიბორისტი?***

— არა მხოლოდ ნათელაშვილის. საერთოდ, სოციალისტური იდეები ჩემთვის ყოველთვის მიმზიდველი იყო, ოღონდ არა — საბჭოთა სოციალიზმის, არამედ ევროპული სოციალიზმისა. სტუდენტობის დროს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ვიყავი და კარგად ვერკვეოდი მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში. ჩემთვის ძალიან მისაღები იყო მემარცხენე იდეები. ლეიბორისტულ პარტიაში ჩემი გაწევრიანება განაპირობა როგორც ნათელაშვილთან მრავალწლიანმა მეგობრობამ, ასევე მემარცხენე-ცენტრისტული იდეების მხარდაჭერამ. ამ პარტიიდან გავხდი ჯერ თბილისის საკრებულოს დეპუტატი, შემდეგ — საქართველოს პარლამენტის წევრი, თუმცა, ბოიკოტის რეჟიმში გახლავართ.

***— პარლამენტის დეპუტატობა უკეთესია, სადაც არ დადიხართ თუ საკრებულოს დეპუტატობა ჯობდა?***

— რა თქმა უნდა, საკრებულოსი, იმიტომ რომ, როდესაც რეალურად მონაწილეობ საკრებულოს სხდომებში და რეალურად გაქვს საკრებულოს ტრიბუნა გახსნილი, ეს, ბუნებრივია, ჯობია ბოიკოტირების რეჟიმს. ჩვენი პარტიის ლიდერები სწორედ საკრებულოში ყოფნის დროს გავხდით საზოგადოებისთვის მისაღები ჩვენი საქმიანობით.

***— კარგად კი იხსენებთ საკრებულოს დეპუტატობას, თუმცა მახსოვს, ლეიბორისტებს ნაციონალების მუშტებიც მოგხვდათ ერთ-ერთი სხდომის დროს...***

— სხვათა შორის, ეს ნაციონალებმა კი არ გააკეთეს, ეს გააკეთეს ნაციონალების ზონდერ-ბრიგადებმა. ჩვენ მოგვისიეს 120-კაციანი ზონდერ-ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმერეთის დღევანდელი გუბერნატორი, ლაშა მაქაცარია. მას ხელმძღვანელობდა კიდევ საქართველოს სროლის ფედერაციის დღევანდელი თავმჯდომარე გია უდესიანი. ეს ძირითადად გიგი უგულავას ზონდერ-ბრიგადა იყო. როდესაც ნაციონალებმა ნახეს, რომ ჩვენთან არგუმენტები არ ჭრიდა, რადგან ხალხის მხარდაჭერით გაცილებით მაღლა ვიდექით, ნაცმოძრაობის წევრებთან შედარებით, ასევე საკრებულოს ტრიბუნიდან ძალიან მწვავედ ვაკრიტიკებდით მიხეილ სააკაშვილს საკრებულოში ყოფნის დროსაც და გაპრეზიდენტების შემდგომაც. ერთადერთი, რაც მათ დარჩათ, იყო წიხლი. მე ვერ ვიტყოდი სიტყვა „მუშტს". ეს იყო წიხლი. წიხლების სროლა დაიწყეს. თუმცა, წიხლები რამ იცის, კარგად ვიცით. ეს იცის ვირმა და ვირისგან წიხლი საწყენი არ არის. ასე რომ, ჩვენ მათგან ეს წიხლი არ გვწყენია.

***— კი ამბობთ, რომ ნაციონალების წიხლები არ გწყენიათ, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რა შედეგებიც ბოლო რამდენიმე არჩევნებზე აჩვენეთ, შეიძლება ითქვას, ბოლომდე ჩაგწიხლეს ნაციონალებმა. ასე არ არის?***

— ჩვენი ჩაწიხვლა მათ ნამდვილად ვერ შეძლეს, მაგრამ ხალხის ჩაწიხვლა სახეზე გვაქვს. როდესაც სახელმწიფო გადატრიალება ხდებოდა 2003 წელს, ვიცოდით, რომ ქართველ ხალხს სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები ჩაწიხლავდნენ. ჩაწიხვლაა, აბა, რა არის, როდესაც საქართველოს ერთი მესამედი დღეს უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის ცნობილი. იქ ქართველებს აღარ აჭაჭანებენ. არამცთუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, არამედ კოდორის ხეობაშიც კი, ანუ ისტორიულ დალის ხეობაში აღარ არიან ქართველები. რა არის ეს, თუ არა ჩაწიხვლა? ჩაწიხვლაა აბა, რა, როცა ფასებმა რევოლუციის შემდეგ 60%-ით იმატა; რომ სიკვდილიანობა გაიზარდა. უცხოეთში წამსვლელთა რიცხვმა კატასტროფულად იმატა. მარტო შარშან 200 000 კაცი გავიდა საქართველოდან სამუშაოს საძებნელად. ჩაწიხვლაა, აბა, რა, მშობიარეებს უფასოდ მშობიარობის უფლება რომ არ აქვთ და ერთიანი ქვითარი რომ შემოიღეს?! ასე რომ, ჩვენ კი არ ჩაგვწიხლა ნაციონალურმა მოძრაობამ, ჩვენ ხალხთან მართლები ვართ, რადგან რევოლუციის დროს უარი ვთქვით პოსტებზე, კაბინეტებზე, პერსონალურ მანქანებსა და უამრავ ფულად შემოთავაზებაზე. დიდ ფულს გვთავაზობდნენ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი რამისთვის: გავსულიყავით რევოლუციის დროს და სააკაშვილის გვერდით დავმდგარიყავით. სააკაშვილი რევოლუციის შემდეგაც მოვიდა ჩვენთან პარტიის ოფისში თემურ ალასანიასთან ერთად და შემოგვთავაზა ხელისუფლების შუაზე გაყოფა, ანუ პირველი პირები უნდა ყოფილიყვნენ ნაციონალები, ხოლო მეორე პირები — ლეიბორისტები ყველა დონეზე, იქნებოდა ეს პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ვიცე-პრემიერები, ვიცე-სპიკერები, ვიცე-გუბერნატორები და ა.შ. ჩვენ ყოველივე ამაზე, ჩვენს პირად პოლიტიკურ ამბიციაზე უარი ვთქვით და ქართველ ხალხს ვაჩვენეთ ჩვენი მაგალითით, როგორ შეუძლია პოლიტიკოსს, გაწიროს საკუთარი პოლიტიკური კარიერა იმისათვის, რომ თქვას სიმართლე. სწორედ ამ სიმართლის გამოა, რომ სააკაშვილი დღეს ხელისუფლებას აღარ გვაკარებს თუნდაც იმ პროცენტით, რა რეიტინგიც გვაქვს. 25%-ზე დაბლა ბოლო 3-4 წელია ლეიბორისტული პარტიის რეიტინგი არ ჩამოსულა, მაგრამ ადგილობრივ არჩევნებშიც და საპარლამენტოშიც არ გვაცილებენ 6-7%-ს. ასე რომ, ეს არის არა ჩვენი რეიტინგის არქონა, არამედ — ტოტალური გაყალბების შედეგი, იმის შედეგი, რომ ქვეყანაში გაქანებული ავტოკრატია და დიქტატურაა.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ ფიქრობს საზოგადოების ნაწილი, რომ ლეიბორისტები მშიშრები ხართ?***

— მე ნამდვილად არ გამიგია, რომ მშიშრებს გვიწოდებდნენ, თუმცა, ის კი მსმენია, თითქოს კორუფციაში ვართ გარეული.

***— არც ის გაგიგიათ, რომ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი გუგავას ძმა მერაბიშვილის ხალხთან არის შეკრული და აქედან იმართება ლეიბორისტული პარტია?***

— კი, ასეთი განცხადებები გამიგია. ასეთი განცხადებები განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გააქტიურდა. ეს მხოლოდ ჩვენს მაღალ რეიტინგს უკავშირდება. ხან იმას ავრცელებენ, რომ რუსეთთან ვართ შეკრული, ხან — იგორ გიორგაძესთან. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ტრუკია, ხელისუფლების მიერ განხორციელებული. ამაში საკვირველს ვერაფერს ვხედავთ.

***— არც ის არის სწორი, რომ თქვენ გარკვეული ბიზნესი გაგაჩნიათ იგივე აფთიაქების სახით?***

— საქმე ისაა, რომ ჩემი მშობლები ფარმაცევტები ანუ პროვიზორები გახლდნენ. მათ ჰქონდათ სააფთიაქო ბიზნესი. კომუნისტების დროს ორივენი აფთიაქების მმართველები იყვნენ. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, მათ ჰქონდათ სააფთიაქო ბიზნესი. თუ ისინი ჩემი მშობლების ბიზნესს გულისხმობენ, კი, ეს მართალია. მათ ჰქონდათ ეს ბიზნესი.

***— ბატონო სოსო, თქვენ თქვით, ხუთოსანი ბიჭი ვიყავიო. დისკომფორტს ხომ არ გიქმნიდათ ეს, გარკვეულწილად, თუნდაც იმის გამო, რომ მოწესრიგებულებსა და ხუთოსნებს ძირითადად „დედიკოს ბიჭებს" უწოდებდნენ?***

— ვერ გეტყვით, რომ მოწესრიგებული ვიყავი, იმიტომ რომ ძალიან ვცელქობდი. ამის გამო სამი სკოლა და 7 კლასი მაქვს გამოცვლილი. მასწავლებლებს კლასიდან კლასში გადავყავდი ცელქობის გამო. რაც შეეხება სწავლას, პედსაბჭოზე ყოველთვის ასე მომიხსენიებდნენ: ძალიან ცელქი ბავშვია, მაგრამ ძალიან კარგად სწავლობსო. ასე რომ, ეს არანაირ დისკომფორტს არ მიქმნიდა. არც „ძველი ბიჭი" ვყოფილვარ და არც „დედიკოსი". ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი ვიყავი, რომელმაც ქუჩაც იცოდა და სწავლაც. სხვათა შორის, ძალიან ბევრს ვკითხულობდი, განსაკუთრებით კი — დასავლეთ ევროპულ ლიტერატურას. დაინტერესებული ვიყავი გერმანული კლასიკური ფილოსოფიით. ასე რომ, ვინც მიცნობს, ჩემს გაუნათლებლობასთან დაკავშირებით პრეტენზია არავის აქვს. პოლიტიკოსებზე ამბობენ ხოლმე, გაუნათლებელიაო. ასეთი რამ ჩემზე არასდროს უთქვამთ.

***— სკოლის პერიოდი ჯობდა თუ სტუდენტობის?***

— რა თქმა უნდა, სკოლა ჯობდა, თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვობა ყველაზე ლამაზი პერიოდია, თან თბილისის ყველაზე გამორჩეულ სკოლებში ვსწავლობდი. პირველად სკოლაში პირველ საშუალო სკოლაში შემიყვანეს, რადგან ჩემი ოჯახი რუსთაველზე ცხოვრობდა. არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი მასწავლებელი, ნინო ალავერდაშვილი. შემდეგ საბურთალოზე გადავედით, რადგან ოჯახმა ბინა პავლოვზე, ახლანდელ ალ. ყაზბეგის ქუჩაზე მიიღო, სადაც დღემდე ვცხოვრობ. შემდეგ სწავლა გავაგრძელე 62-ე სკოლაში და იქ დავამთავრე კიდეც. ძალიან კარგი კლასელები მყავდა. დღეს ისინი საზოგადოების ძალიან კარგი წევრები არიან. რაც შეეხება სტუდენტობას, მე პროფესიით ინჟინერი ვარ. დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, შემდეგ სწავლა გავაგრძელე ასპირანტურაში. დაცული მაქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. გახლავართ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 5 წლის წინ ამირჩიეს აკადემიკოსად. ვარ ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. ამავე დროს, მაქვს მრავალი გამოგონება. გამოქვეყნებული მაქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ვარ მრავალი სამეცნიერო სიმპოზიუმისა და კონფერენციის მონაწილე. ასე რომ, სანამ პოლიტიკაში მოვიდოდი, მეცნიერი გახლდით. დღესაც არ მაქვს დავიწყებული სამეცნიერო მუშაობა.

***— სამეცნიერო მუშაობაში პოლიტიკური აქტივობა ხელს არ გიშლით?***

— კი, ძალიან მიშლის. პოლიტიკას უამრავი დრო სჭირდება. მეტსაც გეტყვით, ოჯახური ცხოვრების გვერდზე გადაწევაც მიწევს ხოლმე. მრავალ ადამიანურ სიამოვნებაზე უარის თქმა გიწევს, როდესაც პოლიტიკოსი ხარ.

***— შალვა ნათელაშვილს უფრო მეტ დროს უთმობთ, ვიდრე მეუღლესა და ოჯახს?***

— მე არ მითქვამს, რომ ნათელაშვილს ვუთმობ დროს. პოლიტიკას ვუთმობ დიდ დროს.

***— ბატონო სოსო, პიროვნული თვისებებიდან რას გამოყოფდით? მერყევი ხართ?***

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს, მაგრამ ჩემზე დღემდე არავის უთქვამს, რომ მერყევი ვარ. პირიქით, ძალიან მიზანმიმართული პიროვნება ვარ და ყოველთვის ასეთი ვიყავი.

***— რას ნანობს სოსო შატბერაშვილი?***

— ძალიან მინდოდა ინგლისური ენის მაღალ დონეზე შესწავლა. ინგლისურს ბავშვობიდან ვსწავლობდი, მაგრამ, ისეთ დონეს ვერ მივაღწიე, სხაპასხუპით რომ ვლაპარაკობდე. ამის გაკეთება ახლაც შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა ინგლისში დაახლოებით 6 თვით გამგზავრება, რისი საშუალება და დროც, სამწუხაროდ, არ მაქვს.

***— სიყვარულით იქორწინეთ? როდის გეწვიათ პირველი სიყვარული?***

— პირველი სიყვარული მქონდა საბავშვი ბაღის ასაკში. არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი შეყვარებული საბავშვო ბაღიდან. სხვათა შორის, შეყვარებულებს ძალიან ხშირად ვიცვლიდი. სკოლის პერიოდშიც სხვადასხვა ეტაპზე სამი სხვადასხვა გოგო მიყვარდა. ერთ დეტალს გაგიმხელთ. არ ვიცი, რატომ დაემთხვა, რომ ყველა, ვინც მაშინ მიყვარდა, ინგლისურის ძალიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტია დღეს. მათ გვარებს, სამწუხაროდ, ვერ დაგისახელებთ. დღეს ყველას ოჯახი აქვს, ერთი მათგანი კი საქვეყნოდ ცნობილი ინგლისურის სპეციალისტია.

***— ორმხრივი სიყვარული იყო ეს თუ იწუნებდნენ მომავალ ლეიბორისტს?***

— დაწუნებით არავინ მიწუნებდა. ჩემზე უკეთესი ბიჭები სწავლობდნენ ჩემს კლასში. ასე რომ, დაწუნება — არა, მაგრამ კონკურენცია მართლაც ძალიან დიდი იყო.

***— რაც შეეხება მეუღლეს, ვინ არის თქვენი ოჯახის დიასახლისი?***

— როგორც გითხარით, გული უფრო უცხო ენების მომავალი სპეციალისტებისკენ მიწევდა, მაგრამ დედაჩემს ყოველთვის ექიმი რძალი უნდოდა. პროფესიის მიხედვით მეუღლის არჩევის სურვილი არასოდეს მქონია, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ჩემი მეუღლე მართლაც ექიმი გახდა. ის შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრში მუშაობს, გახლავთ ჰეპატოლოგი, ღვიძლის სპეციალისტი. 25 წელი შეგვისრულდა, რაც ერთად ვართ.

***— გარიგებით იქორწინეთ თუ სიყვარულით?***

— არა, სად გარიგება და სად სოსო შატბერაშვილი?! ეს სიტყვა ყოველთვის მძულდა და ახლაც მძულს. რა თქმა უნდა, სიყვარულით. მყავს ორი შვილი. ბიჭი იურისტია, გოგო — მომავალი ექიმი. გასულ წელს გავხდი ბაბუა. ჩემი გოგონა გათხოვდა და გოგონას ბაბუა გამხადა.

# პირჯვრის გადაწერის გამო ნაკრებიდან მრიცხავდნენ

თეა მარხვაი ე

**მასთან ჭიდაობა ყველას უჭირდა. ტიტულოვანი მოწინააღმდეგეები ბევრჯერ ჰყავს გამწარებული. მიუნხენის ოლიმპიადაზე მისი წასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სპორტულმა იღბალმა ზურგი აქცია და ოლიმპიადაზე სხვა წაიყვანეს. რომან მარსაგიშვილი მაშინ ნაკრების მიღმა ევროპის ჩემპიონატის ფინალის წაგების გამო აღმოჩნდა.**

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილი მან პირჯვრის გადაწერის გამო კინაღამ დაკარგა, პირჯვარი კი საერთაშორისო ტურნირზე, მთელი პოლიტბიუროს წინ გადაიწერა.

რა მოხდა მიუნხენის ოლიმპიადის წინ, ვინ უსაყვედურა პირჯვრის გადაწერის გამო, როგორ ჩამოიტანა ამერიკიდან ძველი აღთქმა, რატომ არის ჭიდაობა უფრო ადვილი, ვიდრე პოლიტიკური ბრძოლა, ამის შესახებ დეპუტატი რომან მარსაგიშვილი „ახალ თაობას" ესაუბრება.

**რომან მარსაგიშვილი:**

— ყაზბეგში დავიბადე და იქ დავიწყე სკოლაში სიარული. ძალიან პატარა ვიყავი, როცა ჩვენს სოფელს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს — ზვავი ჩამოწვა, ჩვენ გვერდით მცხოვრები 7 ადამიანი დაიღუპა. ჩვენ გადავრჩით, მაგრამ სოფლიდან წამოსვლა მოგვიხდა. ჯერ გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში ვსწავლობდი, მერე ჩემს დედის ძმასთან გადავედი საცხოვრებლად. ჭიდაობაზე მოგვიანებით დავიწყე სიარული. თავიდან სპორტულ ტანვარჯიშზე შევედი. სხვათა შორის, სწორედ ამ სახეობამ განაპირობა, რომ ჭიდაობაში გარკვეული წარმატებები მოვიპოვე. ჭიდაობა თავიდან მხოლოდ გატაცება იყო, შემდეგ ვალდებულება გახდა, რადგანაც შედეგებზე ხარ დამოკიდებული. ამხელა შრომა გაქვს ჩადებული და შედეგი აუცილებლად უნდა მოიპოვო. შრომამ ტყუილად არ ჩამიარა. საქართველოს პირველობაზე დაუმარცხებელი ვიყავი. ათი წლის განმავლობაში ჩემს წონაში პირველი ნომერი ვიყავი. ახლა საქართველოს ჩემპიონი რომ გახდები, მსოფლიოზე, ევროპაზე და ოლიმპიადაზე ავტომატურად შეგიძლია წასვლა. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო. საერთაშორისო ტურნირზე რომ გეასპარეზა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში უნდა მოხვედრილიყავი, ამ ნაკრებში მოხვედრა კი დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

***— ასეთი ძნელი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მოგება?***

— კონკურენცია, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი იყო. ნაკლები კონკურენცია არც საქართველოს ჩემპიონატზე ყოფილა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში რომ მოხვედრილიყავი, მხოლოდ მოგება არ იყო საკმარისი. იყო ასეთი მოჭიდავე, ტარიელ ალიბეგაშვილი. მან სამჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, მაგრამ მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ ერთხელ წაიყვანეს.

***— ასე ქართველები რომ იყავით, იმიტომ ხდებოდა?***

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. საბჭოთა კავშირში ქართველ სპორტსმენებს დიდად არ გვწყალობდნენ. ქართველებს ძლიერი ჭიდაობის სკოლა გვქონდა, მაგრამ არანაკლები ძლიერი სკოლები ჰქონდათ ჩრდილოკავკასიელებს, უზბეკებს, რუსებს თუ უკრაინელებს. ახლა მსოფლიოსა და ოლიმპიადაზე წასვლა გამარტივებულია, მაშინ კი... ეს დრო რომ ყოფილიყო, იმ ათი წლის განმავლობაში ორ ოლიმპიადას და 7-8 მსოფლიო ჩემპიონატს მაინც ვიჭიდავებდი. ამაზე ძალიან მწყდება გული.

***— თუმცა, როგორც ამბობენ, თქვენს წონაში დაუმარცხებელი არც ერთი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი არ დაგიტოვებიათ.***

— დამარცხებული ბევრი მყავს. იყო ასეთი ბულგარელი ავილოვი, მერე თურქეთის მთავარი მწვრთნელი გახდა. დამარცხებული მყავს დანკოლოვი. მოგებული მაქვს იაშურ ალიევისთვის. დავამარცხე მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი უელსი, მოგებული მაქვს ირანელი მანსოორ ბარზიგარისთვისაც. მათ მართლა კარგად ვამწარებდი.

***— საბჭოთა კავშირის ნაკრებში რამდენჯერ მოხვდით?***

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში 4 წელი ვიჭიდავე. 1972 წელი ოლიმპიური თამაშების წელი იყო და ყველა შეჯიბრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ იმ წელს დამემართა ფილტვების ანთება. ევროპის ჩემპიონატზე რომ წავედი, ახალი გამოჯანმრთელებული ვიყავი. საკმაოდ სერიოზული მოწინააღმდეგეები მყავდნენ. ყველას სერიოზული მეტოქე დავამარცხე. ფინალში გერმანელთან წავაგე. არადა, მასთან არ უნდა წამეგო. როგორც უკვე გითხარით, ფილტვების ანთება მქონდა. სველი პლევრიტით ორი თვე ვიწექი. ამან გარკვეული გავლენა იქონია ჩემს მომზადებაზე. ფინალში „დიხანია" აღარ მეყო და შეხვედრა წავაგე. ამის გამო ოლიმპიადაზე არ წამიყვანეს. არადა, თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მიუნხენში მე უნდა წავსულიყავი. ოლიმპიური ნაკრების ფორმაც მომცეს, პიჯაკიდან დაწყებული, ჰალსტუხითა და ცხვირსახოცით დამთავრებული. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩემ მაგივრად სხვა დააყენეს ნაკრებში.

***— ვინ დააყენეს?***

— წარმოშობით ოსი იყო, გუსოვი, უკრაინის სახელით გამოდიოდა. იმ დროს ის 31 წლის იყო, მე კი 22 წლის ვიყავი.

***— მასზე რატომ შეაჩერეს არჩევანი?***

— გადამწყვეტი როლი, ალბათ, იმან ითამაშა, რომ ის არმიელთა სპორტულ კლუბს წარმოადგენდა. ასეთი გეგმა იყო, რომ ოლიმპიადაზე 4-5 კაცი უნდა წასულიყო არმიელთა სპორტული კლუბიდან. ამიტომაც წაიყვანეს მიუნხენის ოლიმპიადაზე გუსოვი.

***— კარგად გამოვიდა?***

— არა.

***— როგორც ამბობენ, სპორტში, ისევე, როგორც საერთოდ ცხოვრებაში იღბალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვენ სპორტში ხშირად გღალატობდათ იღბალი?***

— შეიძლება ითქვას, რომ ბევრჯერ არ გამიმართლა. ამის ნათელი მაგალითია ის, რაც მიუნხენის ოლიმპიადის წინ მოხდა, ცხოვრება საერთოდ ასეა, ადამიანი რაღაცა ხაზზე რომ დაჯდება ამ ხაზით წავა ბოლომდე.

***— თქვენ ხალიჩაზე მოცეკვავეს გეძახდნენ. ვინ და სად შეგარქვათ ეს სახელი?***

— ეს ამერიკაში მოხდა. სადაც მსოფლიო თასზე გამოვდიოდი. მე ძალისმიერი არ ვიყავი. არ მქონდა კუნთი. მე სისწრაფესა და ცრუ მოძრაობებზე ვიყავი ორიენტირებული. ტექნიკური ვიყავი და ორივე მხარეს კარგად ვაკეთებდი ყველაფერს. ამიტომ იყო ძნელი ჩემთან ჭიდაობა. წეღან იღბალზე ვსაუბრობდით და ალბათ ამის ბრალიც იყო, რომ 1973 წელს ხერხემალზე შემექმნა სერიოზული პრობლემა. დისკოზი დამემართა. 7 თვე გაუნძრევლად ვიწექი. ურიკით დამაგორებდნენ. ამის



**დეპუტატმა რომან მარსაგიშვილმა ამერიკიდან ფსალმუნები მალულად შემოიტანა**

გამო ჩემი სანაკრებო პერსპექტივა მოკვდა. თუმცა ჭიდაობისთვის თავი არ დამინებებია.

***— შედეგები როგორი გქონდათ?***

— საკმაოდ სერიოზული ტურნირები მოვიგე იაპონიაში, ამერიკაში და გერმანიაში, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ჩემი სანაკრებო პერსპექტივა მოკვდა.

***— ყველაზე მეტად რომელმა წაგებამ დაგწყვიტათ გული?***

— 1972 წელს ევროპა რომ წავაგე. ის წაგება რომ არა, მიუნხენის ოლიმპიადაზე წავიდოდი. წაგება ძნელი გადასატანია, მაგრამ, როცა სპორტში ხარ, უნდა შეეგუო, რომ ხანდახან წააგებ. ჩვენ, მოჭიდავეები, წაგება-მოგების ყოველთვის ერთმანეთის მეგობრებად ვრჩებოდით.

***— მეგობრებად ვრჩებოდითო, ამბობთ. ძნელი არ იყო ამის გაკეთება?***

— ჩვენ, მოჭიდავეებს, განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. თავად სპორტის სახეობაა ასეთი ვაჟკაცური. ახლოს ხარ ადამიანთან. თუ მოწინააღმდეგემ მოგიგო, პირველი შენ ულოცავ. ეს რაინდობაა. ავიღოთ თუნდაც კრივი, მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ურტყამენ და მერე ულოცავენ. მოგება ორივეს გვინდა, მაგრამ ხან ერთი მოიგებს, ხან მეორე. ჩვენ ცხოვრებაშიც მეგობრებად ვრჩებოდით. ხერხემალზე პრობლემები რომ მქონდა, ყაზბეგში ვიწექი. იყო ასეთი ვლადიკავკაზელი მოჭიდავე ხასან ზანგიევი. ჩემი ამბავი რომ გაიგო, სულ მაკითხავდა. ხშირად მოდიოდა ჩემთან ელბრუს კოროევი. სამწუხაროდ, არც ერთი დღეს ცოცხალი აღარ არის. ძალიან კარგი მეგობრობა მქონდა ირანელ მანსოორ ბარზიგართან. მან ერთხელ ადიდასის კაპიშონიანი მოსაცმელი მაჩუქა. მაშინ საბჭოთა სპორტსმენებს შალის სპორტულები გვეცვა ხოლმე. ადიდასის სპორტული მოსაცმელი იმათ ფონზე ძალიან მაგარი იყო.

***— ამ ირანელთან შეხვედრის წინ გადაიწერეთ პირჯვარი?***

— კი. მაშინ 21 წლის ვიყავი. თბილისში საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა. ერთ-ერთი შეხვედრა ბარზიგართან მქონდა. შეხვედრის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მან დაიწყო თავის რჯულზე ლოცვა. მე რითი ვიყავი იმაზე ნაკლები, მოვტრიალდი და მეც დავიწყე ლოცვა. ვახსენე ჩემი მთა-ბარის სალოცავები, ვთხოვე, ხელი მოემართათ და პირჯვარი გადავიწერე. მთელი პოლიტბიურო მჟავანაძის მეთაურობით იქ იყო. პირჯვარი რომ გადავიწერე, ისინი არც კი დამინახავს.

***— ოთარ გაბელიას მიერ „ლუჟნიკებში" გადაწერილ პირჯვარს დიდი რეზონანსი მოჰყვა. შენიშვნის გარეშე ალბათ არც თქვენ დაგტოვებდნენ.***

— რა თქმა უნდა, თანაც, მე ოთარზე ბევრად ადრე გადავიწერე საჯაროდ პირჯვარი. კარგად მახსოვს, ცეკას ერთ-ერთი წარმომადგენელი როგორ შემოვარდა და დამიწყო საყვედურები, ეს რა გააკეთეო.

***— ვინ იყო ეს ადამიანი?***

— მოდით, მის სახელსა და გვარს ნუ დავასახელებთ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ის საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანია. ერთი ამბავი ამიტეხა პირჯვრის გადაწერის გამო.

***— პრობლემები შეგექმნათ რამე?***

— ამ ტურნირის შემდეგ ამერიკაში ტარდებოდა მსოფლიო თასი. ნაკრებში აღარ მიპირებდნენ შეყვანას.

***— პირჯვრის გადაწერის გამო გიპირებდნენ ნაკრებიდან გარიცხვას?***

— ასე გამოდის. ორი კვირის განმავლობაში მთელი ამბები მიდიოდა. მერე მაინც შემიყვანეს ნაკრებში. ამაში დიდი როლი გიორგი სიხარულიძემ ითამაშა. მან მითხრა, თუ ლოცვა გინდა, ილოცე, ოღონდ, ჩუმად ილოცე, გულშიო.

***— ამის შემდეგ კიდევ თუ გადაიწერეთ პირჯვარი დარბაზში?***

— გადავიწერე. სხვათა შორის, იმავე ტურნირის ფინალში გადავიწერე პირჯვარი. ეს ძალიან სწრაფად გავაკეთე. ვითომ მოსაცმელს ვისწორებდი.

***— თქვენი პირჯვარი პოლიტბიუროს წევრებს აღარ შეუმჩნევიათ?***

— როგორ არა, მაგრამ ვითომ ვერ დაინახეს. ამ ტურნირის შემდეგ ამერიკაში წავედი. იქ ჩიკაგოში ტარდებოდა საერთაშორისო ტურნირი. ამერიკელმა მოჭიდავემ ძალიან ძვირფასი წიგნი მაჩუქა. ეს იყო 1816 წელს გამოცემული იერუსალიმის ფსალმუნები და ძველი აღთქმა. საჩუქარმა ძალიან გამახარა, იმავე დროს, საგონებელშიც ჩავვარდი.

***— საგონებელში რატომ ჩავარდით?***

— ამ წიგნის წამოღება ძალიან რთული იქნებოდა. რელიგიური ლიტერატურის შემოტანის გამო შეიძლებოდა სერიოზული პრობლემები შემქმნოდა, რომ ეპოვათ, წიგნსაც ჩამომართმევდნენ. არადა, არ მინდოდა ამ ძვირფასი წიგნის იქ დატოვება. საგულდაგულოდ დავმალე და ისე შემოვიტანე. საზღვარზე ეს წიგნი ვერავინ მიპოვა. სამწუხაროდ, მაინც დამეკარგა.

***— როგორ დაგეკარგათ?***

— წიგნი ჩემს ახლობელს დემურ ქავთარაშვილს ვათხოვე და იმან დამიკარგა. მაშინ ეკლესიური არ ვიყავი, მაგრამ მწამდა.

***— ეკლესიური არ ვიყავიო, ამბობთ, თუმცა, მთელი პოლიტბიუროს წინ პირჯვრის გადაწერას ბევრი ეკლესიური ვერ გაბედავდა.***

— ღმერთი ყოველთვის მწამდა. უბრალოდ, მინდა, რომ ეს რწმენა უფრო განვამტკიცო და ეკლესიურად ვიცხოვრო.

***— როცა აქტიურ სპორტს თავი დაანებეთ, სამწვრთნელო კარიერაზე არ გიფიქრიათ?***

— ჭიდაობას თავი რომ დავანებე, თავიდან ვიყავი საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი, თან შინაგან საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი. მწვრთნელობას თავი მალევე დავანებე. ყაზბეგის გამგებელი რომ ვიყავი, რაღაცნაირად ჩავერთე ისევ ამ საქმეში. ბავშვებისთვის ჩავიყვანე მწვრთნელი, ლადო ვალიშვილი. წესიერი ადამიანი იყო. სავარჯიშო ლეიბი არ იყო ყაზბეგში. ვლადიკავკაზში ჩავედი, სოსლან ანდიევმა მაშოვნინა. ვალიშვილი კარგი მწვრთნელი გამოდგა. შედეგიც მალევე ვნახეთ. მას შემდეგ შედეგი აღარ ყოფილა. ახლა მინდა, რომ ამ საქმეში ისევ ჩავერთო რაღაცნაირად.

***— თქვენ სოსლან ანდიევი ახსენეთ, რომელიც თქვენი მეგობარია. ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა თქვენს მეგობრობას ჩრდილი ხომ არ მიაყენა?***

— საბედნიეროდ — არა. მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ შორის, ოსი მოჭიდავეებიც. მათთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. სოსლან ანდიევი ჩემი მეგობარია. მას ძალიან უყვარს ქართველები. სხვათა შორის, როცა პირველი კონფლიქტი მოხდა, მოჭიდავეებმა ვცადეთ სიტუაციის მოგვარება. ამ საქმეს გურამ საღარაძე თავობდა. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერეოდით. გვინდოდა, ეს კონფლიქტი სახალხო დიპლომატიით მოგვეგვარებინა, დაპირისპირებული მხარეები შეგვერიგებინა. სამწუხაროდ, მაშინ ეს არ გამოვიდა. ის კონფლიქტი, რაც ჩვენ შორის მოხდა, ძალიან ცუდია. იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება. ჩვენ ისევ გამოვნახავთ საერთო ენას. მოჭიდავეებს ეს ურთიერთობები არც არასდროს გაგვიწყვეტია.

***— მოდით, ცოტა თქვენს ამჟამინდელ საქმიანობაზეც ვისაუბრობთ. იმისათვის, რომ დეპუტატი გამხდარიყავით, მესამედ იყარეთ კენჭი. როგორ ფიქრობთ, ისიც იღბლის ბრალი იყო, რომ ორჯერ მოგებული არჩევნები წაგებად ჩაგითვალეს?***

— მოდით, იმ წაგებას იღბალს ნუ დავაბრალებთ, რადგანაც არჩევნები, რომელიც 1999 და 2003 წელს ჩატარდა, სამართლიანი ვერ იქნებოდა. მაჟორიტარული არჩევნები მესამე ცდაზე, 2008 წელს მოვიგე.

***— სამჯერ მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა. რა იყო ეს, სპორტული ინტერესი გქონდათ, რომ არჩევნები მოგეგოთ?***

— შეიძლება, სპორტული ინტერესიც იყო, მაგრამ მთავარი მაინც სხვა მომენტია. მე მაჟორიტარობა იმიტომ მინდოდა, რომ ჩემი ყაზბეგისთვის რამე გამეკეთებინა. ახლა მთის კანონზე ვმუშაობთ. ამ კანონის მიღება მაღალმთიანი რეგიონებისა და ჩემი ყაზბეგისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ხალხი ნამდვილად ამოისუნთქავს. ჩემი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს საქმე გამოვიდეს. ისე, პოლიტიკა ადვილი ნამდვილად არ არის.

***— ისე, სად უფრო ადვილია ბრძოლა, ხალიჩაზე თუ პოლიტიკაში?***

— რა თქმა უნდა, ხალიჩაზე. ჭიდაობა ბრძოლის ალალი სახეობაა. ერთი-ერთზე ჭიდაობ, პოლიტიკაში კი ვერ გაიგებ, ვინ გიპირისპირდება. როცა ჭიდაობ, იცი, რა უნდა გააკეთო, პოლიტიკაში კი ამ მხრივ უფრო მეტი გაურკვევლობაა. ჭიდაობა მაინც სულ სხვა იყო.

***— თქვენი შვილი თქვენს გზას რომ არ გაჰყვა, გული ხომ არ გწყდებათ?***

— არა, გული არ მწყდება. ისე კი, გამიხარდებოდა, ჭიდაობას რომ გაჰყოლოდა. მივიყვანე კიდევაც ჭიდაობაზე, მაგრამ ინტერესი არ გამოავლინა. მეც აღარ დამიძალებია. რაც მეტი ბავშვი დაკავდება სპორტით, მით უკეთესი იქნება ყველასთვის. ამ მხრივ ჭიდაობა მაინც განსაკუთრებულია. სპორტის ეს სახეობა რაღაცნაირად აკეთილშობილებს ადამიანს. ჩემმა შვილმა რამდენიმე დღის წინ გაიცნო ზესტაფონში დავით ხახალეიშვილი. კაცი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია. ჩემი ირაკლი გადარეული იყო, ასეთი მორიდებული ადამიანი არ მინახავსო. სპორტი ადამიანის სხეულთან ერთად სულსაც აწრთობს. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ბავშვები სპორტზე ატარონ.

# ადამიანმა ეკლესიაში გააზრებულად უნდა ილოცოს

ნათია ხურცილავა

**15 თებერვალს მართლმადიდებელი სამყარო მირქმის დღესასწაულს აღნიშნავს. რა არის მირქმა? როგორ უნდა აღვნიშნოთ და რამდენად ვაგრძელებთ იმ ძველ ტრადიციას, რაც სახელის დარქმევის ქრისტიანული წესია?**

ამ კითხვებით მივმართეთ სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურს, მამა გიორგი სანამაშვილს.

— ტაძარში დგომა და წირვა-ლოცვაში მონაწილეობა ყველაზე დიდი მსხვერპლია, რომელიც შეუძლია ადამიანმა გაიღოს. ამ მსხვერპლს ყველაზე მეტად შეიწირავს უფალი, — ამბობს მამა გიორგი.

***— მამა გიორგი, მირქმის დღესასწაულის ისტორიაზე მოგვიყევით, რომელიც 15 თებერვალს აღინიშნება...***

— ძველი აღთქმის ეპოქა დამძიმებული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც იყო იმ დროს. ისინი ელოდნენ მესიას, მის მოსვლას წუთისოფელში. მესიანისტური მოლოდინი გამძაფრებული იყო. სხვადასხვა წარმოდგენა ჰქონდათ მაცხოვრის შობასთან დაკავშირებით. ზოგს ეგონა, რომ მაცხოვარი აუცილებლად უნდა შობილიყო სამეფო პალატებში. მაცხოვარი იქნებოდა ის პიროვნება, რომელიც ისრაელიანებს რომაელების ტყვეობიდან გამოიხსნიდა. ებრაელები განიცდიდნენ რომაელების ბატონობას პირველ საუკუნეში. როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვაგვარი მოლოდინი იყო მაცხოვრის შობასთან დაკავშირებით, მაგრამ, სრული ჭეშმარიტებით ვიცით, რომ მაცხოვარი იშვა ბეთლემში, ბაგაში, გამოქვაბულში ქალწულ მარიამისგან. ბუნებრივია, მაცხოვრის მოლოდინი აისახებოდა მოსეს რჯულში, თორაში, რაც არის ებრაელების სჯული. საერო ხელისუფლებაც, ფარისეველთა პარტია, სადუკეველები, ისინი იყვნენ პიროვნებები, რომლებსაც სულის უკვდავების არ სჯეროდათ. ფარისევლების პარტია ეკლესიის სახელით გამოდიოდა და ხალხში უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. როდესაც გადაწყდა, რომ ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა თარგმნილიყო ძველი აღთქმის საღვთო წიგნები, 70 მთარგმნელი გაემგზავრა სათარგმნად. ესაიას წინასწარმეტყველების წიგნი შეხვდა სვიმეონ მთარგმნელს. სვიმეონი თარგმნის პროცესში მიადგა ადგილს, სადაც ამოიკითხა: „აჰა, ქალწული მიუდგეს შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემანუელ, რომელ არს კაცთა გამომხსნელი“. სვიმეონი ამ ფრაზის წაკითხვისას დაეჭვდა, როგორ შეიძლება, ქალწულმა შვას ძე. ესაიას ამ სიტყვაში შეცდომააო, თქვა და გადაწყვიტა, რომ „ქალწულის“ ნაცვლად ჩაეწერა „ქალი“. ამ განზრახვისას მთარგმნელ სვიმეონს ანგელოზი ეჩვენა და აუწყა: შენ არ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ იხილავ მესიას, ქრისტეს, ამ წუთისოფელში მოვლინებულს ქალწული მარიამისგან. ღრმად მოხუცებული სვიმეონი (მოხუცი იყო, როდესაც ხელი მიჰყო ესაიას წიგნის თარგმნას) 200 წელი ელოდა გარდაცვალებას, სანამ წინასწარმეტყველება არ ახდა და არ შვა ქალწულმა მარიამმა მაცხოვარი. როდესაც მაცხოვარი იშვა ბეთლემის ბაგაში, მე-8 დღეს სახელი უნდა დაერქმიათ, მოსეს რჯულის მიხედვით ტაძარში უნდა მიეყვანათ ჩვილი. მართალი იოსები და ყოვლაწმინდა ღვთისმშობელი ყრმით ხელში მივიდნენ ტაძარში, ტაძრის კარიბჭესთან შეხვდათ სვიმეონი, რომელიც ტაძარში მსახურობდა. როდესაც მან ყრმა ნახა, მასში ამოიცნო სულიწმიდის მადლით განკაცებული ღმერთი მაცხოვარი და მიირქვა და წარმოთქვა ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვები: აწ განუტევე მონა შენი მეუფეო სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა. ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა. ამდენად, სვიმეონმა შეიცნო ყრმა იესო, ღმერთი და უთხრა, რომ ახლა დროა, განუსვენოს მას. სვიმეონი დაილალა ამ წუთისოფელში სიცოცხლით, ფაქტიურად, მისი თანამედროვე აღარავინ იყო დარჩენილი. 200 წელი არ არის მცირე ჟამი. ხშირად ადამიანი სიცოცხლის ხანგრძლივო-



ბას სთხოვს ღმერთს. სიცოცხლის ხანგრძლივობა მაშინ არის კარგი, როდესაც ადამიანი ღვაწლშია და მნიშვნელოვანი როლი აკისრია ამ წუთისოფელში. პირველ რიგში, ადამიანმა სულის გადარჩენაზე უნდა იფიქროს და არა ასაკის ხანგრძლივობაზე. რა სარგებელია ადამიანისთვის, რომ იცოცხლოს 200 წელი და საბოლოოდ თვალი ჯოჯოხეთში გაახილოს? რა თქმა უნდა, ჯობია, მცირე ხნით იცხოვროს ამ წუთისოფელში და დაიუნჯოს სამარადჟამო დიდება უფალთან, უჭკნობი გვირგვინი, სადაც არის საუნჯე მოუკლებელი.

***— ტაძრებში მირქმის დღესასწაულზე სპეციალური წირვა-ლოცვა ტარდება. როგორ უნდა აღვნიშნოთ ეს დღე მართლმადიდებლებმა?***

— მართლმადიდებელ სამოციქულო ტაძრებში აღესრულება მირქმის დღესასწაულთან დაკავშირებული სპეციალური ღვთისმსახურება. უწმინდეს პატრიარქს ღამისთევის ღვთისმსახურება არაერთხელ ჩაუტარებია მირქმის დღესასწაულთან დაკავშირებით. მე მახსენდება 2006 წელი, როდესაც უწმინდესმა პატრიარქმა სიონის საკათედრო ტაძარში აღავლინა მირქმის დღესასწაულთან დაკავშირებული ღვთისმსახურება. მოსეს რჯული ითვალისწინებდა შობიდან მე-8 დღეს ჩვილის ტაძარში მიყვანას. შემდეგ მე-40 დღეს მიჰყავთ ყრმა ტაძარში დედასთან ერთად. დედას ეკითხება განწმენდის ლოცვები. დღეს მოსეს რჯულიდან ეს წესჩვეულება ისევ აღესრულება მართლმადიდებელ ქრისტიანულ ტაძრებში. მე-8 დღეს ტაძრებში მოჰყავთ დედებს ყრმები და სახელს არქმევენ. დაბადებიდან პირველი რვა დღე ბავშვს სახელი არ ჰქვია. სწორედ ტაძარში ხდება ბავშვის სახელის დარქმევა. წესის მიხედვით მშობლები შეურჩევენ სახელს, უკეთეს შემთხვევაში, ნათლია. სავარაუდო სახელით მოვლენ ეკლესიაში, მოძღვარი წარმოთქვამს ამ სახელს და ამ სახელით შემოიყვანს ყრმას ტაძარში მოძღვარი: ეკლესიად მოვალს მონა ღვთისა ჩვილი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, შევალს სახლსა შენსა და თაყვანს სცემს ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა, უფალო. ასევე იკითხება ასეთი ლოცვა: „გიხაროდენ, მიმადლებულო ღვთისმშობელო ქალწულო, რამეთუ შენგან განხორციელდა მხსნელი სოფლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი. იხარებ შენცა მოხუცებულო მართალო სვიმეონ, რამეთუ მიირქვ მკლავსა ზედა განმანთავისუფლებელი სულთა ჩვენთა, რომელი მოგვანიჭებს დიდსა წყალობასა“. მე-8 დღეს ბავშვების ტაძარში მოყვანა სწორედ სვიმეონ ღვთისმიმრქმელთან არის დაკავშირებული.

***— სახელის დარქმევის დღე უფროა ეს დღე?***

— დიახ. მირქმა, მიხუტება სვიმეონ ღვთისმეტყველისგან არის სწორედ სახელის დარქმევა. სწორედ სახელის დასარქმევად მოიყვანა ყოვლაწმინდა ღვთისმშობელმა ჩვილი იესო ტაძარში, სადაც მათ სვიმეონი შემოხვდათ. არა მხოლოდ მაცხოვარი, არამედ ყველა შობილი ასე მიჰყავდათ ტაძარში, რომ სახელი დაერქმიათ მისთვის.

***— დღეს არის ეს ტრადიცია საქართველოში?***

— არის, საბედნიეროდ, თუმცა — ნაკლებად. ვინც არის გაცნობიერებული საეკლესიო ცხოვრებაში, ვისაც მოძღვართან აქტიური ურთიერთობა აქვს, ვინც მოძღვრის ლოცვა-კურთხევის ქვეშ არის, ის ამ ტრადიციას იცავს. ასეთი ოჯახები იცავენ ეკლესიის წესს, მოჰყავთ ჩვილი მე-8 დღეს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალური საკითხავი იკითხება. მე-40 დღეს განწმენდის ლოცვა ეკითხება დედას, რომელიც ჩვილთან ერთად მოდის ტაძარში.

***— როგორ უნდა შევურჩიოთ ახალშობილს სახელი? ახლა ხშირად წმინდანების სახელს არქმევენ. წმინდანის ხსენების დღეს თუ დაიბადა ბავშვი, იმ წმინდანის სახელს არქმევენ. დღეს ყოველი მეორე თითქმის გიორგი და მარიამია...***

— ძალიან კარგია, როდესაც ამა თუ იმ წმინდანის სახელს ამოეფარება ადამიანი და მისი მფარველობის ქვეშ მოექცევა, თუნდაც იმის გამო, რომ იმ წმინდანების სახელების ხსოვნა არ იშლება, მაგრამ, თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ, მაგალითად, წმინდა ნიკოლოზი, მირნლუკიის არქიეპისკოპოსი, არავისი სახელის მფარველობის ქვეშ არ ყოფილა.

***— ეს მან თვითონ მოიპოვა...***

— რა თქმა უნდა, ასევე წმინდა გიორგიმ, წმინდა მარიამმა, წმინდა ბარბარემ. მათ თავიანთი ცხოვრების წესით მოიპოვეს, დაიმსახურეს და განწმინდეს სახელები. ადამიანმა თავისი ცხოვრების წესით, ის სახელი, რაც ჰქვია, უნდა განწმინდოს.

***— რაც შეეხება ნათლობის სახელს და საერო სახელს, უპირატესი ნათლობის სახელია? ზოგჯერ ადამიანებს არც ახსოვთ ნათლობის სახელი...***

— ეკლესიაში არსებობს სპეციალური ლოცვა, როდესაც იცის ადამიანმა, რომ ის არის მონათლული, მაგრამ არ ახსოვს ნათლობის სახელი და მაინცდამაინც სურვილი აქვს, წმინდანის სახელი ერქვას. მას ეკითხება სპეციალურად სახელდების ლოცვა, რომლის შედეგადაც ერქმევა წმინდანის სახელი. რა თქმა უნდა, უპირატესი ნათლობის სახელია, მაგრამ, ვიმეორებ, ადამიანმა თავად უნდა განწმინდოს სახელი. ესა თუ ის სახელი შინაარსის მატარებელია. მაგალითად, გიორგი ბერძნული სიტყვაა და მიწის მოქმედს ნიშნავს. უშინაარსო სახელი, რა თქმა უნდა, არ უნდა დავარქვათ შვილს, რადგან სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს.

***— მაგალითად, ადამიანის გარდაცვალების დროს, პანაშვიდის გადახდის დროს ნათლობის სახელი უნდა დაფიქსირდეს?***

— აუცილებლად ნათლობის სახელი უნდა დაფიქსირდეს, რადგან, რა სახელიც ერქმევა ადამიანს ნათლობის დროს, იმ წმინდანის მფარველობის ქვეშ ექცევა. მაგალითად, ქალს საერო სახელი ჟენია ჰქვია, ნათლობით ის არის ევგენია. ამ ორივე სახელით მოიხსენიება ადამიანი, ორივე სახელის მითითება შეიძლება.

***— რაც შეეხება მფარველ ანგელოზს, რომელიც ადამიანს ჰყავს, ამაზე რას გვეტყვით?***

— ყველა ადამიანს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს. ამ წუთისოფელში რომ მოდის ადამიანი, ის, ბუნებრივია, ანგელოზის მფარველობის ქვეშ არის უკვე, მაგრამ, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საუბარია წმინდანებზე, მაგალითად, წმინდა ნიკოლოზზე თუ წმინდა გიორგიზე. ანგელოზი სხვა მდგომარეობაა, ესა თუ ის წმინდანი კი — სხვა. წმინდანს სხვა მეოხება აქვს ადამიანისთვის. მფარველი ანგელოზი უსახელოდ ჰყავს ყველა ადამიანს, შობიდან მოყოლებული, გარდაცვალებამდე. რაც შეეხება წმინდანებს, რომელი წმინდანის სახელსაც ამოეფარება ადამიანი, შესაბამისად, მას შესთხოვს მეოხებას. სავსებით შესაძლებელია, რომ არ ერქვას ადამიანს გიორგი, მაგრამ წმინდა გიორგის უნდა სთხოვდეს მეოხებას. არასიჯანსაღე იქნება, თუ ადამიანს გიორგი ჰქვია და წმინდა ნიკოლოზს არ სთხოვოს შემწეობა. ეს იქნება დაშორებული მართლმადიდებლური სწავლებისა და ეკლესიისგან. ადამიანმა ნებისმიერ წმინდანს უნდა სთხოვოს მეოხება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ილია მართალს ვთხოვთ ერის გამთლიანებას, ერის აღორძინებას, განათლებულობას, წმინდა გიორგის ვთხოვთ ჩვენი ქვეყნის მფარველობასა და დაცვას, მხედრის გაძლიერებას. წმინდა ნიკოლოზს ვთხოვთ სამღვდელოების გაძლიერებას, რადგან წმინდა ნიკოლოზი მღვდელმთავარი იყო, სამღვდელოება ამიტომ მას სთხოვს კეთილმორწმუნეობასა და კეთილად მსხვერპლის შეწირვას, ასევე წმინდა ნიკოლოზი ქალწულთა გამათხოვებლად მოიაზრება. მოწამე ბარბარეს ვთხოვთ შემწეობასა და იმ მხნეობას, რომელიც მას ჰქონდა, როდესაც შუბლი მიუშვირა დიოსკორეს მახვილს, უშიშრად წარდგა მამამისის წინაშე და ასე მოირგო უხრწნელი გვირგვინი ქრისტესგან. სნეულების ჟამს შემწეობას ვთხოვთ წმინდა პანტელეიმონს. პანტელეიმონ მკურნალს მიეახლებიან სნეულები და მას სთხოვენ განკურნებას. ასევე რუსეთში ცნობილია წმინდანი მატრონა, უვერცხლო მკურნალი კოსმა და დამიანე. კვიროსი, იოვანე, ერმოლაოსი, სამსონი. უამრავი წმინდანია, რომელთაც ადამიანმა უნდა სთხოვოს მეოხება ამა თუ იმ საკითხზე.

***— მამა გიორგი, ტაძარში რომ შედის ადამიანი, აუცილებლად უნდა აანთოს სანთელი თუ შეიძლება, ისე მოილოცოს ხატები? რისი სიმბოლოა სანთელი?***

— სანთელი ადამიანის სულის მდგომარეობის სიმბოლოა. როგორც სანთელი ანათებს და იწვის, ასევე უნდა იწვოდეს თითოეული ქრისტიანი და გზას უნდა უნათებდეს მეორე ადამიანს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ არ აანთოს სანთელი ადამიანმა. მთავარია მისი სულის მდგომარეობა. სანთელი არ განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას ღმერთთან. რა სარგებელია, რომ ადამიანმა დაანთოს რამდენიმე სანთელი და წარმოდგენა არ ჰქონდეს სარწმუნოებაზე, ვის უნთებს სანთელს. ხშირად მექანიკური მიდგომაა, რაც არ შეიძლება მით უფრო სარწმუნოების მიმართ. ანთებენ სანთელს, გადაიწერენ პირჯვარს, ემთხვევიან ხატს და წარმოდგენაც არა აქვთ, ამა თუ იმ წმინდანს რა ცხოვრებით უცხოვრია. რით მოიპოვა წმინდანობა და რა უნდა შესთხოვოს ამა თუ იმ წმინდანს. მე მოვუწოდებდი ყველას, სანამ წმინდანებს რამეს შეევედრებოდნენ, მისი ცხოვრება წაიკითხონ, გაეცნონ მისი ცხოვრების წესს, მხოლოდ ამის შემდეგ გააზრებულად მოვიდნენ ეკლესიაში და გააზრებულად ილოცონ.

***— სანთელი შესაწირია ღვთის წინაშე?***

— რა თქმა უნდა, სანთელი შესაწირია, როგორც სეფისკვერი, როგორც ზეთი კანდელისთვის, ნებისმიერი შესაწირი ეკლესიაში მოსატანი, მაგრამ ძღვენი კეთილად უნდა იქნეს შეწირული. მაცხოვარი თავად ამბობს სახარებაში, რომ თუ შენს ძმასთან უბრად ხარ, საკურთხევლის წინ დააწყვე შენი ძღვენი და მიდი შენს ძმასთან, დაემხე მის წინაშე და შენდობა სთხოვე. მხოლოდ ამის შემდეგ მოდი და შემომწირე მსხვერპლი. ხშირად ადამიანი უბრად არის მეორე ადამიანთან, არ ელაპარაკება მოყვასს, ჩხუბობს, განკითხვაშია, წყენა აქვს მეორე ადამიანის და არ ცდილობს ამის გამოსწორებას. ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები მოდიან და ეზიარებიან კიდეც, რაც ძალიან მიკვირს. მაცხოვრის სიწმინდეს ეზიარებიან და მერე დაბრკოლებულები გაოცებულები კითხულობენ: ხომ ვეზიარებით, ხომ დავდივართ ტაძარში, ეკლესიურად ვცხოვრობთ და რატომ გვაქვს დაბრკოლება? იმიტომ რომ მექანიკურად ვმოქმედებთ ამ შემთხვევაში და არ ვიწმენდთ ჩვენს სულს, სხეულს. სულით დამძიმებულები მოვდივართ, რომ შევწიროთ. რა თქმა უნდა, ასეთ მსხვერპლს უფალი არ შეიწირავს. მსხვერპლი მექანიკურად და გაუაზრებლად არ უნდა იყოს შეწირული. ასეთივე მსხვერპლია ტაძარში დგომა და წირვა-ლოცვაში მონაწილეობა. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი საკუთარ თავს სწირავს მსხვერპლად ღმერთს. მე ვფიქრობ, ეს ყველაზე აღმატებული მსხვერპლია, რადგან დავით მეფსალმუნე სწორედ ამას ბრძანებს 50-ე ფსალმუნში: „მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული“. ეს არის ყველაზე მთავარი მსხვერპლი, უფლის წინაშე შეწირული. ამ ყველაფერის შემდეგ დანარჩენი, რა თქმა უნდა, კეთილად შეიწირება.

ეკა ირემაშვილი

# დიასახლისად არ გადავიქცევი

**უკვე მეორე თვეა მომღერალი ირმა სოხაძე გადაცემა „იმედის დილის" პროდიუსერია. როგორც თავად ამბობს, სამსახურში სულითა და გულით მიიჩქარის და უხარია, რომ ასეთ კარგ გუნდთან ერთად უწევს მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ უთენია უწევს გაღვიძება და დილის 6 საათზე უკვე ფეხზეა, ეს სულაც არ უშლის ხელს დღე ნაყოფიერად დაგეგმოს.**

როგორც ირმა ამბობს, ეკრანი, წამყვანობა და მიკროფონის ხელში ჭერა სულაც არ ენატრება, რადგან ისედაც ხშირად იწვევენ სხვადასხვა გადაცემებსა თუ პროექტებში. პროდიუსერობის პარალელურად, ირმა სოხაძე არც მუსიკალურ სფეროს ივიწყებს და გაზაფხულისთვის გრანდიოზული სოლოკონცერტის ჩატარებას აპირებს.

ამჯერად მომღერალმა არჩევანი მხოლოდ ქართველ კომპოზიტორებზე გააკეთა. როგორც თავად აცხადებს, აღარც რუსული რომანსების შესრულების გული აქვს და აღარც ჯაზური კომპოზიციების. ამ ყველაფერს კი ჭკუაზე მოსვლასა და დალვინებას მიაწერს. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ურეკავენ რუსეთიდან და მოსკოვში კონცერტის ჩატარებას თხოვენ, მომღერალი კვლავაც უარზე რჩება და არც იმ ქართველ მომღერლებს განიკითხავს, ვინც რუსეთში დადის და კონცერტებს მართავს.

რაც შეეხება მომავალს, ირმა სოხაძე საკუთარ თავს კვლავ ტელევიზიაში ხედავს. როცა „იმედის დილაში" თავს ამოწურავს, გამორიცხული არ არის, კვლავაც „იმედზე" სხვა ამპლუაში მოგვევლინოს და საავტორო გადაცემა გააკეთოს.

**ირმა სოხაძე:**

— როგორც ხედავთ, ისევ ტელევიზიაში ვარ და ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ. ერთი ცვლილება მაქვს — ვდგები უთენია დილით — ექვსს რომ 15 წუთი აკლია. ეს პირველად ხდება ჩემს ცხოვრებაში და თურმე რა კარგი ყოფილა!

***— მანამდე გიჭირდათ დილით ადგომა?***

— არა, არასოდეს. დილით ადგომა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ასე ადრე არ ვდგებოდი ხოლმე. ახლა კი იმდენ რამეს ვასწრებ, 4-5 საათზე უკვე აღარაფერი საქმე არ მაქვს. მხოლოდ ერთი პრობლემაა, რომ საღამოს შედარებით ადრე გეძინება, ათზე, თერთმეტზე უკვე უნდა დაიძინო, მაგრამ არა უშავს, რა მოხდა. მე 6 საათი ძილი მყოფნის. 12 საათზეც რომ დავიძინო, ექვსს რომ 15 წუთი აკლია, უკვე ჩიტივით ფეხზე ვარ.

***— ადვილად შეეჩვიეთ ამ რეჟიმს?***

— პირველი კვირა ცოტა გაბრუებული ვიყავი, მაგრამ მალევე შევეჩვიე. მეექვსე კვირა იწყება, რაც ასეთ რეჟიმში ვცხოვრობ და უკვე გადავეწყვე. იცით რა ბედნიერებაა, როცა ათ საათზე ეთერი დამთავრებულია, 12 საათამდე მეორე დღის გადაცემა უკვე ჩამოყალიბებულია, მონახაზი გვაქვს, თუმცა, როგორც წესი, პარასკევს უკვე მთელ წინა კვირას ვგეგმავთ, მაგრამ ელემენტარული გადამოწმებები მიდის ხოლმე. 4 საათამდე კიდევ რაღაც დეტალებს ვამოწმებთ, იქ სიუჟეტებია მოსატანი, ქრონომეტრაჟი გვაქვს ზუსტად გასათვლელი და ამ ყველაფერს რომ დავაზუსტებთ, უკვე თავისუფლები ვართ. აქ ისეთი გუნდია, თვალდახუჭული ენდობი. ჩემი რედაქტორები რუსიკო ყურაშვილი და ირაკლი კალაძე, მენეჯერი ხათუნა გოჩაშვილი და ჟურნალისტები ვინც არიან, ჩვენი ახალგაზრდა გოგონები ისე მუშაობენ, ისეთი პროფესიონალები არიან, შემოწმებაც არ უნდა. უბრალოდ, ვნახულობთ ქრონომეტრაჟს, რომ გადაცემის ფორმატში ჩავეტიოთ. ჩვენთან დრო არის ძალიან მნიშვნელოვანი, თითოეული წამი გათვლილი გვაქვს. წამი წამში ვახერხებთ იმას, რომ დათქმულ დროს არ გადავაჭარბოთ. პირდაპირი ეთერი გვაქვს რვის ნახევრიდან ათ საათამდე, რაც აბსოლუტურად საკმარისი დროა იმისათვის, რომ ჩვენი სათქმელი მაყურებელს ვუთხრათ და ყველა სიახლე დაწვრილებით მივაწოდოთ.

***— მოგწონთ ახალი სამსახური?***

— კი, ძალიან. ისეთი საინტერესო, კრეატიული და კარგი სამსახურია, ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ნამდვილად არ ველოდი, ასეთი კარგი საქმე თუ მექნებოდა. ძალიან კარგი გუნდი გვყავს, ამას ემატება ნუცას სკოლელები, რომლებიც წელს განსაკუთრებულად კარგები არიან. გვყავს საინტერესო სტუმრები, სიახლეებით, სულ ფორიაქი გვაქვს, გვინდა სულ გვქონდეს სიახლეები და რაღაცეები შევცვალოთ.

***— ტელევიზია თქვენი მეორე პროფესიაა?***

— ტელევიზიასთან მართლაც ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია დაკავშირებული. იყო დრო, გადაცემების პროდიუსერიც ვიყავი და წამყვანიც. ეს იყო სხვადასხვა მარათონები, ოქტაგონები. ერთი პერიოდი პირველ არხზე გასართობი და მუსიკალური გადაცემების მიმართულების პროდიუსერიც ვიყავი, ამიტომ გამოცდილება ნამდვილად მაქვს, მაგრამ დილა ყოფილა შესანიშნავი, სად ვიყავი აქამდე!

***— გადაწყვეტილება ადვილად მიიღეთ?***

— რომ დამირეკეს, სიმართლე გითხრათ, შიში მქონდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მოგვარდა. ცოტა დილით ადგომა იყო ვითომ პრობლემა, მაგრამ ესეც მოვაგვარე. ახლა უკვე შუა თებერვალია, ხომ გაგიგიათ, „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო", ზამთარი თითქმის გადავაგორეთ. მალე ჩემი საყვარელი



გაზაფხული მოვა, მერე ზაფხული და...

***— რით არის ეს სამსახური თქვენთვის მნიშვნელოვანი?***

— იმით, რომ ეს პროგრამა ფეხზე დადგა. შეიკრა ფორმატი, აქტიური მაყურებელი უკვე გვყავს. საერთოდ, რთულია დაკარგული მაყურებლის შენსკენ შემობრუნება. არავის ეწყინება თუ ვიტყვი, რომ ბოლო დროს „იმედის დილას" ძალიან დაბალი მაყურებელი ჰყავდა. ჩვენი გუნდური მცდელობის შედეგია ის, რომ მაყურებელი ჩვენსკენ მობრუნდა.

***— ეს ირმას დამსახურებაა?***

— ანუ ჩემი? არა, რა თქმა უნდა, გუნდურია-თქო, ხომ გითხარით. ნუ მაძლევთ პროვოკაციულ შეკითხვებს! ყველაფერი კარგი გუნდის დამსახურებაა. დილის გადაცემას ერთი ადამიანი ვერ გააკეთებს, ირმა სოხაძე კი არა, სულ რომ გენიოსი იყოს. აქ ძალიან ბევრი სეგმენტია, თუ არ არის ჯაჭვური რეაქცია, არაფერი გამოვა. სულ ვეუბნები ჩემს თანამშრომლებს, რაც მთავარია, ნაძვის ხე დავდგით-მეთქი.

***— ახლა მორთვა სჭირდება?***

— არა, უკვე მორთულიც არის, სათამაშოებიც დავკიდეთ. ახლა ბურთების გადალაგების პროცესი გვაქვს, ლურჯი ბურთი მარჯვნივ უფრო მოუხდება თუ მარცხნივ, ამაზე მიდის მსჯელობა. დანარჩენი მიდის წინასწარ აგებული სქემით. ამ პროექტში მთავარია სწორად გათვლილი სქემა. ახლანდელი ჩვენი გადაცემის სქემა კი მე პირადად ძალიან მომწონს.

***— წამყვანების შერჩევაში ჩაერიეთ?***

— ჩემი იდეა იყო სანდრო და ანანო, როგორც წყვილი. ძალიან მინდოდა ეს წყვილი ერთად ყოფილიყო. ჯაბა კილაძესა და მარიამ ჯოლოგუაზე მაქვს საუბარი. ისინი ფილმიდან ყველასთვის სანდრო და ანანო არიან და მეც ამიტომ მოვიხსენიებ ასე. ნამდვილად გამზადებული წყვილი იყო. თან ცოტა ხნის წინ ისინი წამოვიდნენ სერიალიდან, ხალხს სულ ენატრებოდა, მათდამი ინტერესი ჰქონდა და ეს წყვილი ჩვენთვის უკვე ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. შემდეგ უკვე კასტინგი ჩავატარეთ და ავარჩიეთ სალომე გოგიაშვილი და კახა მიქიაშვილი.

***— ბევრი მოვიდა კასტინგზე?***

— საკმაოდ. ყველა კარგი იყო თავისებურად, მაგრამ უარის თქმა მოგვიწია. ზოგი სხვა ტელევიზიაშიც იყო დაკავებული. ერთდროულად ორ ტელევიზიაში მუშაობა კი დაუშვებელია. ამბობდნენ კიდევაც, რომ იქიდან წამოვალთო, მაგრამ არ გვინდოდა ისინი სხვა ტელეკომპანიებისთვის წაგვერთმია. ჩვენთან გადმობირებები არ ხდება. ერთი-ორი წამყვანი იყო მართლა შესანიშნავი, მაგრამ უფრო ღამის შოუში, ან საღამოს პროექტში ვხედავდით მათ. დილის გადაცემაში ისინი არანაირად არ ჯდებოდნენ.

***— ცნობილი წამყვანები მოვიდნენ?***

— იყო ბევრი ცნობილიც, მაგრამ მათი გვრების დასახელებას ნუ მთხოვთ, მაინც ვერ ვიტყვი. ბოლოს დავიტოვეთ სალომე და კახა. ერთი კვირა სალომეს მოუწია ჯაბა კილაძესთან ერთად მუშაობა, იმიტომ, რომ მარიამი დაკავებული იყო ფილმ „ერთხელ შუა ქალაქში" გადაღებებზე. ისე მოგვეწონნენ ერთად სალომე და ჯაბა, რომ გადავწყვიტეთ ცოტა ხანს ახლა ეს წყვილი იყოს ერთად. ძალიან მხიარული, ცოტა ეგზალტირებული წყვილია, ნათელი ენერგია შემოაქვთ. კახა და მარიამი კი უფრო ჭკუადამჯდარი, ინტელექტუალური, დინჯი და მშვიდი წყვილია. ცოტა ხანს ასე იყვნენ დაწყვილებული ჩვენი წამყვანები, მერე ალბათ ისევ შევცვლით.

***— სალომეს გარდა, წამყვანობის პრაქტიკა არც ერთს არ ჰქონია. თავისუფალი თეატრის მსახიობებმა თქვენი იმედები გაამართლეს?***

— საერთოდ წამყვანად არავინ იბადება. წამყვანი უნდა გახდე. ისინი არ იყვნენ წამყვანები, მაგრამ დღეს უკვე არიან. რაღაც ასაკში უნდა გაბედო. ვთვლი, რომ მარიამიც, ჯაბაც და კახაც არიან წამყვანები. ბევრმა მითხრა, რომ როლში სულ სხვანაირები არიან და წამყვანების ამპლუაში სულ სხვანაირები. მარიამი სერიალის გმირისგან რადიკალურად განსხვავდება, ასევეა ჯაბაც. ალბათ ამ გადაცემაში რომ არ მოგვეწვია, ჯაბას არასოდეს მოშორდებოდა ცნობილი კლიშე — მე ლონდონში ვსწავლობდი. წამყვანის ამპლუაში მათ ითამაშეს თავიანთი თავი და გამოჩნდნენ, როგორები არიან სინამდვილეში. ჯაბა შესაძლოა ოდნავ წააგავს თავის გმირ სანდროს გულღიობით და მხიარულებით, მაგრამ მარიამი რადიკალურად განსხვავებულია, იშვიათია მაგის თაობაში ასეთი. ბევრმა მითხრა, რა ღრმა და განსაკუთრებული გოგოა მარიამიო. ამ ცხოვრებაში მუდმივი და მარადიული არაფერი არ არის. შეიძლება მომავალში სხვა წამყვანები მოვიწვიოთ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი არჩევანი ნამდვილად გამართლებულია. ამ გადაწყვეტილებით, როგორც პროდიუსერი, ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ.

***— მკაცრი პროდიუსერი ხართ?***

— შედით და ჰკითხეთ ჩემს თანამშრომლებს, ვარ თუ არა მკაცრი. სიმკაცრე ბავშვებთან და შვილებთან არ გამიგია, არათუ სამსახურში. თანამდებობის გამო მკაცრები რომ ხდებიან, მათი საერთოდ არ მესმის. სიმკაცრით რა გამოსულა ამ ცხოვრებაში? ყველაფრის წარმატება ის არის, როცა გესმის შენი გუნდის. მართლა ბედნიერები ვართ, რომ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და ერთნაირი აზროვნება გვაქვს. ახალი პრომო გვაქვს, სადაც რეჟისორმა ბესო სოლომონაშვილმა თავისი თავის გარდა, თითქმის ყველა ჩაწერა. მხოლოდ სამი ადამიანი არ მოვიდა ჩაწერაზე. უზარმაზარი გუნდია, ვინც „იმედის დილას" ქმნის.

***— „იმედში" პირველად ხართ?***

— არა. როდესაც „იმედის ტალღის" პირველი სეზონი გაკეთდა, მაშინ ოთხი თვე ამ პროექტზე ვიმუშავე. მსახიობებისა და მომღერლების პირველ წყვილებს ჩვენ ვაწყვილებდით. მუსიკალური რედაქტორი ვიყავი და ის პერიოდი კარგად მახსენდება. ახლა ვინც ჩემს გუნდშია, ზოგს პირველი არხიდან ვიცნობდი და ზოგსაც „იმედის ტალღიდან", მაგრამ ერთად არასოდეს გვიმუშავია. მეორე თვეა აქ ვარ და მართლა ოჯახის წევრებივით ვართ, გვიხარია ერთად ყოფნა და სამსახურის დამთავრებამდე საათზე არ ვიყურებით, რომ აქედან გავიქცეთ. ეს კი ჩვენი გადაცემის შედეგზეც აისახება.

***— რამდენი წელი იყავით ტელევიზიის გარეშე?***

— ბორდშიც ხომ ვიყავი ერთი წელი? ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა იყო. წამოსვლა არ იყო ნამდვილად შეცდომა, მაგრამ მისვლა — კი. 25 წელი ვიყავი პირველ არხზე. მთლიანობაში სამი ოთხი წელი ვიყავი ტელევიზიის გარეშე. ბოლო ორი წელი პრაღაში ვიყავი ჩემს მაქსიკელასთან, ჩემს შვილიშვილთან. იქ ვიყავი ძიძა. ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კარგი და ნათელია.

***— რამხელაა თქვენი შვილიშვილი?***

— მაქსიმე უკვე ორი წლის და სამი თვის ბიჭია. ბებიობა არის ყველაზე დიდი ბედნიერება და ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც შეიძლება ადამიანმა ცხოვრებაში მიიღოს. სიამოვნებით ვიტოვებდი, ჩემი ქალიშვილი და სიძე მუშაობდნენ და ბავშვთან მე ვრჩებოდი. ჩემი ქმარი სულ ამბობს, ამხელა ამაგი არც ერთ შვილზე არ გაქვს, რამდენიც მაქსიმეზეო. მარტო უცხო ქალაქში ვიყავი ჩემს საყვარელ არსებასთან ერთად. ძალიან ვდარდობ, მენატრება და სულ მასზე ვფიქრობ, მაგრამ მალე მეორე შვილიშვილი მეყოლება და მაქსიკელას სიყვარულს მასთან ავინაზღაურებ.

***— ტელეწამყვანებს ყოველთვის აქვს კამერების ნოსტალგია. თქვენ არ გენატრებათ კამერები?***

— რომ გითხრათ, ღამე მიკროფონი მესიზმრება-მეთქი, არ ვიქნები მართალი. წამყვანობის სურვილი საერთოდ არ მაქვს. ბევრ გადაცემაში მიწვევენ, ინტერვიუებს ვაძლევ და ამის ნოსტალგიას არ განვიცდი. როგორც მომღერალი, ამ ბოლო დროს ბევრს ვმღერი, სხვადასხვა კონცერტებს ვმართავ, როგორც წამყვანს, საღამოები მიმყავს. რუსთაველის თეატრში ნუგზარ ჩხაიძესთან ერთად გავაკეთე, ჩემი სცენარი იყო და წავიყვანე შოთა მილორავას კონცერტი. წელიწადში ორჯერ მაინც ორ დიდ კონცერტს ვაკეთებ. ამ ეტაპზე იმდენი საქმე მაქვს, არაფრისთვის არ მცხელა, თუკი ამოვწურე თავი იქ, სადაც ახლა ვარ, ძალიან მომწონს ეს ტელევიზია და არ არის გამორიცხული, რაიმე საავტორო პროექტზეც ვიფიქრო. ამ ტელევიზიას დიდი პერსპექტივები აქვს და სხვა ამპლუაშიც სიამოვნებით მოვსინჯავდი ჩემს თავს. ყველაფერი საინტერესოა, თვითონ ტელევიზიაა საოცარი პროცესი. რასაც აკეთებ, მის რეზულტატს ძალიან მალევე ხედავ. ეს არ არის კინო, რომელსაც გადაიღებ, დაამონტაჟებ და წლობით თაროზე შემოდებ, ეს არ არის თეატრი, სადაც დგამ, დგამ და როდის დადგამ, კაცმა არ იცის. მერე ან მოვა მაყურებელი ან არა. ტელევიზია მყისიერი ცოცხალი ორგანიზმია — აკეთებ და შედეგი სახეზეა. რაც უფრო კრეატიული, მონდომებული და ნიჭიერი გუნდი აკეთებს, შედეგი მით უფრო კარგია. ტელევიზია ნამდვილად ჩემი საქმეა.

***— დიდი პროექტების კეთებაში თქვენი სოლოკონცერტი არ იგულისხმება?***

— ჩემს სოლოკონცერტს ვაკეთებ. აპრილში ან მაისში მინდა ჩავატარო ჩემი სოლოკონცერტი რუსთაველის თეატრში. პატარა ფორმატის სოლოკონცერტი გავაკეთე კომპოზიტორთა კავშირში, რომელსაც „24 ქართული მარგალიტი" ეწოდებოდა. მასში ჩემი საყვარელი 24 კომპოზიტორის სიმღერა შევიტანე. ურთულესი კონცერტი გამოვიდა. ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ვთვლი, რომ პირველ რიგში ქართულის კულტივირებაა საჭირო. რაღაც ეტაპი დამიდგა ისეთი, რომ სულ ქართულის სიმღერა მინდა.

***— ეს ასაკის ბრალია?***

— არ ვიცი, შეიძლება ასაკის ბრალიც არის, მაგრამ აღარც რუსული რომანსების სიმღერა მინდა, აღარც ჯაზის, სულ მინდა ქართული სიმღერები შევასრულო. შეიძლება ასაკის ბრალია იმ გაგებით, რომ ცოტა ჭკუაზე მოვედი და დავღვინდი. თურაშაულის პატრონები რას დავრბივართ და რას დავეძებთ ამ პანტას სხვის ტყეებში, არ მესმის.

***— რუსული სიმღერების შესრულება რატომ აღარ გინდათ?***

— ჩემთვის რუსული სიმღერების შესრულება ნამდვილად არავის აუკრძალავს, მაგრამ ორი წელია უკვე თვითონ აღარ მივდივარ მოსკოვში. დიდი კონცერტი მქონდა დაგეგმილი 2008 წლის ოქტომბერში მოსკოვში მუსიკის სახლში, მაგრამ აგვისტოში მოხდა ეს საზიზღარი ომი, რის შემდეგაც სექტემბერში გამოაცხადეს, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი თურმე ჩვენიც არ ყოფილა და ამიცრუვდა გული. თვითონ ველარ წავედი, დავურეკე და ავუხსენი, რომ იქ ვერ ჩავიდოდი. ძალიან კარგად გაიგეს და ბოდიშებიც მიხადეს.

***— ახლა აღარ რეკავენ?***

— კი, ახლაც მირეკავენ, იქნებ ამ გაზაფხულზე მაინც ჩამოხვიდეთ, ცოტა ხომ მოლბა ურთიერთობებიო. არ ვთვლი, რომ მოლბა ურთიერთობები, სანამ არ მოვა რუსეთის ხელისუფლება ჭკუაზე და არ იტყვის, დავანებოთ საქართველოს თავიო, მე პირადად ვერ წავალ და მათთვის ვერ ვიმღერებ! ვინც მიდის და მღერის, ყველას ღმერთმა ხელი მოუმართოს, ერთი წუთით არავინ იფიქროს, რომ მათ გაკიცხვას ან განკითხვას ვაპირებ. მგონია, რომ იმდენია ქართული სამღერი, რომ გაზაფხულზე მინდა დიდი კონცერტის ჩატარება. ადრე მინდოდა ჩემს კონცერტზე ათი ქართული, ათი რუსული რომანსი და ათი ჯაზური კომპოზიციის შესრულება, მაგრამ აღარ გამომივიდა შინაგანად, ამის გული არ მაქვს. ახლა მარტო ქართული მინდა, მეტი არაფერი.

***— რუსთაველის თეატრი რატომ შეარჩიეთ?***

— გადავწყვიტე ყველა ჩემი კონცერტი რუსთაველის თეატრში ჩავატარო. საკონცერტო დარბაზში კონცერტს ველარ ჩავატარებ ჯერ ფასის გამო, მერე იმიტომ, რომ ჩემთვის ის ძალიან დიდია, ამ ბოლო დროს ვერ ვირგებ ამ დარბაზს.

***— იმის ხომ არ გეშინიათ, რომ საკონცერტო დარბაზს ვერ გაავსებთ?***

— ერთ კონცერტს ნამდვილად გავავსებ, მაგრამ რუსთაველის თეატრისკენ უფრო მიმიწევს გული.

***— როგორ ასწრებთ ამდენ რამეს?***

— მართლა იმდენი საქმე მაქვს, სერიოზულად ვდარდობ, რომ არ არის დღეღამეში 36 საათი და არის 24. ისე მალე გარბის კვირები, აზრზეც ვერ მოვდივარ, ორშაბათი რომ მგონია, მოვიხედავ და უკვე პარასკევია. თვალის დახამხამებაში გარბის თვეც.

***— მეუღლე როგორ ეგუება თქვენს გადატვირთულ გრაფიკს?***

— რეზო ამ ყველაფერს უკვე შეგუებულია. საქმე დილიდან მაქვს, თორემ მთელი საღამო ერთად ვართ. 5-6 საათის მერე სულ მოცლილი ვარ და სახლში ვარ. ცოტა კი ვყვინთაობ ხოლმე, მაგრამ მაინც ერთად ვართ და შეიძლება საღამოს სადმეც წავიდეთ. გადასარევი სამსახური მაქვს.

***— სახლში ჩამჯდარი დიასახლისი მოეწონებოდა თქვენს მეუღლეს?***

— რატომ უნდა ვიყო სახლში ჩამჯდარი? თან რეზოს ასეთი სულაც არ მოვეწონებოდი და არც მე მინდა. თუ საჭირო გახდა, კარგი დიასახლისიც ვარ და ჩემი ქმრის ნებისმიერ სურვილსაც ვასრულებ.

# სოფი მარსო — ფრანგი ანა კარენინა

**სოფი მარსოს ერთადერთ ფრანგ კინომსახიობ ქალად მიიჩნევენ, რომელმაც ჰოლივუდში კარიერა აიწყო. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ფილმებით — „მამაცი გული", „ანა კარენინა" და „ჩემი ღამეები თქვენს დღეებზე უკეთესია".**

### ბავშვობა

მარსო 1966 წლის 17 ნოემბერს დაიბადა პარიზის ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ჟანტილში. მამამისი შორეული რეისების ტრაილერის მძღოლი იყო, ხოლო დედა პატარა ფარდულში მუშაობდა გამყიდველად. მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებოდათ გოგონას ალსაზრდელად, ამიტომაც სოფის ხშირად უწევდა მარტო დარჩენა. ამის გამო ხშირად მშობლებს ეურჩებოდა და მათ რჩევებს არ უსმენდა.

სოფი არც სკოლაში გამოირჩეოდა ბეჯითობით და პრაქტიკულად არასდროს ასრულებდა საშინაო დავალებებს. გოგონა დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა, თუმცა, თავში მსახიობობაზე ფიქრი ყოველთვის უტრიალებდა და მის ოცნებებს საზღვარი არ ჰქონდა.

— როდესაც კინოში გადაღება დავიწყე, არაფრის გაკეთება არ ვიცოდი, მაგრამ ვხვდებოდი, რომ კინო ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო ჩემი სულის სიცარიელე შეევსო. მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრებაში იოლი გზა არ არსებობს. იმ საქმეს, რომელიც გიყვარს და გინდა გააკეთო, ძალიან ბევრი შრომა სჭირდება და ამისთვის ბევრი მწარე დღეების გადატანაც საჭიროა, — განაცხადა მოგვიანებით მარსომ.

### კინოკარიერის დასაწყისი

კინოგადასაღებ მოედანზე სოფი მარსო შემთხვევით მოხვდა. ერთ-ერთ თავის მეგობართან საუბრისას შეიტყო, რომ რეჟისორი კლოდ პინოტო არასრულწლოვან გოგონებს აგროვებდა თავისი კინოპროექტისთვის და გადაწყვიტა, ქასტინგზე მისულიყო. რამდენიმე ატას პრეტენდენტს შორის მთავარ როლზე 14 წლის სოფი მარსო იქნა დამტკიცებული. ასე მოულოდნელად გახდა ჟანტილელი გოგონა კინომსახიობი.

ფრანგულმა რომანტიკულმა კინოკომედიამ „ბუმი" გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია. ეს იყო პირველი ფილმი, რომელმაც სოფი მარსოს წარმატება მოუტანა. მან ყველასთვის მოულოდნელად შესანიშნავად ითამაშა 13 წლის გოგონას როლი, ხოლო ფილმმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა როგორც შემოსავლებით, ასევე სარეცენზიო კუთხით.

ფილმი იმდენად პოპულარული გამოდგა, რომ რეჟისორი იძულებული გახდა, 1982 წელს „ბუმი 2" გადაეღო, რომელიც კიდევ უფრო წარმატებული გამოდგა. სოფი მარსო კვლავაც შეუდარებელი იყო და „სეზარის" პრემიაც დაიმსახურა. ეს ყველაფერი ხდება 16 წლის ასაკში და ნათელი გახდა, რომ სოფის დიდი მომავალი ელოდა.

წარმატებული სტარტის შემდეგ დამწყებმა მსახიობმა რეჟისორების დიდი ყურადღება დაიმსახურა. პროდიუსერებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ახალ ტალანტს, 1984 წელს კი შესანიშნავი მსახიობების, ჟერარ დეპარდიესა და კატრინ დენევის გვერდით ითამაშა ფილმში „მადლენი".

იმავე წელს მარსო უკვე პარტნიორობას უწევს ჟან პოლ ბელმონდოს ფილმში „მხიარული აღდგომა". მიუხედავად ფრანგული კინოს ვარსკვლავების გვერდით თამაშისას მარსო არ დაჩრდილულა და, მართალია, მისი კარიერა ნელა, მაგრამ მაინც მიიწევდა სიმაღლისკენ. ფრანგულ კინოთეატრებში ყოველწლიურად გამოდიოდა ფილმები მისი მონაწილეობით. ერთია, მას ჯერ კიდევ არ სცილდებოდა მოზარდის იმიჯი, რასაც ვერ ეგუებოდა და რომ გაქცეოდა, სანახაობრივი როლები ითამაშა ფილმებში „ცელქი სიყვარული" და „პოლიცია".

ფრანგული მელოდრამა „ცელქი" სიყვარული ანჟეი ჟულავსკის მიერ იქნა გადაღებული ფიოდორ დოსტოევსკის რომანის „იდიოტი" მიხედვით. თუმცა, სცენარის მიხედვით მოქმედება არა მე-19 საუკუნის რუსეთში, არამედ საფრანგეთში ხდება.

იმავე წელს ჟერარ დეპარდიე კიდევ ერთხელ გახდა მარსოს პარტნიორი ამჯერად ტრილერში „პოლიცია". ამ ფილმში მარსო ნარკოდილერებთან დაკავშირებული გოგონას როლს ასრულებს, რომელიც ყველას და ყოველთვის ყელზე ეკიდება. გამონაკლისი არც დეპარდიეს გმირი გამოდგა. ფილმის ბოლოს სასიყვარულო სცენამ კი პურიტანელი ამერიკელები ცენზურის მხრივ ააღელვა. თუმცა, მარსო ამ ფაქტს ლოიალურად შეხვდა და სულაც არ აპირებდა, თუნდაც მსგავსი როლები დუბლიორს შეესრულებინა.

— ღმერთო, დამიფარე! როგორი შეიძლება იყვნენ დუბლიორები საფრანგეთში? არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ეკრანზე გავიხადო. სასიყვარულო სცენასაც, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ფილმში, თავისი დატვირთვა აქვს. გახდილი სხეული შესაძლოა გახდეს ქალური სიმბოლო, — განაცხადა მარსომ ამერიკელთა კრიტიკის შემდეგ.

სოფი მარსისთვის უკვე ნორმად იქცა ეთამაშა ისეთი მსახიობების გვერდით, როგორებიც იყვნენ ფილიპ ნუარე, დეპარდიე, დენევი, ბელმონდო. ამას არა მარტო პოპულარობა, არამედ მაყურებელთა სიყვარულიც მოჰქონდა. თუმცა, მას ნიჭიც საკმარისი ჰქონდა და მარტო პარტნიორების სახელები დიდებას ვერ მოუტანდა. თუმცა, ხედავდა, რომ მას არც ისე ხშირად იღებდნენ ფილმებში და გული ამ ფაქტზე სწყდებოდა.

— ფრანგ რეჟისორებსაც ისეთივე რეგულარულობით რომ მივეწვიე ფილმებში, როგორც ამას ამერიკელები აკეთებდნენ, სამშობლოდან არ წავიდოდი, — აღნიშნა მოგვიანებით სოფიმ.

### 90-იანი წლების დასაწყისი

ამ პერიოდში მარსომ ამერიკულ კინოში შეაბიჯა. ეჭვიან ფრანგულ კულტურას მისი ასეთი ნაბიჯი ცუდად არ შეუფასებია, რადგან



მარსო თავის ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამერიკაში პირველად ანჯელ ჟულავსკიმ მიიწვია, რომლისთვისაც მარსო დიდი ხნის ნაცნობი იყო. სწორედ მისი წყალობით გახდა მარსო პოპულარული ჰოლივუდური კინოს სამყაროში.

დასაწყისისთვის მარსოს მაინცდამაინც დიდი სახელი არ ჰქონდა, ამიტომ არც მშობლიურ საფრანგეთს ივიწყებდა და ჯერ რომანტიკულ კინოკომედია „ფანფანში" მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი ფილმში — „დარტანიანის ქალიშვილი".

ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობში დიდი ენერგია იდო და მასაც მისი ბოლომდე გამოყენება სურდა.

### „მამაცი გული"

ჭადრაკში არსებობს ერთი სვლა ცხენით, როდესაც ერთდროულად მეფესაც ემუქრები და დედოფალსაც. სწორედ ეს სვლა გააკეთა მარსომ 1995 წელს და ჰოლივუდის დაპყრობა გადაწყვიტა. ამის გამო მას ბევრი დაცინვის გადატანა მოუხდა, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა. ამერიკულ კინოში მისი აღიარების საბაბი ისტორია გახდა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი შოტლანდიელები ინგლისის წინააღმდეგ — ეს ფაქტი უდევს საფუძვლად 1995 წელს მელ გიბსონის მიერ გადაღებულ ფართომასშტაბიან ფილმს „მამაცი გული".



ფილმში მარსომ ფრანგი პრინცესას, იზაბელას როლი ითამაშა.

— ის ლამაზია, ფრანგი და კარგი მსახიობი. იზაბელას როლის შემსრულებელს ამ 3 თვისებიდან, 2 მაინც უნდა გააჩნდეს, — განაცხადა გიბსონმა და მარსო როლზე დაამტკიცა, თავად გიბსონმა კი ფილმში მთავარი გმირი და მარსოს გმირის საყვარლის როლი ითამაშა. დადიოდა ხმები, რომ იმ პერიოდში მათ შორის რომანიც იყო გაჩარებული, თუმცა შემდეგში გაირკვა, რომ ეს მხოლოდ ჭორის საფუძველზე ხდებოდა — გიბსონი თავის ცოლთან და 5 შვილთან აგრძელებდა ცხოვრებას, ხოლო მარსომ მეუღლეს ვაჟი აჩუქა.

„მამაცი გული" გახდა „ოსკარის" რამდენიმე ნომინაციის ლაურეატი, ხოლო მარსო უკვე ღიად აღიარეს ჰოლივუდში.

იმავე წელს მიქელანჯელო ანტონიონიმ მარსო ფილმში „ღრუბლებს მიღმა" გადაიღო, სადაც ფრანგს პარტნიორობას ჯონ მალკოვიჩი უწევდა.

კომერციულმა წარმატებებმა, „ოსკარმა" და იმ ფაქტმა, რომ მარსო მშვენივრად ლაპარაკობდა ინგლისურად, ჰოლივუდში არსებული სტუდიების დიდი ყურადღება მიიპყრო, დანარჩენს კი მი ტალანტი ახერხებდა და მარსოს მენეჯერი გამუდმებით იღებდა შეკვეთებს.

1997 წელს მისი კარიერა აყვავების ხანაში შევიდა. სოფის იმდენად აწუხებდნენ ამერიკელი რეჟისორები, რომ ის საერთოდ გაქრა ფრანგული კინემატოგრაფიდან.

### „ანა კარენინა"

1997 წელს მელ გიბსონი აფინანსებდა ფილმს „ანა კარენინა", რომელმაც მარსო ისევ დიდების მწვერვალზე აიყვანა. სწორედ მან მიიწვია ლევ ტოლსტოის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში სოფი და ანას ტრაგიკულ როლზე დაამტკიცა.

— ჩემში არაფერია რუსული, მაგრამ მაინც დავთანხმდი ამ როლის თამაშს. როდესაც „ანა კარენინა" წავიკითხე, მივხვდი, რომ იგივე შესაძლოა მეც დამემართოს, ხოლო როდესაც კოსტიუმი ჩავიცვი და სანკტ-პეტერბურგში გადაღებები დაიწყო, ნამდვილ რუსად წარმოვიდგინე თავი, — განაცხადა ფილმის გადაღების შემდეგ მარსომ.

ვერც ერთი ფრანგი მსახიობი ქალი ვერ აჰყვა ჰოლივუდურ თამაშებს ისე, როგორც სოფი. შემდეგ იყო უილიამ შექსპირის პიესის მიხედვით გადაღებული მელოდრამა „ზაფხულის ღამის სიზმარი", რომელიც რეჟისორმა მაიკლ ჰოფმანმა გადაიღო და მარსოს პარტნიორობას მიშელ პფაიფერი, კევინ კაინი და რუპერტ ევერტი უწევდნენ.

1999 წელს მარსო უკვე პირს ბროსნანის პარტნიორი გახდა ჯეიმს ბონდის სერიალის ახალ სერიაში „მთელი მსოფლიო მაინ ცოტაა", სადაც ავი ელექტრა კინგის როლი შეასრულა. ფილმის გადაღებების დროს მარსოს დიდი მოგზაურობა მოუხდა — იყო დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთსა და თურქეთში.

— ჩემი გმირი, ელექტრა კინგი, ერთადერთია, რომელიც ჯეიმს ბონდმა ვერ მოარჯულა. ყველა ქალს, რომელთანაც ბონდი იწვა, თავისი საქმეებისთვის იყენებდა, ჩემს გმირთან კი ყველაფერი პირიქით იყო, — ამაყად განაცხადა მარსომ.



ამ ფილმის შემდეგ ამერიკულმა კინოსამყარომ კიდევ ერთხელ აღიარა ფრანგი მსახიობის ნიჭი.

იმავე წელს სოფი ფრანგულ კინოსაც დაუბრუნდა და ითამაშა რაფაელ ბიედუს რომანის მიხედვით გადაღებულ შესანიშნავ მელოდრამაში „ჩემი ღამეები თქვენს დღეებზე უკეთესია", რითიც კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა თავისი ქვეყნის მაყურებელი.

### 2000-იანი წლები

საუკუნის დასაწყისში მარსო არა მარტო ფრანგი და ამერიკელი მაყურებლის საყვარელი მსახიობი გახდა, არამედ დიდი პოპულარობით სარგებლობდა კორეაში, გერმანიაში, რუსეთში, თუმცა, მსახიობს უხდებოდა მძიმე პერიოდების გადატანაც, რადგან ყველა ფილმი ერთნაირად პოპულარული არ იყო და კრიტიკის ობიექტიც ხდებოდა.

ახალ საუკუნეში მისი პირველი წარმატებული როლი გამოდგა ფილმში „ბელფეგორი — ლუვრის მოჩვენება". აღსანიშნავია, რომ თავად ფილმის გადაღებები სწორედ ლუვრში მიმდინარეობდა. ამ ფილმის შემდეგ მარსო კიდევ უფრო სასურველი მსახიობი გახდა რეჟისორებისთვის, რომლებიც მზად იყვნენ, მის ყველა პირობას დათანხმებულიყვნენ.

2003 წელს მარსომ ითამაშა მორიგ ინგლისურენოვან კომედიაში „ალექსი და ემა", რომელმაც ნეგატიური გამოძახილი ჰპოვა კრიტიკოსებს შორის. თუმცა, მარსომ მალევე „გამოასწორა" ყველაფერი — 2004 წელს მან მედდის როლი ითამაშა ფილმში „საღამომდე".

მაყურებელი არც მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრების შემდეგ დარჩენილა გულგრილი. ფილმები „საწოლის მეორე მხარეს" და „არ მოიხედო" საკმაოდ წარმატებული გამოდგა.

მარსო ჯერ ისევ „ქორფაა" და, როგორც ვარაუდობენ, უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე სერიოზულ როლში უნდა ვიხილოთ.

### კინოს გარეთ

ფილმების გარდა, მარსო წარმატებულად თამაშობს თეატრშიც. მისი დებიუტი 1991 წელს შედგა „ევრიდიკეში", რომელმაც შემდეგ „მოლიერის" პრემია მიიღო.

1995 წელს მარსო რეჟისორადაც მოგვევლინა, როდესაც 11-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო.

რეჟისორობა მარსომ 7 წლის შემდეგაც სცადა — ამჯერად გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფილმი „მელაპარაკე სიყვარულზე", რომელმაც კანადაში გამართულ ფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისთვის ჯილდოც დაიმსახურა.

1996 წელს მარსომ ბედი მწერლობაშიც სცადა და ნახევრად ავტობიოგრაფიული წიგნი „მატყუარა" გამოსცა.

მარსოს ძალიან უყვარს იოჰან სებასტიან ბახის მუსიკის მოსმენა, ასევე სიამოვნებას ანიჭებს ხატვა. დახატული აქვს საყვარელი მწერლების პორტრეტები, რომელთა შორის არიან ტოლსტოი და კაფკა.

მარსო რამდენიმე ცნობილი ბრენდის სახეა, ხოლო ჰოლივუდის ყველაზე ლამაზ კინოვარსკვლავებში მე-18 ადგილზე გავიდა.

### პირადი ცხოვრება

მარსო ორჯერ არის გათხოვილი. მისი პირველი მეუღლე ანჟეი ჟულავსკი იყო, რომელიც სოფიზე 24 წლით არის უფროსი. მათ თანაცხოვრებას მოჰყვა ვაჟი ვინსენტი.

2002 წელს წყვილი ერთმანეთს დაშორდა და ამის მიზეზი სოფი იყო, რომელსაც ამერიკელი პროდიუსერი ჯიმი ლემლი შეუყვარდა. მათ ერთმანეთი 1995 წელს „მამაცი გულის" გადაღებების დროს გაიცნეს.

უყვარს ბაღში ჯდომა, ბავშვებთან თამაში, გემრიელი საჭმლის კეთება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# გიორგი ცინცაძე მამა ხდება



დასაწყისი მე-16 გვერდზე

***— ფორმაში ნელ-ნელა შედიხართ და თამაშს უმატებთ. კმაყოფილი ხართ საკუთარი პროგრესით?***

— ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, ეს არ არის ჩემი მაქსიმუმი, მაგრამ, რა შედარებაა, ადრე ვერაფერს ვაკეთებდი, ახლა ნაკლებად მაწუხებს ფეხი, რაც უკეთესი თამაშის შესაძლებლობას მაძლევს. ზაფხულისთვის სასურველ ფორმაში ჩავდგები.

***— ბალტიის ლიგაზე „რუდუპისის“ წინააღმდეგ 22 წუთში 18 ქულით „როკის“ ბომბარდირი გახდით, ხოლო „ლიეპაიასთან“ — საუკეთესო მეპასე.***

— „რუდუპისის“ წინააღმდეგ შეტევაზე ვიყავი კონცენტრირებული, ხოლო „ლიეპაიასთან“ პასებზე მქონდა აქცენტი გაკეთებული... ვფიქრობ, გუნდის გამარჯვებაში გარკვეული წვლილი შევიტანე და, რაც მთავარია, ორივე მატჩი მოვიგეთ.

***— ბალტიის ლიგაზე „როკს“ რა შანსები აქვს?***

— ბალტიის ლიგაზე ფლეი-ოფში გასვლის დიდი შანსი გვაქვს და შემდეგ ვნახოთ. მთავარია, რომელ ადგილს დავიკავებთ, სასურველია მე-2, მე-3 ადგილებზე გავიდეთ, ანუ შევინარჩუნოთ პოზიცია, რომელზეც ახლა ვიმყოფებით. ერთი თამაში გასვლაზე გველის, ერთი — სახლში. სტუმრად ალბათ გაგვიჭირდება, მაგრამ ამ ორივე მატჩის მოგება მნიშვნელოვანია.

***— ესტონეთის ჩემპიონატზე რას იტყვით?***

— რა თქმა უნდა, ნაკლებად ძლიერი გუნდები არიან, ვიდრე ბალტიის ლიგაზე. 1-2 გუნდია ძლიერი, ვისთანაც დაძაბული თამაშები გვაქვს ხოლმე, დანარჩენებთან კი თუ გაგვიჭირდა თამაში, ეს უკვე ჩვენი პრობლემაა და არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გვჯობნიან. ესტონეთის ჩემპიონატი დაბალი დონისაა და არ უნდა გაგვიჭირდეს, წესით, ფინალში გასვლა.

***— „როკის“ მწვრთნელს ინდრიკ ვესპაანუს როგორ დაახასიათებდით, როგორი დამოკიდებულება აქვს თქვენ მიმართ?***

— მწვრთნელთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მაქვს. მას ვარჯიშზე ვხვდები ხოლმე. ინდრიკს ახლა განსხვავებული შეხედულება აქვს კალათბურთზე, ვიდრე ადრე. ახალგაზრდებზე, სწრაფ შეტევებსა და ღია თამაშზე აქვს გაკეთებული აქცენტი, შესაძლოა იმიტომ, რომ თვითონაც ახალგაზრდა, სულ რაღაც 30 წლისაა.

***— გუნდში როგორი ატმოსფეროა?***

— ყველაფერი კარგადაა. გუნდის წევრები ძალიან თბილად არიან ჩემ მიმართ, ადაპტაცია არც კი გამჭირვებია, ვმეგობრობთ და ერთმანეთს ვსტუმრობთ კიდეც.

***— ნაკრების თემაზე გადავიდეთ: სულ ახლახან ჩატარდა ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა. რას იტყვით ჩვენს ჯგუფზე და რა აზრის ხართ მეტოქეებზე?***

— საკმაოდ სასურველ ჯგუფში მოვხვდით. ჩემი აზრით, შანსი გვაქვს, მაგრამ ალბათ სხვებიც ჩემნაირად ფიქრობენ და ნამდვილად არ იქნება ადვილი თამაშები. მოშვების უფლება არც ერთ გუნდთან არ გვაქვს, ყველასთან მაქსიმალურად, 100%-ით უნდა დავიხარჯოთ, განსაკუთრებით კი — რუსეთთან. რუსეთთან მატჩს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა არა აქვს და, თუკი გავიმარჯვებთ, მთელ საქართველოს ძალიან გავახარებთ. მთავარია, ჯანმრთელად ვიყოთ, ტრავმებმა ხელი არ შეგვიშალოს და ვფიქრობ, ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნებით.

***— რა არის ჩვენი უმთავრესი მიზანი ევრობასკეტზე?***

— ჯგუფიდან გასვლა. მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი ერთი თამაშის მოგებაც კი დიდი შედეგი იქნება. მთავარია, პირველი ეტაპი დავძლიოთ. დებიუტისთვის ესეც ძალიან დიდ მიღწევად ჩაითვლება.

***— თუ ესაუბრეთ ნაკრების სხვა წევრებს ამ თემაზე? რას ფიქრობენ ისინი?***

— ტელეფონით ვესაუბრე ვიქტორ სანიკიძესა და ზაზა ფაჩულიას. ისინი გახარებული იყვნენ. ვფიქრობთ, გაგვიმართლა და ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. კენჭისყრამ თავისი საქმე გააკეთა, ახლა ჯერი ჩვენზეა.

***— ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ხომ არ გისაუბრიათ?***

— იგორ კოკოშკოვთან არ მისაუბრია. ალბათ, ისიც კმაყოფილია.

***— რას ფიქრობთ ჩვენი ნაკრების ნატურალიზებულ ამერიკელ ტორინ გრინზე, როგორ მოერგო ის გუნდს და უნდა ველოდეთ თუ არა მისგან ბევრად უკეთეს თამაშს?***

— გრინისთვის პირველი წელი იყო ნაკრებში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, კარგად ითამაშა და ძალიან დაგვეხმარა. მომავალ წელს ალბათ უკეთესად და თავისუფლად ითამაშებს, ყველანაირი კომპლექსი მოეხსნება და უცხოდაც არ იგრძნობს თავს. ვფიქრობ, წლევანდელ თამაშებში უფრო შედეგიანი იქნება.

***— კენჭისყრას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. სააგენტო სპორტ.რუ-მ ჩვენს ნაკრებზე ვრცელი სტატიაც გამოაქვეყნა, სადაც თქვენს მინუსებსა და პლუსებზეც გამახვილდა ყურადღება. თუ გაეცანით ამ მასალას და იზიარებთ თუ არა რუსი ჟურნალისტის შეხედულებებს?***

— როგორც ჩანს, სტატიის ავტორს ჩვენი შარშანდელი თამაშები ჰქონდა ნანახი, სადაც მე აშკარად არ ვიყავი ფორმაში. 5 თვე არც ერთ გუნდში არ ვირიცხებოდი, პლუს ტრავმა მაწუხებდა და ჩემი შესაძლებლობების ნახევრის ნახევარსაც ვერ ვავლენდი. რაც შეეხება იმას, რომ მოედნის ხედვა არ მაქვს, ამაში ვერ დავეთანხმები. ჩემი პლუსი სწორედ მოედნის ხედვაა. ასევე ვერ გავიზიარებ იმ აზრს (და არა მარტო მე), რომ სანიკიძეს ტექნიკა აკლია ან მსროლელი არ გვყავს. მანუჩარ მარკოიშვილის დონის მსროლელი რუსებს ნამდვილად არ ჰყავთ.

***— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე რას ფიქრობთ?***

— საკალათბურთო სუპერლიგას ყოველთვის ვადევნებ თვალ-ყურს და ბიჭებს ვგულშემატკივრობ. ყველა ტურის შემდეგ ვეცნობი მატჩების ანგარიშებსა და სტატისტიკას. სასიხარულოა, რომ 11 გუნდი მონაწილეობს წლევანდელ ჩემპიონატში. გუნდებიც გაცილებით უკეთ გამოიყურებიან და მისასალმებელია, რომ მოთამაშეებს ხელფასები ურიგდებათ. როდესაც არ ფიქრობ საარსებო წყაროზე და ხელფასს თავის დროზე იღებ, მაშინ თამაშზე მთლიანად კონცენტრირებული ხარ და მაქსიმალურად იხარჯები. მივესალმები იმ ფაქტს, რომ ლეგიონერები დაუბრუნდნენ ჩემპიონატს. თუ მათ კარგი პირობები და ანაზღაურება ექნებათ, ყველა სიხარულით ითამაშებს საქართველოში. ამას წინათ საქართველოს თასის ფინალს ვუყურე, რომელიც ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. მესიამოვნა, ამდენი ხალხი რომ ესწრება თამაშებს. იმედია, ერთ დროს მეც დავბრუნდები და ჩემს სამშობლოში ვითამაშებ.

***— წლევანდელ სუპერლიგაში მოთამაშე კალათბურთელებს ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი თუ აქვთ?***

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მწვრთნელი აუცილებლად გამოცდის მათ, ვინ თავს გამოიჩენს ჩემპიონატში. სუპერლიგაში არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოისინჯონ ნაკრებში, ამით მათ თავდაჯერებულობა შეემატებათ, რომ ახლოს არიან ნაკრებთან და მეტი სტიმულიც ექნებათ. გამოვყოფდი გიორგი შარაბიძეს, რომელიც ახალგაზრდა და პერსპექტიული კალათბურთელია, აგრეთვე ლაშა ფარღალავას.

***— მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?***

— სეზონის ბოლომდე ტარტუში ვარ. თურქეთიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ ვერ წავედი. ევროპის ჩემპიონატზე თუ კარგად ვიასპარეზებთ, ნაკრების წევრებს ალბათ კარგი შემოთავაზება გვექნება.

***— როგორია თქვენი გრაფიკი ესტონეთში, რამდენად დატვირთული რეჟიმი გაქვთ?***

— დილას და საღამოს ვარჯიშები მაქვს, შუალედში კი ძირითადად მძინავს და ვისვენებ. ამას წინათ წავაგეთ და მწვრთნელმა დაგვსაჯა — დილის 6 საათზე დაგვინიშნა ვარჯიში, შემდეგ — 11-ზე და ბოლოს — საღამოს 6-ზე. იმედი მაქვს, მსგავსი რამ აღარ გამეორდება. თავისუფალ დროს კომპიუტერთან ვატარებ, „სკაიპით“ მეგობრებს ველაპარაკები ან ფილმს ვუყურებ, ან სადმე მივდივართ მე და ჩემი მეუღლე.

***— გიორგი, თქვენი ესტონური სკანდალიც უნდა ვახსენოთ, ავტოავარიას ვგულისხმობ.***

— სერიოზული არაფერი მომხდარა. ეს ყველაფერი ჟურნალისტებმა გააბუქეს, ვინაიდან ცნობადი სახე ვარ.

***— ესტონეთში მეუღლესთან, ნანა ცინცაძესთან ერთად ცხოვრობთ და მალე მამა გახდებით. რას ნიშნავს ეს თქვენთვის, როგორი შეგრძნებაა?***

— ბავშვს დღე-დღეზე ველოდებით, ბიჭის მამა ვხდები, ნიკოლოზს ვარქმევთ. 21 წლის დავოჯახდით, მაგრამ ბავშვზე არ გვიფიქრია, ცოტა მოგვიანებით ვგეგმავდით და ასეც მოხდა. 7 თებერვალს 25 წელი შემისრულდა და საუკეთესო საჩუქარსაც მივიღებ. მამობა ყველაფრისგან განსხვავებული და განსაკუთრებული გრძნობაა. ჯერ არ დაბადებულა პატარა და უკვე მენატრება. ყველას ვურჩევდი, მეტი და მეტი ბავშვი იყოლიონ.

***— გადავიდეთ იმ თემებზე, რომლებიც გულშემატკივარს სპორტულ მიღწევებზე არანაკლებ აინტერესებს. ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებთ უპირატესობას და საყვარელი აქსესუარი თუ გაქვთ?***

— ჩაცმა ძალიან მიყვარს. ვგიჟდები „შოპინგებზე“. მოდას არ მივყვები, ჩემი სტილი მაქვს. მიყვარს თავისუფლად და სპორტულად ჩაცმა, მოშვებული შარვლები. უპირატესობას განსაკუთრებით ჯინსებს ვანიჭებ. კედებსა და პერანგებზე ვგიჟდები, უამრავი მაქვს, მაგრამ მაინც ვყიდულობ. ამის გამო სახლში სულ მეჩხუბებიან, კლასიკური სამოსიც იყიდეო, მაგრამ არ მიყვარს, ჩემს გემოვნებაში არ ჯდება. რაც შეეხება აქსესუარებს, განსაკუთრებული არაფერი მაქვს, მაგრამ სულ ვატარებ ჯვარსა და წმინდა გიორგის მედალიონს.

***— რა მუსიკას უსმენთ, რომელია თქვენი საყვარელი ჟანრი?***

— ყველანაირი ჟანრის მუსიკას ვუსმენ, განსაკუთრებით მიყვარს ბარი ვაითი, ჩემს ყველანაირ განწყობას ერგება. ქართული მუსიკიდან მომწონს „მგზავრები“. ხანდახან ჰიპ ჰოპსაც ვუსმენ.

***— იმ ქვეყნებიდან, სადაც გითამაშიათ, რომელს ანიჭებთ უპირატესობას?***

— ესტონეთი მომწონს. მართალია, აქ ძალიან ცივა და აუტანელი ამინდებია, მაგრამ კარგი ქვეყანაა. საქართველოში ემოციური ხალხი ცხოვრობს, აქ კი მშვიდი ხალხია და ცხოვრებაც წყნარად მიედინება. ადრე სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ ახლა, როცა ასაკი მომემატა, ვთვლი, რომ თბილისი ყველაზე მაგარი ქალაქია და მის გარდა არსად არ ვიცხოვრებდი.

***— რომელია თქვენი საოცნებო კლუბი, რომელ ქვეყანაში გსურთ თამაში?***

— ჩემი საოცნებო კლუბია „ბარსელონა“, ქალაქიც ძალიან მიყვარს, ფეხბურთშიც ამ გუნდს ვგულშემატკივრობთ მთელი ოჯახი. „ბარსაში“ თამაში ჩემი ოცნებაა.

***— ყველაზე მეტად ვინ ან რა გენატრებათ საქართველოში?***

— ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები მენატრებიან, კიდევ — ქართული სამზარეულო. როდესაც ჩემი მეგობრები ერთად იკრიბებიან, მირეკავენ და მაშინ კიდევ უფრო მენატრებიან. საერთოდ, ძალიან მოძრავი, აქტიური ვარ და აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ. მიყვარს ბევრი ლაპარაკი და ხუმრობა, ხალხში ყოფნა, უმოქმედოდ და უმოძრაოდ ყოფნა არ შემიძლია.

***— როგორი ხართ ოჯახში და უახლოეს მეგობრებთან, როგორი ხასიათი გაქვთ, რა არის თქვენი ყველაზე დიდი მინუსი და პლუსი?***

— ჩემი პლუსი და მინუსი, ვფიქრობ, ერთი რამ არის — ძალიან თბილი და მეგობრული ვარ, იმას, რასაც სხვას არ გავუკეთებ, მგონია, რომ ისინიც არ გამიკეთებენ, მაგრამ ხშირად ყველაფერი საპირისპიროდ ხდება. მგონია, რომ ყველაფერი თეთრია და შავი არაფერი ხდება, ამიტომ უმეტესად ცუდ სიტუაციაში ვვარდები. ადამიანებთან ადვილად შევდივარ კონტაქტში, ზედმეტად თბილი ვარ და ურთიერთობაში საზღვარს, ოქროს შუალედს ვერ ვიჭერ.

# ლუის სურესი: „ინგლისში ჩემპიონობისთვის ჩამოვედი“

ამსტერდამის „აიაქსში“ გატარებული 4 სეზონის შემდეგ ურუგვაის ეროვნული ნაკრების ფორვარდი, ლუის სუარესი, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე, 31 იანვარს, „ლივერპულში“ გადავიდა. ინგლისური კლუბის მესვეურებმა სუარესის სანაცვლოდ ჰოლანდიელებს 22,7 მილიონი გირვანქა გადაუხადეს და, სამხრეთამერიკელის პრემიერლიგაში დებიუტით თუ ვიმსჯელებთ, ცუდი არჩევანი არ გაუკეთებიათ. სუარესმა „ლივერპულში“ პირველი შეხვედრა „სტოკთან“ ჩაატარა და მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა 15 წუთში გოლიც მიითვალა. „მერსისაიდელების“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში საკუთარ დებიუტს სუარესმა „ჯადოსნური“ უწოდა.

***— „ლივერპულის“ რიგებში ჩატარებულ სადებიუტო შეხვედრაში გოლის გატანა თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია?***

— „ჯადოსნური“ დებიუტი მქონდა. ვფიქრობ, ამაში ყველა დამერწმუნება, რადგან მსგავს რამეზე მხოლოდ ოცნება შემეძლო. მოედანზე გახვიდე და რამდენიმე წუთში გოლი გაიტანო, მით უმეტეს „ენფილდზე“ — ეს განხორციელებული ოცნებაა.

***— გატანილმა გოლმა გარკვეული კამათი გამოიწვია — ის თქვენს ანგარიშზე უნდა ჩაიწეროს თუ ავტოგოლად ჩაითვალოს?***

— ეს გოლი, როგორც ჩემი საკუთარი, ისე ვიზეიმე. იმედია, ვინც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, მხარს მე დამიჭერს. რაც არ უნდა იყოს, ბურთი ხომ კარში შევარდა.

***— პრემიერლიგაზე თქვენი პირველი შთაბეჭდილება როგორია, რამდენად შეესაბამება ის თქვენს მოლოდინს?***

— ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც წარმომედგინა. ინგლისურ ფეხბურთზე თითქმის სრული ინფორმაცია მქონდა, რადგან ჰოლანდიის ტელევიზიით პრემიერლიგის მატჩებს თვალს ვადევნებდი. ადგილზეც ყველაფერი ისეთივე საუცხოო აღმოჩნდა.



***— ინგლისურ ლიგაში ადაპტაცია რა სირთულეებს გიქადით?***

— ძალიან ძლიერი და თანაბარი ჩემპიონატია, იოლი შეხვედრა არც ერთ გუნდთან არაა. საგოლე მომენტიც ბევრი არ იქმნება, ამიტომ ისინი მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გამოიყენო. სწორედ ამას უნდა მივეჩვიო, რათა ინგლისში საკუთარი შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინო.

***— ჰოლანდიაში ძალიან ბევრი ბურთი გაგქონდათ. ინგლისში საკუთარ ანგარიშზე რამდენი გოლის ჩაწერას აპირებთ?***

— იმედია, გოლების ხშირად გატანას გავაგრძელებ. თუმცა, ჩემი უმთავრესი მიზანია, კლუბს სატურნირო ცხრილში მდგომარეობის გაუმჯობესებაში დავეხმარო. არა აქვს მნიშვნელობა, გოლები გამაქვს თუ უბრალოდ გუნდურ თამაშში ვმონაწილეობ. ფეხბურთი სპორტის კოლექტიური სახეობაა და არა ინდივიდუალური.

***— „ლივერპულში“ განსაკუთრებულ იმედს თქვენი და გუნდის კიდევ ერთი ძვირადღირებული შენაძენის, კეროლის წყვილზე ამყარებენ...***

— „ნიუკასლში“ მის თამაშს თვალს ვადევნებდი და მომწონდა. ის ტიპური მაღალი „9 ნომერია“ და ასეთ მოთამაშეებთან ყოველთვის წარმატებით ვურთიერთქმედებდი. ასე რომ, ჩვენი წყვილი მართლაც იმედისმომცემად გამოიყურება.

***— „აიაქსთან“ განშორება ძნელი იყო?***

— გარკვეულწილად — კი, რადგან იქ რამდენიმე წარმატებული სეზონი გავატარე. ამ კლუბთან მხოლოდ კარგი მოგონება მაკავშირებს. თუმცა, ეს ფეხბურთია და, როგორც მოთამაშეს, განვითარებისთვის რაღაც უნდა შემეცვალა, წინსვლა იყო საჭირო.

***— თქვენი შეძენა ბევრ ევროპულ კლუბს სურდა და არჩევანი „ლივერპულზე“ რატომ შეაჩერეთ?***

— „ლივერპული“ საუცხოო კლუბია, რომლის რიგებში თამაშზეც ნებისმიერი ოცნებობს. ეს გუნდი მუდმივად გამოდის ევროთასებზე და პრემიერლიგის ტოპ-კლუბების ოთხეულში შედის. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია, რომ ერთხელ მაინც მოხვდეს დიდ კლუბში. ჩემთვის ეს საუცხოო შანსია.

***— ბოლო სეზონებში „მერსისაიდელები“ არ ბრწყინავენ.***

— მერე რა? გაიხსენეთ, რამდენი ჯილდო აქვს „ლივერპულს“ მოპოვებული, თან — არც ისე დიდი ხნის წინ. მართალია, ახლა გუნდს გარკვეული დაღმასვლა აქვს, მაგრამ ახალ მეპატრონეებს მისი მოწინავე პოზიციებზე დაბრუნება სურთ და მოხარული ვიქნები, თუ დიდ გუნდს ამაში დავეხმარები.

***— უახლოეს სეზონებში „ლივერპულს“ ბრძოლა რისთვის მოუწევს?***

— ჩვენ ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

# ბრიტანეთში ქალაქური, აპენინებზე კი იტალიური დერბებია

### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.02 | მანჩესტერი-სიტი | 1.73 | 3.75 | 4.5 |
| 12.02 | არსენალი-ვულვზი | 1.25 | 6.0 | 10.0 |
| 12.02 | ბირმინგემი-სტოკი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 12.02 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2.05 | 3.4 | 3.5 |
| 12.02 | ბლექპ.-ასტონ ვილა | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 12.02 | ლივერპული-უიგანი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 12.02 | ვესტ ბრომპ-ვესტ ჰემი | 1.95 | 3.5 | 3.75 |
| 12.02 | სანდერყ-ტოტენჰემი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 13.02 | ბოლტონი-ევერტონი | 2.6 | 3.2 | 2.6 |
| 13.02 | ფულემი-ჩელსი | 4.5 | 3.5 | 1.8 |

**მანჩესტერი — სიტი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-რიო ფერდინანდი, ანტონიო ვალენსია

სიტი: ***ტრავმ***-მაიკ რიჩარდსი, ადამ ჯონსონი, მარიო ბალოტელი

**არსენალი — ვულვზი**

არსენალი: ***ტრავმ***-რობინ ვან პერსი (?), იოან ჯურუ, ალექს სონგი, დენილსონი, სამირ ნასრი, ლუკაშ ფაბიანსკი, ტომას ვერმალენი, ემანუელ პრიმპონგი; ***დისკვ***-აბუ დიაბი

ვულვზი: ***ტრავმ***-სტივენ ჰანტი, მაიკლ კიტლი

**ბირმინგემი — სტოკი**

ბირმინგემი: ***ტრავმ***-ერნიჩ ველში, სკოტ დანი, ჯეიმს მაკფადენი (?)

სტოკი: ***ტრავმ***-არავინ

**ბლექპული — ასტონ ვილა**

ბლექპული: ***ტრავმ***-მეტიუ გილკსი (?), კრის ბაშამი, ბილი კლარკი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ლუკ იანგი, ფაბიენ დელფი, ანდრეას ვაიმანი; ***დისკვ***-ნატან ბაკერი

**ლივერპული — უიგანი**

ლივერპული: ***ტრავმ***-სტივენ ჯერარდი (?), ჯო კოული, ენდრიუ კეროლი

უიგანი: ***ტრავმ***-არავინ

**ვესტ ბრომვიჩი — ვესტ ჰემი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-მარეკ ჩეხი (?), ისმაილ მილერი, პაბლო იბანიესი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მეტიუ აპსონი, ჯეიმს ტომკინსი, რობი კინი, პეტერ კურუვჩი

**სანდერლენდი — ტოტენჰემი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დენი ველბეკი, დევიდ მეილერი, ლი კატერმოლი, მაიკლ ტერნერი, ფრაიზერ კემბელი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-რაფაელ ვანდე ვაარტი (?), ლიკა მოფრიჩი, იუნის კაბული, გარეთ ბეილი (?), ლედლი კინგი

**ბოლტონი — ევერტონი**

ბოლტონი: ***ტრავმ***-შონ დევისი (?), ლოიდ სამუელი

ევერტონი: ***ტრავმ***-როს ბარკლი

**ფულემი — ჩელსი**

ფულემი: ***ტრავმ***-დიკსონ ეტუხუ, ბობი ზამორა (?), ფილიპ სენდეროსი (?)

ჩელსი: ***ტრავმ***-იური ჟირკოვი, იოსი ბენაიუნი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 25 | 15 | 9 | 1 | 55:24 | 54 |
| 2.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54:27 | 50 |
| 3.სიტი | 26 | 14 | 7 | 5 | 42:22 | 49 |
| 4.ჩელსი | 25 | 13 | 5 | 7 | 46:22 | 44 |
| 5.ტოტენჰემი | 25 | 12 | 8 | 5 | 35:27 | 44 |
| 6.ლივერპული | 26 | 11 | 5 | 10 | 34:31 | 38 |
| 7.სანდერლენდი | 26 | 9 | 10 | 7 | 32:31 | 37 |
| 8.ბოლტონი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:37 | 33 |
| 9.სტოკი | 25 | 10 | 3 | 12 | 31:32 | 33 |
| 10.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 40:38 | 31 |
| 11.ბლექბერნი | 26 | 9 | 4 | 13 | 34:42 | 31 |
| 12.ფულემი | 26 | 6 | 12 | 8 | 28:28 | 30 |
| 13.ევერტონი | 26 | 6 | 12 | 7 | 33:34 | 30 |
| 14.ას. ვილა | 26 | 7 | 8 | 11 | 30:45 | 29 |
| 15.ბლექპული | 25 | 8 | 4 | 13 | 38:49 | 28 |
| 16.ბირმინგემი | 24 | 5 | 12 | 7 | 24:33 | 27 |
| 17.უიგანი | 25 | 5 | 11 | 9 | 26:41 | 26 |
| 18.ვესტ ბრომ. | 25 | 7 | 5 | 13 | 31:48 | 26 |
| 19.ვესტ ჰემი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:45 | 24 |
| 20.ვულვზი | 25 | 7 | 3 | 15 | 26:43 | 24 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.02 | მილანი-პარმა | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 12.02 | რომა-ნაპოლი | 2.2 | 3.25 | 3.3 |
| 13.02 | პალერმო-ფიორენტინა | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 13.02 | ბარი-ჯენოა | 3.1 | 3.1 | 2.37 |
| 13.02 | ბრეშა-ლაციო | 3.1 | 3.1 | 2.37 |
| 13.02 | კალიარი-კიევო | 2.1 | 2.9 | 4.0 |
| 13.02 | კატანია-ლეჩე | 1.8 | 3.3 | 5.0 |
| 13.02 | ჩეზენა-უდინეზე | 3.5 | 3.15 | 2.15 |
| 13.02 | სამპდორია-ბოლონია | 2.1 | 3.0 | 3.9 |
| 13.02 | იუვენტუსი-ინტერი | 2.9 | 3.1 | 2.5 |

**მილანი — პარმა**

მილანი: ***ტრავმ***-ნიკოლა ლეგროტალიე, ლუკა ანტონინი (?), მასიმო ამბროზინი, იგნასიო აბატე, ალესანდრო ნესტა, კევინ-პრინს ბოატენგი, ჯანლუკა ძამბროტა, ფილიპო ინძაგი

პარმა: ***ტრავმ***-დანიელე გალოპა (?), ანტონიო კალვო, ფერნანდო მარკესი; ***დისკვ***-სტეფანო მორონე




**რომა — ნაპოლი**

რომა: ***ტრავმ***-ფრანჩესკო ტოტი, ადრიანო, დავიდ პიზარო (?); ***დისკვ***-ნიკოლას ბურდისო, ფილიპ მექსე

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლუიჯი ვიტალე, ჯანლუკა გრავა

**პალერმო — ფიორენტინა**

პალერმო: ***ტრავმ***-ჩეზარე ბოვო (?), ფედერიკო ბარძალეტი (?), მატეო დარმიანი (?), დორინ გოიანი, მაურისიო პინილია; ***დისკვ***-ადმინ ბაჩინოვიჩი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ხუან ვარგასი, სებასტიენ ფრეი, სტევან იოვეტიჩი

**ბარი — ჯენოა**

ბარი: ***ტრავმ***-სტეფანო ოკაკა ჩუკა (?), ემანუელ რივასი (?), ნიკოლა ბელმონტე (?), პაულო ბარეტო, აბდელკადერ გეზალი, სალვატორე მასიელო

ჯენოა: ***ტრავმ***-მატია დესტრო, მაურო ბოსელი, ლუკა ანტონელი (?)

**ბრეშა — ლაციო**

ბრეშა: ***ტრავმ***-მარკო ძამბელი (?), მატეო სერინი (?), ნიკოლას კორდოვა (?), სიმონე დალამანო

ლაციო: ***ტრავმ***-სიმონე დელ ნერო, შტეფან რადუ (?), მობიდო დიაკიტე, სერჯი ფლოკარი, ხავიერ გარიდო, ტომაზო როკი

**კალიარი — კიევო**

კალიარი: ***ტრავმ***-რაჯა ნაინგოლანი, სიმონ ლანერი

კიევო: ***ტრავმ***-მიკელე მარკოლინი, ლუჩიანო; ***დისკვ***-გელსონ ფერნანდესი

**კატანია — ლეჩე**

კატანია: ***ტრავმ***-ჯუზეპე ბელუჩი (?), ეზეკიელ კარბონი (?), ჩირო კაპუანო, მარიანო იზკო; დისკვ-პაბლო ალვარესი

ლეჩე: ***ტრავმ***-დავიდ დი მიკელე (?), ოფერე, ალბერტო გუალიატო; ***დისკვ***-მედინა და სილვა ფაბიანო

**ჩეზენა — უდინეზე**

ჩეზენა: ***ტრავმ***-მაურიციო ლაურო; ***დისკვ***-ლუის ხიმენესი

უდინეზე: ***ტრავმ***-სამირ ჰანდანოვიჩი (?), გაბრიელ ანგელა, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი

**სამპდორია — ბოლონია**

სამპდორია: ***ტრავმ***-ნიკოლა პოცი, დანიელე კასტადელო (?), ფრანკო სემიოლი; ***დისკვ***-მასიმო ვოლტა

ბოლონია: ***ტრავმ***-გაბი მუდინგაი (?), რიკარდო მეჯორინი, ალბიმ ეკდალი; ***დისკვ***-მიგელ ბრიტოსი, ფრანჩესკო დელა როსა

**იუვენტუსი — ინტერი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, ვინჩენცო იაკინტა (?), სიმონე პეპე, არმანდ ტრაორე, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, ლენადრო რინაუდო

ინტერი: ***ტრავმ***-დიეგო მილიტო, ლუსიო, მაკდონალდ მარიგა, დეიან სტანკოვიჩი, ვალტერ სამუელი; ***დისკვ***-კრისტიან კივუ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 24 | 14 | 7 | 3 | 40:19 | 49 |
| 2.ნაპოლი | 24 | 14 | 4 | 6 | 38:22 | 46 |
| 3.ინტერი | 23 | 13 | 5 | 5 | 44:27 | 44 |
| 4.ლაციო | 24 | 12 | 6 | 6 | 30:22 | 42 |
| 5.პალერმო | 24 | 13 | 4 | 7 | 42:31 | 40 |
| 6.უდინეზე | 24 | 12 | 4 | 8 | 39:30 | 40 |
| 7.რომა | 23 | 11 | 6 | 6 | 35:30 | 39 |
| 8.იუვენტუსი | 24 | 10 | 8 | 6 | 40:30 | 38 |
| 9.კალიარი | 24 | 9 | 5 | 10 | 28:26 | 32 |
| 10.კიევო | 24 | 7 | 10 | 7 | 26:23 | 31 |
| 11.ფიორენტინა | 23 | 7 | 8 | 8 | 23:24 | 29 |
| 12.ბოლონია | 23 | 8 | 8 | 7 | 25:30 | 29 |
| 13.ჯენოა | 23 | 7 | 7 | 9 | 19:22 | 28 |
| 14.სამპდორია | 24 | 6 | 9 | 8 | 20:25 | 27 |
| 15.პარმა | 24 | 6 | 8 | 10 | 23:30 | 26 |
| 16.ლეჩე | 24 | 6 | 6 | 12 | 24:43 | 24 |
| 17.კატანია | 24 | 5 | 8 | 11 | 19:31 | 23 |
| 18.ბრეშა | 24 | 6 | 4 | 14 | 20:31 | 22 |
| 19.ჩეზენა | 24 | 5 | 6 | 13 | 17:31 | 21 |
| 20.ბარი | 24 | 3 | 5 | 16 | 14:39 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.02 | ატლეტიკო-ვალენსია | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 12.02 | ხიხონი-ბარსელონა | 15.0 | 6.5 | 1.18 |
| 12.02 | რასინგი-სევილია | 3.1 | 3.25 | 2.3 |
| 13.02 | ერკულესი-სარაგოსა | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 13.02 | ლევანტე-ალმერია | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 13.02 | მალაგა-ხეტაფე | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 13.02 | სოსიედადი-ოსასუნა | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 13.02 | დეპორტ.-ვილიარელი | 3.4 | 3.25 | 2.15 |
| 13.02 | ესპანიოლი-რეალი | 7.0 | 4.33 | 1.44 |
| 14.02 | მალიორკა-ბილბაო | 2.15 | 3.25 | 3.4 |

**ატლეტიკო — ვალენსია**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-პულიდო, მარიო სუარესი; ***დისკვ***-ლუის პერეა

ვალენსია: ***ტრავმ***-ვისენტე, დავიდ ალბელდა, სესარი, მიგელ მოია; ***დისკვ***-რიკარდო კოსტა

**ხიხონი — ბარსელონა**

ხიხონი: ***ტრავმ***-გარსია ტორე

ბარსელონა: ***ტრავმ***-კარლეს პუიოლი, ჟეფრენი, ბოიან კრკიჩი (?)

**რასინგი — სევილია**

რასინგი: ***ტრავმ***-ოსკარ სერანო, პაპადიოპი, ფაბიო კოლტორტი, ალექსანდეროს ციოლისი; ***დისკვ***-მარკუს როზენბერგი

სევილია: ***ტრავმ***-ლუკა ჯიგარინი, რენატო (?), ივიცა დრაგუტიმოვიჩი, ტიბერიო გუარენტე; ***დისკვ***-მუჰამადუ დაბო

**ერკულესი — სარაგოსა**

ერკულესი: ***ტრავმ***-მოჰამედ სარი, ნოე პარამოტი, აბრაჰამ კრუზი, ოლივერ ტომერი; ***დისკვ***-ფრანსისკო ფარინოსი

სარაგოსა: ***ტრავმ***-ივან ობრადოვიჩი (?), ედმილსონი, ვიქტორ ლაგუარდის, უჩე იკეჩუკვუ

**ლევანტე — ალმერია**

ლევანტე: ***ტრავმ***-სერხიო, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი; ***დისკვ***-ფელიპ კაიკედო

ალმერია: ***ტრავმ***-ხუანიტო, მანუელ ორტიზი (?), მიგელ ნიეტო; ***დისკვ***-გარსია ბადიასი

**მალაგა — ხეტაფე**

მალაგა: ***ტრავმ***-ხესუს გომესი, კრის სტარსგაარდი, რუბენი; ***დისკვ***-აპონო

ხეტაფე: ***ტრავმ***-რაფა ლოპესი, ხავიერ არიზმენდი, მარიო; ***დისკვ***-მანუ დელ მორალი, დანიელ პარეიხო

**სოსიედადი — ოსასუნა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-მიკელ არანბურუ, ხოსება ლიორენტე

ოსასუნა: ***ტრავმ***-რობერტო, ჯავად ნეკოუნამი, რუპერი; ***დისკვ***-დამია

**დეპორტივო — ვილიარელი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ალბერტო ლოპო (?), საული, ანდრეს გუარდადო

ვილიარელი: ***ტრავმ***-მარკო რუბენი, ხუან კარლოსი, ანგელ ლოპესი, მარკუს სენა

**ესპანიოლი — რეალი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ერნესტო გალანი, რაულ ბაენა, დანიელ ოსვალდო, კორო, ივან დე ლა პენია; ***დისკვ***-ალდო დუშერი

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, ირჟი დუდეკი, გონსალო იგუაინი; დისკვ-სერხიო რამოსი

**მალიორკა — ბილბაო**

მალიორკა: ***ტრავმ***-ვიქტორ კასადესუსი, ტომას პინა (?); ***დისკვ***-ნნუიესი, ჟოაო ვიქტორი, პიერ ვაბო

ბილბაო: ***ტრავმ***-ფერნანდო ამორებიეტა, იბაი გომესი, იონას რამალიო; ***დისკვ***-ხავი მარტინესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 66-11 | 58 |
| 2.რეალი | 21 | 16 | 3 | 2 | 48-17 | 51 |
| 3.ვილიარ. | 21 | 14 | 3 | 4 | 39-18 | 45 |
| 4.ვალენსია | 21 | 12 | 5 | 4 | 35-24 | 40 |
| 5.ბილბაო | 21 | 12 | 1 | 8 | 36-30 | 37 |
| 6.ესპანიოლი | 21 | 11 | 1 | 9 | 26-30 | 34 |
| 7.ატლეტიკო | 21 | 9 | 3 | 9 | 30-24 | 30 |
| 8.ხეტაფე | 21 | 9 | 2 | 10 | 34-35 | 29 |
| 9.სოსიედ. | 21 | 9 | 1 | 11 | 31-34 | 28 |
| 10.სევილია | 21 | 8 | 4 | 9 | 30-33 | 28 |
| 11.მალიორკა | 21 | 8 | 4 | 9 | 20-29 | 25 |
| 12.სარაგოსა | 21 | 5 | 8 | 8 | 21-30 | 23 |
| 13.დეპორტ. | 21 | 5 | 7 | 9 | 19-30 | 22 |
| 14.ოსასუნა | 21 | 5 | 6 | 10 | 21-29 | 21 |
| 15.ხიხონი | 21 | 5 | 6 | 10 | 20-29 | 21 |
| 16.ლევანტე | 21 | 6 | 3 | 12 | 23-33 | 21 |
| 17.რასინგი | 21 | 5 | 6 | 10 | 16-30 | 21 |
| 18.ალმერია | 21 | 4 | 8 | 9 | 22-34 | 20 |
| 19.ერკულესი | 21 | 5 | 4 | 12 | 18-35 | 19 |
| 20.მალაგა | 21 | 5 | 2 | 14 | 27-46 | 17 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.02 | ბაიერნი-ჰოფენჰაიმი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 12.02 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 3.5 | 3.4 | 2.05 |
| 12.02 | შალკე-ფრაიბურგი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 12.02 | ზანკტ პაული-გლადბ. | 2.05 | 3.4 | 3.5 |
| 12.02 | შტუტგარტი-ნიურნ. | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 12.02 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.37 | 3.3 | 2.9 |
| 12.02 | კაიზერი-დორტმუნდი | 5.0 | 3.75 | 1.67 |
| 13.02 | კიოლნი-მაინცი | 2.37 | 3.3 | 2.9 |
| 13.02 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.7 | 4.0 | 4.5 |

**ბაიერნი — ჰოფენჰაიმი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, დიეგო კონტენტო, ტონი კროოსი, ივიცა ოლიჩი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ჩინედუ ობასი, მანუელ გულდე

**აინტრახტი — ლევერკუზენი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ნიკოლა პეტკოვიჩი, რიკარდო კლარკი, ალექსნდერ ვასოსკი, კრისი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ტრანკილიო ბარნეტა

**შალკე — ფრაიბურგი**

შალკე: ***ტრავმ***-კრისტოფ მორიტცი, ჰანს სარპეი, ანგელოს ხარისტეასი, ლევან ყენია

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ჯულიან შუსტერი, ჯონათან ჯაგერი, სიმონ პუპლინი, დანიელ უილიამსი, პაველ კრმასი

**ზ.პაული — გლადბახი**

ზ.პაული: ***ტრავმ***-ფლორიან ლეჰნერი, კარსტენ როტენბახი, მარიუს ებერსი, ფაბიო მორენა

გლადბახი: ***ტრავმ***-როელ ბრაუვერსი

**შტუტგარტი — ნიურნბერგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-კაკაუ, მატეო დელპიერი, მამადუ ბა, იოან აუდელი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-პასკალ ბილერი, მიკ ფრანცი, იკაი გუნდოგანი, პერ ნილსონი, ალბერტ ბუანიკუ; ***დისკვ***-ანდრეას ვოლფი

**ვოლფსბურგი — ჰამბურგი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ტოლგა ჟიგერი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მუჰამედ ბესიჩი, კოლინ ბენჯამინი; დისკვ-გოიკო კაჩარი

**კაიზერი — დორტმუნდი**

კაიზერი: ***ტრავმ***-მარტინ ამედიკი, ილიან მიჩანსკი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სინჯი კაგავა, სებასტიენ კელი, პატრიკ ოვომოიელა; ***დისკვ***-ნევენ სუბოტიჩი

**კიოლნი — მაინცი**

კიოლნი: ***ტრავმ***-კრისტოფერ შორჩი, სებასტიენ ფრეისი, კევინ მაკკენა, ადილ ჩიჩი

მაინცი: ***ტრავმ***-ადამ სალაი, იან შიმაკი, ბო სვენსონი

**ვერდერი — ჰანოვერი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ტიმ ბოროვსკი, საიდ ჰუსეინოვიჩი, დანიელ იენსენი, ვესლი; ***დისკვ***-ტიმ ვიზე

ჰანოვერი: ***ტრავმ***-იან შლაუდრაფი, კარლიტოს

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 21 | 16 | 3 | 2 | 46:12 | 51 |
| 2.ლევერკუზ. | 21 | 11 | 6 | 4 | 41:30 | 39 |
| 3.მაინცი | 21 | 12 | 1 | 8 | 32:22 | 37 |
| 4.ჰანოვერი | 21 | 12 | 1 | 8 | 29:30 | 37 |
| 5.ბაიერნი | 21 | 10 | 6 | 5 | 42:26 | 36 |
| 6.ფრაიბურგი | 21 | 10 | 4 | 7 | 29:28 | 34 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 21 | 8 | 8 | 5 | 39:28 | 32 |
| 8.ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29:30 | 30 |
| 9.ნიურნბერ. | 21 | 8 | 5 | 8 | 26:30 | 29 |
| 10.აინტრახტი | 21 | 8 | 3 | 10 | 24:26 | 27 |
| 11.შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 26:26 | 26 |
| 12.ვოლფსბ. | 21 | 5 | 8 | 8 | 26:30 | 23 |
| 13.ვერდერი | 21 | 6 | 5 | 10 | 27:43 | 23 |
| 14.კაიზერი | 21 | 6 | 4 | 11 | 31:37 | 22 |
| 15.ზ.პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23:34 | 22 |
| 16.კიოლნი | 21 | 6 | 4 | 11 | 25:39 | 22 |
| 17.შტუტგარტი | 21 | 5 | 4 | 12 | 37:39 | 19 |
| 18.გლადბახი | 21 | 4 | 4 | 13 | 31:53 | 16 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.02 | არლე-მონპელიე | 5.0 | 3.3 | 1.8 |
| 12.02 | ბორდო-კაენი | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 12.02 | მონაკო-ლორიენი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 12.02 | ნანსი-ოსერი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 12.02 | პსჟ-ლანსი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 12.02 | სოშო-მარსელი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 12.02 | სენტ ეტიენი-ლიონი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 13.02 | რენი-ნიცა | 1.57 | 3.6 | 7.0 |
| 13.02 | ვალანსიენი-ბრესტი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 13.02 | ლილი-ტულუზა | 1.55 | 4.0 | 6.0 |

**არლე — მონპელიე**

არლე: ***ტრავმ***-ჯამელ ბენ იდირი, იან კერმორგანი, ლოიკ აბენზოარი, ვინსენტ პლანტე; ***დისკვ***-ნაბი-მუსა იატარა

მონპელიე: ***ტრავმ***-ნენად ძოძიჩი, ჯონი უტაკა, ჰასან კაბზე; დისკვ-ემირ სპაჰიჩი

**ბორდო — კაენი**

ბორდო: ***ტრავმ***-მარკ პლანუსი, კარლოს ენრიკე, აბდულაიე კეიტა

კაენი: ***ტრავმ***-ჟერემი სორბონი, ბრანკო ლაზარევიჩი, გრეგორი ტაფორო

**მონაკო — ლორიენი**

მონაკო: ***ტრავმ***-მუსა მააზუ, სედრიკ მონგონგუ, ჯიმი ტრაორე

ლორიენი: ***ტრავმ***-ლამინე კონე, ბაშა, ფაბიენ რობერი, არნო ლე ლანი, ოლივიე მონტერუბიო, ჟან ჟუფრე, ჩეიკ დაკური

**ნანსი — ოსერი**

ნანსი: ***ტრავმ***-ბაკაი ტრაორე, მარამა ვაირუა, პაულ ეფოულოუ, ჯენარო ბრაჩილიანო

ოსერი: ***ტრავმ***-ალან ტრაორე, ჟან-პასკალ მინიო, როი კონტო, დელვინ ნდინგა

**პსჟ — ლანსი**

პსჟ: ***ტრავმ***-პეგი ლუინდულა, ორაუ, ჟერემი კლემენტი

ლანსი: ***ტრავმ***-ადილ ერმახი, ერიკ ჩელე, დავიდ პოლე; დისკვ-სამბა სოუ

**სოშო — მარსელი**

სოშო: ***ტრავმ***-ჟერემი ბრეჩე, ბაქარი დრამე, ედუარდ ბუტინი

მარსელი: ***ტრავმ***-ვიტორინო ჰილტონი, მეტიუ ვალბუენა, სესარ აზპილიკუეტა

**სტ.ეტიენი — ლიონი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალბინ ებონდო, იოან ანდრო

ლიონი: ***ტრავმ***-ედერსონი; დისკვ-დეიან ლოვრენი

**რენი — ნიცა**

რენი: ***ტრავმ***-შტეფან დალმა, კადერ მანგანე, ირეს ეკოკო, ჰამედ დუმბია, სილვიან მარვო

ნიცა: ***ტრავმ***-ბენ საადა (?), აბიეკუ ქუანსა

**ვალანსიენი — ბრესტი**

ვალანსიენი: ***ტრავმ***-რენო კოადი, ფუდ კადირი; ***დისკვ***-ვინსენტ აბუბაქარი

ბრესტი: ***ტრავმ***-ოსმან კულიბალი, ნოლან რო

**ლილი — ტულუზა**

ლილი: ***ტრავმ***-ემერსონი

ტულუზა: ***ტრავმ***-მოჰამედ ფოფანა, ხავიერ პენტეკოტე, იოან პელე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 22 | 11 | 9 | 2 | 40-22 | 42 |
| 2.პსჟ | 22 | 10 | 7 | 5 | 34-24 | 37 |
| 3.რენი | 22 | 10 | 7 | 5 | 24-17 | 37 |
| 4.მარსელი | 22 | 9 | 9 | 4 | 30-18 | 36 |
| 5.სტ.ეტიენი | 22 | 9 | 8 | 5 | 31-24 | 35 |
| 6.ლიონი | 22 | 9 | 8 | 5 | 30-23 | 35 |
| 7.ტულუზა | 22 | 10 | 3 | 9 | 25-22 | 33 |
| 8.მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 20-23 | 33 |
| 9.ბორდო | 22 | 7 | 10 | 5 | 27-23 | 31 |
| 10.ბრესტი | 22 | 8 | 7 | 7 | 23-21 | 31 |
| 11.ლორიენი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-27 | 31 |
| 12.სოშო | 22 | 8 | 4 | 10 | 35-27 | 28 |
| 13.ვალანს. | 22 | 6 | 8 | 8 | 25-25 | 26 |
| 14.ნიცა | 22 | 6 | 8 | 8 | 15-22 | 26 |
| 15.ოსერი | 22 | 4 | 13 | 5 | 27-26 | 25 |
| 16.ნანსი | 22 | 7 | 4 | 10 | 23-34 | 25 |
| 17.კანი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-31 | 24 |
| 18.ლანსი | 22 | 5 | 8 | 9 | 24-39 | 23 |
| 19.მონაკო | 22 | 3 | 12 | 7 | 20-23 | 21 |
| 20.არლე | 22 | 1 | 5 | 16 | 11-43 | 8 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

ირაკლი ლომოური

# მკვლელობა არქეოლოგიურ ექსპედიციაში

*(ციკლიდან „კერძო დეტექტივი ელისაბედ ჩერქეზიშვილი – ელისაგატა“)*

დასაწყისი № 33-35

ასეთ პასუხს ნამდვილად არ ველოდი.

— როგორ? პირდაპირ ასე?!

— დიახ, პირდაპირ. ერთადერთი, რაც ჩემს ვარაუდს თუ ეჭვებს გააქარწყლებდა, ანდა პირიქით, დადასტურებდა, თვით ქალბატონი მანონი იყო. ყინულიან წყალში რომ ხტებიან, ისეთი შეგრძნებით მივაკაკუნე ერთ მშვენიერ საღამოს მისი ოთახის კარზე.

— Да, даа... Входите... — მომესმა პასუხი. ქალბატონ მანონს დედა გერმანელი კომუნისტი ჰყავდა, ემიგრანტი, მაგრამ თვითონ რუსულად იყო აღზრდილი. კარი შევაღე და შევედი.

— Слушаю тебя, деточка... — „დეტოჩკას“ მეძახდა.

— ქალბატონო მანონ, დამეხმარეთ, თუ შეიძლება...

— დაგეხმარო? С удовольствием. რა პრობლემა გაქვს?

— რაღაც ამეკვიატა, რაღაც ფანტაზია. სიზმარში რო მოგელანდება კოშმარი, გაიღვიძებ და მაინც ვერ თავისუფლდები... მირჩიეთ რამე, თუ შეიძლება...

ქალბატონმა მანონმა გაკვირვებით შემომხედა.

— Могу дать тебе таблетку тазепама. დაგამშვიდებს და დაგეძინება...

— არა, წამალი არ მინდა. უბრალოდ, მომისმინეთ...

პროფესორმა მხრები აიჩეჩა, სიგარეტი ჩააქრო, ეგრევე ახალს მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და შემომაჩერდა.

— ქალბატონო მანონ, რაღაცას მოგიყვებით, როგორც სიზმარს, როგორც კინოს და მითხარით, შეიძლება ეს მომხდარიყო თუ არ შეიძლება.

და მოვუყევი მკვლელობის წარმოსახვითი სქემა, მაგრამ განყენებულად, ყოველგვარი დაკონკრეტებისა და სახელდების გარეშე, ზღაპარივით. ყურადღებით მომისმინა და მეუბნება:

— Это все прекрасно, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რატომ უნდა მოეკლა? მოტივი?

— ვერსია მაქვს. ალბათ, შური იძია. სამაგიერო გადაუხადა. მოკლულის ქმარს. კაცს, ვინც ახალგაზრდობაში უყვარდა. რომანი ჰქონდათ, უფრო სწორად, ეტყობა, ეწყებოდათ, კაცმა კიდევ მოულოდნელად მიატოვა. დააგდო. ისე, რომ არც არაფერი უთხრა და ქალმა საშინლად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. დამცირებულად. ალბათ, ნამდვილი ურთიერთობა, ხორციელს ვგულისხმობ, არცა ჰქონიათ, თორემ ეს ყველაფერი უფრო ბანალური და ტრივიალური იქნებოდა, შესაბამისად, სიძულვილი თუ სამაგიეროს გადახდის სურვილიც ასე არ გამოიხატებოდა. ამ ფორმით. ასეთი სისასტიკით. კაცმა გაქცევით, თავისი აუხსნელი გაუჩინარებით ქალი დაამცირა, მიწასთან გაასწორა, აბუჩად აიგდო. დაუნგრია მოლოდინი, ბედნიერების იმედი, წაართვა ცხოვრების სურვილი, არათუ მოატყუა, შეაცდინა და მიატოვა, არამედ დაპირდა ყველაფერს, უთქმელად, ემოციურად და მისცა არაფერი, ლოგინშიც კი არ ჩაიწვინა. არ ვიცი, რისი შეეშინდა კაცს, თუკი შეეშინდა. რა გადაუტრიალდა თავში, რატომ გაიქცა, მაგრამ ერთი კი ცხადია, დედალი კაცი უსინდისოზე უარესია. რადგან უსინდისო ბუნებრივად მაინც იქცევა, დედალი კი საერთოდ არ იქცევა.

— Тоже мне сериал... — ჩაილაპარაკა პროფესორმა.

— სერიალი კი არა, ცხოვრებაა. აბსურდული და უაზრო. და როცა ქალმა დაინახა, რომ კაცს, რომელიც უყვარდა, და, ალბათ, კვლავაც უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ თან, ცხადია, სძულს, რადგან ასე მოექცა, ჰყავს ცოლი, ვისაც თავი სამყაროს ჭიპი ჰგონია, არადა ქამბალაა შავი ზღვისა, და მეტი არაფერი... ის კაცი კი, ანუ ქმარი, თვალებში შესციცინებს და კუდში დასდევს, გოშიასავით, ველარ გაუძლო და გადაწყვიტა ისევე გაემწარებინა, თვითონ როგორც გაამწარა თავის დროზე. დაჯდა და მოიფიქრა ამის ხერხი, სათაყვანებელი ცოლის გასტუმრება, სადაც ჯერ არს... ალიბიც გაიმზადა, იცოდა, რომ თანამშრომლები მის ფანჯარას უყურებენ ხოლმე. თუკი სიგარეტის ბოლი ჩანს, ესე იგი, იქაა. მოკლედ, აძვრა სხვენზე, იქიდან კი. თუმცა ეგ უკვე მოგიყევით.

— Деточка, какая у тебя буйная фантазия, — ჩაილაპარაკა ქალბატონამა მანონმა სიცილით, — из тебя может выйти неплохой писатель,.. а la Агата Кристи,.. будешь кропать детективчики...

— დამეთანხმეთ, ქალბატონო მანონ, ეს ყველაფერი მართლა შეიძლება მომხდარიყო, რადგან ლოგიკას არ ეწინააღმდეგება, — ვუთხარი და თან ჩემი სითამამისა, უფრო სწორად, თავხედობისა კიდევ ერთხელ გამიკვირდა.

— Ну что-ж, გეთანხმები, შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ საქმეც ისაა, რომ არ მომხდარა, — სრულიად აუღელვებლად მომიგო პროფესორმა, გამიღიმა და ახალი კოლოფი გახსნა, ერთი ღერი ამოიღო, — Доказать ничего невозможно.

— მაგრამ მე ჯერ ბოლომდე არ მომიყოლია ჩემი ფანტაზია.

— რა, კიდევ გაქვს რამე? — უკმაყოფილოდ იკითხა, „პრიმა“ მუნდშტუკში გაარჭო, მოუკიდა და გემრიელად გააბოლა, — Хорошего понемножку... Деточка— არ ვიცი, იცით თუ არა, ქალბატონო მანონ, და ეტყობა არ იცით, რომ არიადნა დიქტოფონზე იწერდა თავის ბესტსელერებს. რაც სულაც არაა გასაკვირი, აბა, განა ეკადრებოდა „ნამუსახდილი ბედნიერების“ ავტორს თავის შეწუხება, ხელით წერა ანდა, თუნდაც, კლავიშებზე კაკუნი? არა, რაღა თქმა უნდა. და იმ დღესაც ასე იყო, ქარაფზე მჯდომი სივრცეს გაჰყურებდა, დიქტოფონი მუშტში ჰქონდა მომწყვდეული. ჩურჩულით, თითქოსდა ტრანსშიაო, თავის ახალ რომანს ახმოვანებდა... და უეცრად ვიღაცამ ხელი უბიძგა მსუბუქად. კლდიდან გადაეშვა, მაგრამ თავის მობრუნება მოასწრო, დაინახა და იცნო ის, ვინც მის ზურგს შეეხო ერთი წამის წინ...

გავჩუმდი. მაგრამ პაუზა დიდხანს არ გაგრძელებულა.

— მერე რა? — გამიღიმა ქალბატონმა მანონმა, თუმცა მოთმინება, ეტყობა, მაინც დაეკარგა, ცოტა არ იყოს, ნახევრადმოწეული სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა.

— სახელი.

— რა სახელი?

— მკვლელის.

— მკვლელის?

— დიახ. კასეტაზე.

— რომელ კასეტაზე?

— დიქტოფონის.

გავჩუმდი. პროფესორს უცებ გაეცინა.

— Бред. — მხოლოდ ეს ერთი რუსული სიტყვა წარმოთქვა რაღაცნაირად მკაფიოდ.

— მკვლელმა ვერ გათვალა, რომ მსხვერპლი მის სახელს წამოიძახებდა, დიქტოფონი კი ჩაიწერდა, ბუჩქებში ჩავარდებოდა და გარკვეული ხნის მერე მე მას ვიპოვიდი, კასეტას ამოვიღებდი და მოვისმენდი.

— სისულელეა. არავითარი კასეტა არ არსებობს, — წყნარად თქვა ქალბატონმა მანონმა. — აბა, საადაა?

— თბილისში გავაგზავნე დაზღვეული ამანათით, რომელშიც თან წერილიც დევს... ჩემს ახლობელთან... და თუ მე რამე მომივა,.. ვთქვათ, უბედური შემთხვევა,.. წერილი და კასეტა გაიხსნება. ხომ იცით, დღეს რაიცენტრში ვიყავი, ფოსტაში.

— У тебя могучая фантазия, деточка, тебе бы романы писать... — მითხრა ქალბატონმა მანონმა სიცილით, თავზე ხელი გადამისვა, მერე ლოყაზეც მომითათუნა, წამოდგა, კედლის საათს ახედა. მივხვდი, საუბარი დამთავრებული იყო, ძილი ნებისა ვუსურვე და ოთახიდან გამოვედი.

გამოვედი იმის შეგრძნებით, რომ სრული იდიოტი ვარ...

„ეს რა მოვჩმახე, რა დეგენერატი ვარ, რა კრეტინი!“ — ჩემს თავს ვამუნათებდი, მაგრამ თან გახარებულიც ვიყავი და ეს შეგრძნება საკუთარ თავზე გაბრაზებას ერთიორად გადასწონიდა, — ჩვენმა საუბარმა დამარწმუნა, რომ ქალბატონი მანონი უდანაშაულოა. მკვლელი რომ ყოფილიყო, განა შეძლებდა ასეთი სიმშვიდის შენარჩუნებას? ცხადია, არა. რაღაცა მაინც შეეტყობოდა.

მეორე დილით პროფესორმა მანონ გორგოძემ თავი მოიკლა...

— რაა? თავი მოიკლა? — ასეთ ფინალს ნამდვილად არ ველოდი. დავიბენი.

ელისმა განაგრძო:

— იმ დღეს რაიცენტრში მართლა ვიყავი, დილით, ფოსტაშიც შევიარე, მაგრამ არავითარი ამანათი არ გამიგზავნია.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ არავითარი კასეტა არ არსებობდა.

— როგორ?!

— ექსპრომტი იყო ეს ყველაფერი... ბოლოს რაც ვუთხარი... იქვე შეთხზული. იდეა გამიჩნდა, ასეც ხომ შეიძლება მომხდარიყო. მოკლედ, წარმოვიდგინე სიტუაცია და ეგრევე მოვუყევი, როგორც ნამდვილი ამბავი. რეაქცია მაინტერესებდა.

— და მიიღეთ კიდეც რეაქცია. ლეტალური!

ელისმა თვალები მოხუჭა და ისე გააგრძელა ლაპარაკი, დაღლილი ხმით:

— მივიღე. ნამდვილად მივიღე. კინაღამ მეც მოვკვდი მეორე დილით, დალეწილი როცა ვნახე... მიწაზე დამხობილი. უგონოდ იყო, სისხლი ყურებიდანაც კი სდიოდა... ოღონდ ძალიან წითელი სისხლი ჰქონდა. და არა შავი. იმ ქარაფიდან გადმოეშვა, საიდანაც არიადნა გადმოაგდო.

ელისს ისე შევხედე, როგორც პაპუასმა — მიკლუხო-მაკლაის.

— როგორ, აკი უდანაშაულო იყოო?

— უდანაშაულო რომ ყოფილიყო, თავს მოიკლავდა? რატომღაც არ მიფიქრია არც ერთი წამით, რომ ამის გაკეთება შეეძლო... აზრადაც არ მომსვლია, არ დამიშვია, — ელისმა მწარედ ჩაიცინა, — აქედან ჩანს, როგორი გულუბრყვილო ვიყავი და უმწიფარი და რამდენად ვერ ვერკვეოდი ადამიანის ფსიქოლოგიაში... სწორედ ამ ამბის მერე დავანებე თავი არქეოლოგიას და გავხდი ფსიქოთერაპევტ-სუიციდოლოგი. არა, ერთი წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, — თავი გადააქნია, — მოყოლაც კი არ მინდა. არც შემიძლია. ოღონდ...

დადუმდა, სიტყვა აღარ დაამთავრა.

— თქვენს თავს ადანაშაულებთ მის სიკვდილში? — ფრთხილად ვკითხე.

— მაგას კითხვა უნდა, გედი? — რაღაცნაირად გულისტკივილით მომიგო.

შემრცხვა, მართალი გითხრათ, გამოსავალს დავუწყე ძებნა, რაღაც უნდა მეთქვა სასწრაფოდ. და ვთქვი:

— იქნებ მანონ გორგოძეს არ მოუკლავს არიადნა ძოწენიძე?

— არ მოუკლავს? აბა, რატომ გადმოხტა?!

— მმ... იქნებ უბრალოდ გააცნობიერა, რომ უნდოდა მოეკლა, შინაგანად მოკლა, თავის თავში, გულში, გაუხარდა, როცა არიადნა დაიღუპა და ფარნა გამწარდა, განადგურდა, იქნებ...

— ეგრე თუა სინამდვილეში, — გამაწყვეტინა ელისმა, — ჩემთვის კიდევ უარესი. გამოდის, რომ მართლა მე მივიყვანე თვითმკვლელობამდე... მე ვკარი ხელი, ჩემი მონაყოლით.

— თქვენ კი არა, საკუთარმა სინდისმა, — ვუთხარი რაც შემეძლო დამაჯერებელი ტონით, — იმის განცდამ, რომ ასეთი ტვირთით ცხოვრებას ისევ სიკვდილი ჯობია... მორწმუნე, ცხადია, არ იქნებოდა.

— არა. მატერიალისტი იყო.

— ჰოდა, თქვენი ბრალი არაფერიც არ არის.

ელისმა თვალებში შემომხედა, ოდნავ გამიღიმა და მითხრა:

— ამაზე არ მიფიქრია... ამ კუთხიდან... მადლობთ.

გაჩუმდა. მაგრამ ერთი წამიც არ იყო გასული, დაამატა:

— თუმცა კი... ეეჰ!

და ხელი ჩაიქნია. ბოლო ღერი „ჟიტანი“ გადატეხა მექანიკურად.

რაღაც ხანი მდუმარედ ვისხედით.

— წავალ, სიგარეტს ვიყიდი ბარში, — ვუთხარი და წამოვდექი, — რამე ხომ არ გნებავთ, მოგიტანოთ?

თავი უხმოდ გააქნია უარის ნიშნად.

როცა მაგიდასთან მოვბრუნდი, ოდნავ გუნებაგამოკეთებული მომეჩვენა. ფორთოხალს ჭამდა. ჩამოვჯექი.

— გჯერათ, რომ ეს შემთხვევა ჯერ არავისთვის მომიყოლია ცხოვრებაში? — მეკითხება.

— არ მჯერა.

ელისს გაეცინა.

— მართალია. ტუშე. არც უნდა დაგეჯერებინათ.

შემდეგ კი ჩაილაპარაკა:

— მაგრამ როცა გიყვებოდით, შეგრძნება მქონდა, თითქოს პირველად ვყვები...

რატომღაც ისევ უხერხულად ვიგრძენი თავი, საათზე დავიხედე და ვთქვი:

— აუჰ, ხაშის დროა უკვე! მთელი ღამე გასულა. არ ექნებათ „იპანემაში“ ხაში?

— ყველაფერი აქვთ, ხაშის გარდა. მართლა გიყვართ?

— ძალიან. თქვენ?

— ვერ ვიტან. მაგრამ შემიძლია მიგიყვანოთ იქ, სადაც საუკეთესო ხაშია მთელს თბილისში. „ჩინგის-ხანი“ გაგიგიათ?

— სახაშეს „ჩინგის-ხანი“ ჰქვია? პირველად მესმის.

— არა, რესტორანია. მაღალი დონის. მაგრამ ყველაფერი აქვთ. მეპატრონეს ვიცნობ კარგად. ოქროს ჩლიქი როცა დაეკარგა, ბრილიანტებით მოოჭვილი, კირსან ილუმჟინოვის ნაჩუქარი, დახმარება მთხოვა.

— უპოვეთ?

ელისაგატამ გამიღიმა და წამოდგა.

— ვუპოვი, როცა გამოვიძინებ, ანუ, მოგიყვებით... ოღონდ, მერე...

და მართლაც მომიყვა.

მაგრამ ეს უკვე სრულიად სხვა ისტორიაა.

*დასასრული*


## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.




…მიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი


მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



ნათელმხილველი მანანა

იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უილბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.

მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.

ტელ: 897-29-27-50.

## ორშაბათი 14 თებერვალი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 აქცენტები 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "უჩინარი კვალი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 აუდიტორია 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.30 მხ. ფილმი "მგელი" (15) (ჯ. ნიკოლსონი) 02.50 მოამბე 03.10 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფილმი "გაათავისუფლე ვილი 2" 11.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ.ფ."შურისმაძიებლები" (რ. ფაინსი) 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "შიშის ოთახი" (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სერ."შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 დოკ. ფ. "ჩინგის ხანი" 15.30 სერ. "ჩვენი ოფისი" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."ელენას მოჩვენება" 22.00 "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალი 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 მხ.ფ."ბორნის უპირატესობა" (18) (მ. დეიმონი) 03.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 08.00 ანიმაცია "სქელი ძაღლი მენდოზა" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.40 პულსი 15.20 სერ."ორნახევარი კაცი" 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "ბოშები" 13.00 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სეტუმრად იუმორინასთან 23.30 მხ. ფილმი "მინდა გახსოვდე" (12) (რ. პატინსონი) (სუბტ.) 01.45 მხ. ფილმი "პირდაპირი მოქმედება" (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) 03.20 მხ. ფილმი "ვნების კვირა" (15) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სინდისის საკითხი" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.30 სერ. "ძმები კარამაზოვები" 14.50 ფერისცვალება 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "რა თქვა განსვენებულმა" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "საფეხური" 13.30 კონცერტი – ნ. სვანიძე 15.05 სპექტაკლი "ძველი ვალსი" 16.45 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.10 დოკ. ფილმი "შორია გურჯისტანამდე" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "მონანიება" 1-ლი ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძველი აფიშა 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაბრიელ ეპისკოპოსი 23.30 "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-4ს. 00.30 სუფთა დაფა

## სამშაბათი 15 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 ჩემპიონთა ლიგა. წინასაფეხბურთო გადაცემა 23.40 ფეხბურთი. მილანი-ტოტენჰემი. 01.40 მოამბე 02.00 მხ. ფ."უილბლო" (სუბტ.)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "უძინარი სიეტლში" 01.00 მხ. ფილმი "მგელი" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 ვანოს შოუ 15.30 სერ. "ჩვენი ოფისი" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."ელენას მოჩვენება" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვის უნდა 20 ათასი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. ვალენსია-შალკე 01.40 მხ. ფილმი "ზღვარზე" (18) (ჰ. ფენიქსი) 03.40 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 იმედის ფსონი (პირდ.) 15.30 სერ."ორნახევარი კაცი" 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "ბოშები" 13.00 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 მხ. ფილმი "კონტროლი" (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) 01.35 მხ. ფილმი "წყალქვეშა საპყრობილე" (ს. სიგალი) (სუბტ.) 03.10 მხ.ფ."პრინცესა მუხუდოს მარცვალზე" (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სინდისის საკითხი" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.30 სერ. "ძმები კარამაზოვები" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "რა თქვა განსვენებულმა" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 11.30 "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-4ს. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.05 მხ.ფ."მონანიება" 1-ლი ნ. 13.10 კონცერტი 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 15.05 მხ. ფილმი "ცისკარა" 16.15 დოკ.ფ."ველური ბუნება" 16.40 დოკ. ფილმი "სიწმინდეთა ნაკვალევზე" 18.00 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.15 დავით ალმაშენებელი 19.30 მხ. ფილმი "მონანიება" მე-2 ნ. 20.40 ძილი ნებისა 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.25 შარავანდედი

## ოთხშაბათი 16 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 დამზადებულია საქართველოში 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 ისტორია 23.00 ჩემპიონთა ლიგა. წინასაფეხბურთო გადაცემა 23.40 ფეხბურთი. რომა-შახტარი. 01.40 მოამბე 02.00 მხ. ფილმი "საკმარისია" (12) (ჯ. ლოპესი) (სუბტ.)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "უილბლო" 01.00 მხ. ფილმი "სრული იზოლაცია" (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.30 სერ. "ჩვენი ოფისი" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."ელენას მოჩვენება" 22.00 ვა ბანკი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. არსენალი-ბარსელონა 01.40 მხ. ფილმი "ძლიერი ადამიანების ამბები" (18) (უ. სადლერი) 03.40 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 სერ."ორნახევარი კაცი" 15.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 16.20 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "ბოშები" 13.00 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 კონცერტი 00.15 მხ. ფილმი "ჩემი ძმაკაცის შეყვარებული" (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) 01.40 მხ. ფილმი "უკანასკნელი ლეგიონი" (კ. ფერტი) (სუბტ.) 03.20 მხ. ფილმი "სიცილური კლანი" (15) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სინდისის საკითხი" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.30 სერ. "ძმები კარამაზოვები" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "რა თქვა განსვენებულმა" 22.00 სცენა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 სალვთისმეტყველო საუბრები 11.25 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.20 მხ. ფილმი "მონანიება" მე-2ნ. 13.35 კონცერტი 15.05 მხ.ფ."ცისკრის ზარები" 16.25 დოკ.ფ."ველური ბუნება" 16.50 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ლოლიტა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15, 00.35 სუფთა დაფა 01.00 გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 17 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ისტორია 13.30 ჩვენი ფერმა 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი დაკარგული ქალაქები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი "უჩინმაჩინი" (18) (ე.შუ)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "ჩასაფრებული ვეფხვი, უჩინარი დრაკონი" 01.00 მხ. ფ. "საკმარისია" (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 დოკ. ფილმი "აგატა კრისტი" 15.30 სერ. "ჩვენი ოფისი" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ. "ელენას მოჩვენება" 22.00 პროფილი 23.30 ტოქშოუ 00.00 მხ. ფილმი "პარლემის ღამეები" (18) (ე. მერფი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 15.20 სერ. "ორნახევარი კაცი" 16.30 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "ბოშები" 13.00 სერ. "ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ. "ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 00.00 მხ. ფილმი "საშობაო ამბავი" (პ. კრუსი) (სუბტ.) 02.00 მხ. ფილმი "ნადირობა" (18) (ო. რიდი) (სუბტ.) 03.50 მხ. ფილმი "უცხოპლანეტელი 3" (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სინდისის საკითხი" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50 სერ."ძმები კარამაზოვები" 14.50 სცენა 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "რა თქვა განსვენებულმა" 19.30 სერ. "საყვარელი არსებები" 23.00 სერ. "დაცვის უფლება" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 გადაცემა "კარაბადინი" 11.00 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ლოლიტა" 13.40 კონცერტი – ე. მორიკონე 15.05 მხ. ფილმი "მამლუქი" 16.35 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფ. "საჯვარეობა" 18.05 სალვთისმეტყველო საუბრები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფ. "მაცი ხვიტია" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 მიწათმოქმედი 22.25, 23.15 დოკ. ფილმი "გია ყანჩელი" 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

## პარასკევი 18 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 03.20 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი დაკარგული ქალაქები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფ. "ორი ინგლისელი და კონტინენტი" (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "გრეისის არჩევანი" 01.00 მხ. ფ. "უჩინმაჩინი" (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 პროფილი 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ. "ელენას მოჩვენება" 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. "ექიმი ჰაუსი" 00.00 მხ. ფილმი "შეყვარებული გასტროლიორი" (18) (ბ. ბრაუნი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."ორნახევარი კაცი" 12.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.45 მხ. ფილმი 16.45 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) 22.50 მხ. ფილმი (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "ბოშები" 13.00 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 მხ. ფილმი "ქონდრისკაცი" (მ. უაიენსი) (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი "ევროპელი ჟიგოლო" (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) 02.20 მხ. ფ."ღვთის გამოგზავნილი" (15) (სუბტ.)

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "დაცვის უფლება" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.30 სერ. "საყვარელი არსებები" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "რა თქვა განსვენებულმა" 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "გია ყანჩელი" 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ. "მაცი ხვიტია" 13.20 კონცერტი – მგზარვები 15.05 მხ. ფილმი "სიბრძნე სიცრუისა" 16.35 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "იაკობ გოგებაშვილი" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "არაჩვეულებრივი გამოფენა" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დიდი მარხვა 00.35 კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## შაბათი 19 თებერვალი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი "ჩარეცხილი" 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფილმი "რეიგანების ოჯახი" 1-2 ს. 14.00 კალათბურთი. თსუ- სამედიცინო ინსტ. 16.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 ქართ. ფილმი "ქვევრი" 18.30 "ევროვიზია 2011" – შიდა შესარჩევი ტურნირი 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 ქართ. სერ. "ჭ-17" 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 მხ. ფილმი "შვიდი წელი ტიბეტში" (12) (ბ. პიტი) 03.40 მხ. ფილმი "ორი ინგლისელი და კონტინენტი" (12)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფ. "მზიანი მხარე" 21.35 კონცერტი: ქალაქური სიმღერების ფესტივალი 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფ. "ორი ინგლისელი და კონტინენტი"

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. "ლეგენდა მაძიებელზე" 11.00 ეკივოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვარსკვლავური ცხოვრება 13.00 მხ.ფ."განდიდების მანია" 15.30 ქართ. ფილმი "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ. "ელენას მოჩვენება" 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 23.00 სერ. "ექიმი ჰაუსი" 00.00 მხ.ფ."წაკითხვისთანავე დაწვით" (18) (ჯ. კლუნი) 02.30 მხ. ფილმი "თავისუფლების ძახილი"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 საბ. სერ. "ოდისეა" 11.30 პულსი 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. "ელიზა" 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ტაქსის მძღოლი" 21.00 სერ. "სი ეს აი" 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ალადინი" 09.15 მხ. ფილმი "ოსტინ პაუერსი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.10 სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 12.00 სერ. "რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" მე-11ს. 13.00 სერ."ლობას საიდუმლო" 14.30 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერ. "ციხე ოზი" 01.00 მხ. ფ."კერკეტი კაკალი 2" (12) (ბ. უილისი) (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი "სამართლიანობისთვის მებრძოლი" (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) 05.15 მხ.ფ."მოგზაური" (სუბტ.)

09.00, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "დაცვის უფლება" 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 13.15, 19.30 სერ. "საყვარელი არსებები" 14.30 დროის ვექტორი 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "რა თქვა განსვენებულმა" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0820

მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "არაჩვეულებრივი გამოფენა" 13.30 მულტფილმი 15.10 ოპერა 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 საფ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.30 მხ. ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 გამოყენებითი ხელოვნება 21.30 სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" 22.10 დოკ. ფილმი "ხილული სასწაულები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 00.25 მხ. ფილმი "კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"

## კვირა 20 თებერვალი

07.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი "ორსაუკუნოვანი ადამიანი" 12.00, 16.00, 20.00, 03.10 მოამბე 12.15 მხ. ფილმი "რეიგანების ოჯახი" 3-4 ს. 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სპექტაკლი "თეთრი კურდღელი" 15.30 ჩვენი სამართალი 16.15 ჩვენი ეზო 17.00 ქართ. დოკ. ფილმი "ჩვენი შვილები" 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 კონცერტი – მაია თომაძის ხსოვნის საღამო 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 ქართ. სერ. "ჭ-17" 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფილმი "ჟილი" (15) (ჯ. ლოპესი) 03.30 აქცენტები

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი "ბრძოლა ტაქტისთვის" 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 პროექცია 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 კონცერტი: "ჩხიკვთა ქორწილი" 23.40 მხ. ფილმი "შვიდი წელი ტიბეტში" (12)

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. "ლეგენდა მაძიებელზე" 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი "სინიორ რობინზონი" 15.20 სერ. "სიმპსონები" 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 19.50 სერ. "ელენას მოჩვენება" 21.00 კომედი-შოუ 22.00 სერ. "ბიზნესი მაღალ ქუსლებზე" 23.00 სერ. "ექიმი ჰაუსი" 00.00 მხ. ფ. "გადამზიდავი" (18) (ლუ ტეილორ პუჩი) 02.20 მხ. ფილმი "ოცნებების მოედანი"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია"ტომი და ჯერი" 11.00 გადაცემა "ტვ-ტესტი" 11.30 ანიმაცია 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. "ელიზა" 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ტაქსის მძღოლი" 21.00 სერ. "სი ეს აი" 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "სპანჯბობი" 09.15 ან. ფილმი "ბარბი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 12.00 სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "რობინზონ კრუზოს თავგადასავალი" 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 მხ. ფ. "შერეკილები" 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 20.00 იმედის გმირები 20.15 სტუმრად იუმორინასთან 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 თბილისი ლაივი 00.00 მხ. ფილმი "ევროტური" (15) (სუბტ.) 01.55 მხ. ფილმი "კეთილი ჯონი" (ჩ. ტატუმი) 03.40 მხ. ფილმი "ტერმინატორი 3" (სუბტ.)

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "დაცვის უფლება" 10.00 დილის ტალღა 12.00, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 13.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "რა თქვა განსვენებულმა" 19.00 სერ. "საყვარელი არსებები" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "ხილული სასწაულები" 11.30 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 12.15 მხ. ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე" 13.40 ქართ. მულტფილმი 13.50 დიდი მარხვა 14.30 გადაცემა "კარაბადინი" 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 სუფთა დაფა 17.15 სალვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.00 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი "იყო შაშვი მგალობელი" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.40 ოპერა

# დევნილები უპირობოდ უნდა დაბრუნდნენ



გულიკო ბალაე

ახლახან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობის პროცესში გაჩნდა ფორმულა „ჩართულობა აღიარების გარეშე“.

ეს ფორმულა ევროპულმა სტრუქტურებმა შესთავაზეს საქართველოს ხელისუფლებას, რაც გულისხმობს სეპარატისტული დამნაშავე რეჟიმებისთვის ევროპის კარის გაღებას.

ითქვა, რომ ამ მექანიზმით, მაგალითად, სეპარატისტ აფხაზებს, ასე ვთქვათ, რუსული სივრციდან ევროპულ სივრცეში „გაიტყუებენ“.

მაგრამ აქვე ჩნდება ეჭვი, ამ ფორმულის („ჩართულობა აღიარების გარეშე“) ამოქმედება შენელებული მოქმედების ნაღმი ხომ არ აღმოჩნდება? ე.ი. ე.წ. ჩართულობის გზა აღიარებისკენ ხომ არ წავა?

წლების წინ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თემურ მჟავია ევროპაზე დიდ იმედებს ამყარებდა. ის ფიქრობდა, რომ ჩვენი კონფლიქტების მოგვარებაში ევროპას სერიოზული როლის თამაში შეეძლო. გთავაზობთ ინტერვიუს თემურ მჟავიასთან.

***— ბატონო თემურ, მახსოვს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში, თქვენ დიდ იმედს ამყარებდით ევროპაზე. ფიქრობდით, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში ევროპას სერიოზული დახმარება შეეძლო. ახლახან ევროპულმა სტრუქტურებმა შემოგვთავაზეს, სეპარატისტული რეგიონების ჩართვა ევროპულ ოჯახში აღიარების გარეშე. შესაბამისად, გაჩნდა ტერმინი „ჩართულობა აღიარების გარეშე“. როგორ ფიქრობთ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხში ევროპას დღეს რა როლის შესრულება შეუძლია? რამდენად მისაღები წინადადება შემოგვთავაზეს მათ?***

— ევროპის პოლიტიკურ აქტივთან და დიდ ევროპულ პოლიტიკურ დინამიკასთან იმდენი კონტაქტი არ მაქვს, რომ სრულყოფილი შეფასება მივცე აღიარების გარეშე ჩართულობის გეგმას. თუმცა, ეს ახალი ნამდვილად არ არის. ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდშიც არაერთხელ იყო ამაზე საუბარი. აფხაზეთი რუსული გავლენის სფეროდან რომ გამოეყვანათ, გვთავაზობდნენ (თუ ჩვენ ვთავაზობდით, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვთავაზობდი) მომხდარიყო, გარკვეული მიმართულებების გარკვეულ ასპაქტებში ევროპულ ფასეულობებთან აფხაზეთის მიერთება. ეს რამდენად აქტუალურია დღეს აფხაზეთის მიმართ, ვერ გეტყვით, მაგრამ პრობლემას მე უფრო სხვა რაღაცეებში ვხედავ.

***— რაში ხედავთ პრობლემას?***

— უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ შევედით ჩვენი განვითარების იმ ფაზაში, როდესაც მსოფლიოში მრავალი პრობლემა არსებობს. მათ შორის არის, პოლიტიკური პრობლემებიც. გარდა პოლიტიკურისა, სხვა სახის პრობლემებიცაა. საერთაშორისო საზოგადოება დღეს ამაზე ინტენსიურად ფიქრობს. ამ ურთულეს ფონზე, ქართული სახელმწიფოს პრობლემატიკა შესაძლებელია იმდენად აქტუალურად არ ჟღერდეს, რამდენადაც ჩვენ ვართ ამაში დაინტერესებული. მსოფლიოში მთელი რიგი პრობლემებია. მაგალითად, თანამედროვე რევოლუციურ სულისკვეთებას, რომელმაც ჩრდილოეთ აფრიკაში იჩინა თავი, არა მგონია გარკვეული სტიმულირება არ ჰქონოდა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. პარალელურად, ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმ ნებაზე, რომელი ნებაც ალბათ უნდა გააჩნდეს საზოგადოებას, ხელისუფლებას და კონსოლიდირებულ ერთობას. კონსოლიდირება უნდა დაინახოს ნებისმიერმა გარე ძალამ, რომ მას ანგარიში გაუწიოს და იფიქროს იმ პრობლემის გადაჭრაზე, რომელიც არა მხოლოდ ჩვენთვისაა სასიცოცხლოდ აუცილებელი, არამედ — საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც. ამ კუთხით უნდა განვიხილოთ საკითხი.

***— თქვენ ბრძანებთ, ევროპა ცდილობს, აფხაზეთი გამოიყვანოს რუსული სივრციდანო, მაგრამ აქვე ჩნდება ეჭვი, რომელსაც ამტკიცებს ერთი შეხვედრა, რომელიც მოეწყო მოსკოვში. რუსებმა ევროსაბჭოს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ჩუმად შეახვედრეს ჩვენი სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები. როგორც ჩანს, სეპარატისტული რეგიონების „ჩართულობა აღიარების გარეშე“ რუსებსაც აწყობთ. ალბათ რუსები ფიქრობენ, რომ სეპარატისტთა ლიდერების გასვლა ევროპაში, საერთაშორისო ასპარეზზე, ხელს შეუწყობს პროცესის აღიარებისკენ წარმართვას; სხვა შემთხვევაში რატომ უნდა იყვნენ რუსები დაინტერესებული ამ პროცესით? რატომ ახვედრებენ ევროპელ ლიდერებს სეპარატისტებს ჩუმად?***

— თუ მარტივად შევხედავთ სიტუაციას, ეს იმიტომ ხდება, რომ სოლიდური საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების ყველანაირი მისია შეწყდა საქართველოში. ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავლენ სოხუმში. ამიტომ მოსკოვში უნდა შეხვდნენ. რა თქმა უნდა, ეჭვი არსებობს (უნდა იარსებობს კიდევაც), რა აინტერესებს ევროპას ან ევროპის რომელიმე ქვეყანას, რუსეთთან ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებასთან დაკავშირებით. პოლიტიკა საზოგადოებრივი ურთიერთობების საკმაოდ რთული სფეროა. ამიტომაც არის დიპლომატიური სამსახურები. იმიტომაც ვარსებობთ ჩვენ, როგორც სახელმწიფო, რომ დავიცვათ საკუთარი ქვეყანა, მისი ინტერესები და ტერიტორიული მთლიანობა.

***— რამდენად მისაღებია ის წინადადება, რომელიც დღეს ევროპიდან მოდის და „ჩართულობა აღიარების გარეშე“ ჰქვია?***

— თავის დროზე ჩემთვის მიუღებელი იყო ის, რომ საერთაშორისო მისიები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ჩვენს ქვეყანაში, არ ხვდებოდნენ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას თბილისში — საქართველოში. თავისთავად და ბუნებრივად, ჩემთვის მიუღებელია, მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლების შეხვედრა საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების მაღალჩინოსნებთან, მოსკოვში. მე ამას, ვერავითარ შემთხვევაში, ვერ გავამართლებ.

***— როგორც გახმოვანდა, ევროპულ სტრუქტურებში მსჯელობენ იმაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთსა და ცხინვალიდან, ინფორმაცია იმ მისიებმა მიაწოდონ ევროპულ სტრუქტურებს, რომლებიც ზოგადად საქართველოში არიან აკრედიტირებული, თუ ცხინვალში, სოხუმსა და დანარჩენ საქართველოში სხვადასხვა მისიები დაინიშნოს. ეს საშიში ტენდენცია არ არის?***

— დიახ, საშიში ტენდენციაა. ჩვენ დიდი ხანია ამ გარემოებების ვითარებში გვიხდება ყოფნა. განსაკუთრებით, ბოლო 20 წელიწადია. ამას, რა თქმა უნდა, აღქმა სჭირდება. ჩვენ არანაკლები საშიშროების წინაშე ვიდექით, მაგრამ, ასე თუ ისე, საქართველოს სახელმწიფოებრიობა ფაქტია. მჯერა, უახლოეს მომავალში გადაწყდება ის პრობლემა, რომელიც ყველა ჩვენთაგანს ასე ძალიან გვაწუხებს. ამას, ალბათ, დრო სჭირდება, ვინაიდან დღეს მთავარი პროცესი პოლიტიკური პროცესების გლობალიზაცია, ერთიანი პოლიტიკური სივრცის შექმნა და ამ სივრცეში თითოეული ჩვენთაგანის როლის განსაზღვრაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ერთიანი პოლიტიკური თამაშის წარმოება. ყველა ჩვენთაგანისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ დაგმო რუსული ნეოიმპერიალისტური პოლიტიკა მეზობლების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, გარკვეული ფორმით, სამომავლოდ, მან მოგვცა გარანტია, რომ ჩვენი პრობლემები გადაიჭრება. სამწუხაროდ, ეს პროცესია, რომელსაც დრო სჭირდება. ბევრწილად პრობლემის გასაღები დევს სადღაც, იმ ძლიერ პოლიტიკურ ძალებში, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს მართავენ, მაგრამ ამ გასაღების ასლი საქართველოშიც დევს. ამიტომ მაქსიმალურადაა გამოსაყენებელი ის რესურსი, რომელიც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს გააჩნია.

***— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი მევლუდ ჩაუშოღლუ კონფლიქტის ხანგრძლივ მოგვარებაზე საუბრობს. თუმცა, მიუთითებს, რომ ეს უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოების, მათი თავისუფლებისა და უფლებების დაცვის გზითო, მაგრამ, რეალურად, დევნილების დაბრუნებაზე საუბარი არ არის. ასეთ ვითარებაში შეიძლება დათანხმება ევროპელების იმ წინადადებაზე, რომელსაც „ჩართულობა აღიარების გარეშე“ ჰქვია?***

— ჩართულობაზე ზოგადად მიდის საუბარი. შესაძლებელია ამ კონცეპტუალური მიდგომიდან გამომდინარეობდეს გარკვეული ღონისძიებები, მაგრამ ასეთ ღონისძიებებს არ ვიცნობ. შესაძლებელია ამ იდეის იმპლემენტაციისთვის გარკვეული მოთელვითი პროცესი, მაგრამ ჩვენ ვართ სახელმწიფო და ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს ჩვენი პოზიცია. თუკი შემოთავაზებული წინადადება ჩვენთვის მისაღები იქნება, უნდა მივიღოთ. თუკი ჩვენთვის მისაღები არ იქნება, არ უნდა მივიღოთ. ყველა შესაძლებელი ფორმით წინ უნდა აღვუდგეთ ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის მიუღებელია.

***— დევნილების დაბრუნება რამდენად არის შესაძლებელი? თუკი, სეპარატისტულ რეჟიმებს ევროპისკენ გზა უნდა გაეხსნათ, მაშინ ეს დევნილების დაბრუნების სანაცვლოდ მაინც მოხდეს. ისე, გაუგებარია, რა გადაწყვეტილებაა დამნაშავე რეჟიმების ევროპულ ასპარეზზე გაყვანა?***

— დევნილების დაბრუნების საკითხი ჩემთვის მტკივნეული და ერთი შეხედვით მარტივი თემაა. თუკი დევნილების მასშტაბურ დაბრუნებას წინ არ უძღვის შესაბამისი გარანტიები, ბუნებრივია, დაბრუნება არ მოხდება. ის სუბიექტი, რომელიც უნდა დაბრუნდეს, გარანტიის გარეშე ამ ნაბიჯს ვეღარ გადადგამს. არ გადადგამს.გარანტიის მომცემი უნდა იყოს, ის ძალიან სერიოზულ დონეზე მიღწეული შეთანხმებაა, სადაც კონსენსუსის მომენტებიც იქნება გათვალისწინებული, რომელიც ვალდებულებას აალებინებს როგორც საერთაშორისო საზოგადოებას, ისე დაპირისპირებულ სუბიექტებს. ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს. მარიონეტული რეჟიმების რესურსის კი ნაკლებად მწამს. მათ რესურსი არასოდეს გააჩნდათ. ფაქტობრივად, ეს იყო ანტურაჟის ის ნაწილი, რომელსაც ნეოიმპრიალისტური პროცესის წარმოებისთვის რუსეთი ეფექტურად იყენებდა.

***— წლების განმავლობაში მეც მიმაჩნდა, რომ ჯერ უნდა დაბრუნებულიყო ტერიტორია, მერე კი დევნილები, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს აზრი შემეცვალა. ხომ ვიცით, თურქეთში ახლა რამდენი ქართველი ცხოვრობს. მათ ტერიტორია რომ დაეტოვებინათ და იქიდან გამოსულიყვნენ, დღეს იქ ქართველები ხომ აღარ იცხოვრობდნენ?***

— იქ განსხვავებული ისტორიული ვითარებაა, ვინაიდან ისინი ცხოვრობენ საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე და, პრაქტიკულად, ისინი იქიდან არავის გაუძევებია. ეს იყო ტერიტორიის მისაკუთრება. მოსახლეობა კი მოცემულ ტერიტორიაზე დარჩა. მოსახლეობა არსაიდან არ აუყრიათ. უბრალოდ, ისინი იქ ცხოვრობდნენ და მოხდა ისე, რომ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

***— აქაც ხომ თავის ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ ქართველები და იქიდან მოხდა მათი გამოდევნა?***

— ჩემთვის კონფლიქტის დარეგულირების მნიშვნელოვანი პოლიტიკური წინაპირობა დევნილების უპირობო დაბრუნებაა. თუკი აღდგება საქართველოს კონსტიტუციური იურისდიქცია აფხაზეთში, ჩვენი დევნილი მოსახლეობა იქ დაბრუნდება თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა ისტორიისთვის არა აქვს. ღრმად ვარ დარწმუნებული, წინაპირობების შექმნის შემთხვევაში, აფხაზეთში არა მხოლოდ დევნილები დაბრუნდებიან, არამედ მეშინია ნახევარი საქართველო აფხაზეთში არ გადმოვიდეს, რადგან აფხაზეთის კომპლექსური რეჟიმი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენი საქართველოსი. ასე რომ, ეს საშიშროება აფხაზეთის წინაშე არ დგას.

# შვარცენეგერი უკან ბრუნდება

კალიფორნიის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა, არნოლდ შვარცენეგერმა თავის მიკრობლოგში განაცხადა, რომ კინემატოგრაფში დაბრუნების დრო დადგა.

63 წლის შვარცენეგერმა შეასრულა ფილმში „ტერმინატორი“ წარმოთქმული დაპირება და უკან დაბრუნდა.

ინტერნეტ ბლოგში შვარცენეგერმა განაცხადა, რომ მეგობრები ხშირად ეკითხებოდნენ, თუ როდის დაუბრუნდებოდა იმ წინადადებების განხილვას, რითაც მას მუდმივად მიმართავდნენ და ამიერიდან ამ წინადადებებს იგი „მწვანე შუქნიშანს“ უნთებს.

შვარცენეგერმა ჯერ კიდევ იანვარში განაცხადა, რომ რამდენიმე კინოსცენარს იხილავს.

მსახიობის თქმით, ლაპარაკია რეჟიორ რენდალ უოლესის ფილმზე „არწივის ფრთებით“. მასში შვარცენეგერმა ხანდაზმული გერმანელი ჯარისკაცის როლი უნდა ითამაშოს, რომელმაც ომის მიწურულს ბავშვების ჯგუფის დახოცვის ბრძანება მიიღო, მაგრამ ამის ნაცვლად, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, უსაფრთხო ადგილას გაიყვანა ისინი.

შვარცენეგერმა წარსულში არ გამორიცხა, გუბერნატორის პოსტიდან წასვლის შემდეგ ჰოლივუდში დაბრუნდებოდა. ერთ-ერთი ავსტრიული გაზეთის ინტერვიუში მან აღიარა, რომ ასაკის გამო მძაფრსიუჟეტიანი ფილმების გმირების თამაში გაუჭირდება, ამიტომ მომავალში ასაკის შესაფერის როლებს მოირგებს.



იმავდროულად, შვარცენეგერმა განაცხადა, რომ კვლავინდებურად დახარბებულია ახალ ცოდნას, რაც მას ამჟამად გამოადგება.

კალიფორნიის გუბერნატორად ყოფნის დროს შვარცენეგერმა მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდური როლი გადაიღო კინოში. როგორც თავად აღიარა, კალიფორნიის გუბერნატორის პოსტი მას 200 მილიონი დოლარი დაუჯდა. ეს რიცხვი მიიღო, როდესაც ხარჯები, გარდა ამისა, ჰოლივუდის ფილმებში მონაწილეობაზე უარის შედეგად დაკარგული შემოსავლები დათვალა.

გაზეთ ლოს ანჯელეს თაიმსის ინტერვიუში შვარცენეგერმა ასევე განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს გარემოს დაცვას მოჰკიდოს ხელი და პრეზიდენტ ბარაქ ობამას ადმინისტრაციაში შესაბამის პოსტზე უარს არ იტყოდა.

არნოლდ შვარცენეგერმა გუბერნატორის რიგგარეშე არჩევნებში 2003 წლის 7 ოქტომბერს გაიმარჯვა, 2008 წელს იგი მეორედ აირჩიეს გუბერნატორის პოსტზე. გუბერნატორის პოსტზე თავის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად 2006 წლის 27 სექტემბრის განკარგულებას მიიჩნევს ენერგეტიკული, ნავთობმომპოვებელი და სამრეწველო საწარმოების მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე აირების რაოდენობის შეზღუდვის შესახებ.

არნოლდ შვარცენეგერმა 2020 წლისათვის კალიფორნიაში სათბურის გაზების გაფრქვევის მნიშვნელოვანი შეზღუდვა დაისახა მიზნად. ამ შეზღუდვას 1990 წლის მაჩვენებლების 25%-ისათვის უნდა მიეღწია.

კალიფორნია აშშ-ის 50 შტატიდან პირველი იყო, ვინც მავნე აირების გაფრქვევის შეზღუდვის თანამიმდევრული პროგრამა მიიღო.

არნოლდ შვარცენეგერმა გუბერნატორის პოსტი 2011 წლის 3 იანვარს დატოვა, არცთუ სასიხარულო ნოტით. აშშ-ის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული შტატი მძიმე ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობაში იმყოფება. ციხეები გადავსებულია, აშშ-ის ყველაზე ცნობილი ეროვნული პარკებიც კი მკაცრი ეკონომიის რეჟიმზე გადავიდნენ.

გუბერნატორის პოსტზე ყოფნის მიწურულს არნოლდ შვარცენეგერის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა, ხოლო ეთიკურმა კომიტეტმა „მოქალაქეები პასუხისმგებლობისა და ეთიკისათვის“ იგი კალიფორნიის 11 ყველაზე უხეირო გუბერნატორს შორის დაასახელა. ამ ჯგუფმა, სხვათა შორის, არნოლდ შვარცენეგერი შტატის და ფედერალური სახსრების პირადი მიზნებისათვის გამოყენებაში, პირადი სარგებლის მიღების მიზნით მეგობრული კავშირების დამყარებაში, გარდა ამისა, წამყვან პოსტებზე მეგობრების დანიშვნაში დაადანაშაულა.

გ.თ.

## kfvfpfl hjvufvjb.eht,jlt

კვება — ერთ-ერთი მთავარი ეტაპია სახის კანის მოვლისას. მკვებავი ნიღბები კი, რომლებიც დამზადებულია ნატურალური პროდუქტებისგან, კარგად ასრულებენ თავის წინ მდგარ ამოცანებს. მკვებავი ნიღბის გაკეთება რეკომენდებულია კვირაში ორჯერ. ალერგიული რეაქციები, სახის მცირეოდენი შესიება და ჭრილობები წარმოადგენენ უკუჩვენებებს. ნიღბებს სახეზე ისვამენ მასაჟური მოძრაობებით, გამორიცხულია მხოლოდ თვალის გარშემო ადგილები და ტუჩის მიდამოები. მკვებავი ნიღბის წასმის შემდეგ აუცილებელია მოდუნება და დაისვენეთ 15-20 წუთის განმავლობაში, ამ დროს შეგიძლიათ კარგსა და სასიამოვნო მუსიკას მოუსმინოთ. მანამ, სანამ ნიღაბს წაისვამთ, აუცილებელია მაკიაჟის მოშორება და სახის კანის საგულდაგულოდ გაწმენდა დაბანის სპეციალური საშუალებებით.



აი, როგორ მოქმედებს ხილისა და ბოსტნეულისაგან მომზადებული ნიღბები კანზე:

გარგარი — ამშვიდებს, გაღიზიანებას აქრობს;

ბადრიჯანი და ყაბაყი — აქრობს სიმშრალეს, ტენს მატებს;

მოცვი — ფორებს ავიწროებს და აჯანსაღებს;

ატამი — კანს უფრო გლუვს ხდის და არბილებს მას. ის განკუთვნილია მგრძნობიარე კანისათვის.

ჭერამი — ამშვიდებს გაღიზიანებულ სახეს და ამკვრივებს მას.

ყურძენი — ტენს მატებს და არბილებს;

ხენდრო, ჟოლო — ტენს მატებს, აჯანსაღებს;

ლიმონი — ფორებს ამცირებს, ოღონდ ლიმონის წვენს სხვა რამეც უნდა შევურიოთ, თორემ ძალიან ძლიერად მოქმედებს;

ალუბალი — ფორებს ამცირებს, აჯანსაღებს;

კიტრის ნიღაბი სასურველია გაკეთდეს დაღლილი, ჭკნობაშეპარული, განიერფორებიანი კანისათვის. ყველაზე იოლია კიტრი გავთალოთ და მისი კანები სახეზე დავიდოთ.

— კიტრის კანი შეიცავს განსაკუთრებით მეტ მკვებავ სუბსტანციას, ვიდრე კიტრის გული. კიტრის ნაფცქვენები დავიდოთ სახეზე, ზემოდან კი დავიდოთ ნოტიო ნაჭერი (შეგვიძლია კიტრის წვენში დავასველოთ). ნიღაბი გავიჩეროთ 20 წუთით. ნაფცქვენების ჩამოცილების შემდეგ სახე არ დავიბანოთ.

— ეს ნიღაბი აცოცხლებს კანს — კიტრი სახეხზე გავხეხოთ, მიღებული ფაფა დოლბანდზე დავაფინოთ და სახეზე დავიდოთ.

### *კიტრის ემულსია*

— 1 კიტრი გავხეხოთ და გავწუროთ, 1 ჩაის კოვზი ლანოლინი და 1 ჩაის კოვზი გახეხილი საპონი გავხსნათ მცირე რაოდენობის ანადუღარ წყალში, დავასხათ 1/4 ლიტრი არაყი და ავურიოთ ერთმანეთში. მასას დავუმატოთ კიტრის წვენი. ეს კარგია მშრალი კანისათვის.

— უნდა ავთქვიფოთ კვერცხის ცილა, შევურიოთ ორი კოვზი კიტრის წვენი და წავისვათ სახეზე. გავიჩეროთ 20 წუთი და ჩამოვიბანოთ.

— მინის ჭურჭელში, რომელსაც თავი კარგად ეხურება, ჩავასხათ 1 კვერცხის ცილა, 1 ჩაის კოვზი ნაღები და 1 ლიმონის წვენი, კარგად შევანჯღრიოთ და დავუმატოთ 200 გრამი არაყი. ეს ლოსიონი შესანიშნავი გამწმენდი საშუალება ნებისმიერი ტიპის კანისათვის.

სტაფილოს ნიღაბი კარგია ცხიმიანი, ფერისმჭამელებიანი, მკრთალი და ჭკნობაშეპარული კანისათვის.

— სტაფილო სახეხზე გავხეხოთ. თუ ძალიან წვნიანია დავუმატოთ ცოტა ტალკი და მიღებული სტაფილოს ფაფა წავისვათ სახეზე. შეგვიძლია დავუმატოთ გახეხილი ვაშლი, რომელიც კანს მეტ ტენს შეჰმატებს.

პამიდორის ნიღაბი კარგია განიერფორებიანი, ცხიმიანი კანისათვის. სახეზე დავიდოთ პამიდვრის ნაჭრები ან სახე გავიწმინდოთ პამიდვრის ნაჭრებით, 20 წუთის შემდეგ ჩამოვიბანოთ.

კარტოფილის ნიღაბი აქრობს დაღლილობას, ასწორებს ნაოჭებს.

— მოვხარშოთ კარტოფილი, ცხელ-ცხელი დავსრისოთ, დავუმატოთ ცოტა რძე და გავაგრილოთ, შემდეგ კი წავისვათ. გავიჩეროთ 20-25 წუთი და ჩამოვიბანოთ.



## dbcfwcfnfwehbe.dfhc

საქართველოში სატაცური ბევრს უყვარს. გთავაზობთ მისი მომზადების რამდენიმე რეცეპტს.

### *სატაცური ორცხობილათი*

მომზადების წესი: სატაცური — 1 კილოგრამი; გამდნარი ცხიმი — 1/2 ჩაის ჭიქა; დანაყილი ორცხობილა — 1/2 ჩაის ჭიქა; მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი: სატაცური მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით. მოვხრაკოთ ცხიმში დანაყილი ორცხობილა. მოხარშული სატაცური დავაწყოთ ლანგარზე და ზემოდან მოვასხათ წინასწარ მომზადებული ორცხობილა.

### *სატაცური საწებლით*

მასალად საჭიროა: სატაცური — 1 კილოგრამი; ცხიმი (კარაქი ან მარგარინი) — 1 სუფრის კოვზი; ნაღები ან რძე — 1/2 ჩაის ჭიქა; კვერცხი — 3-4 ცალი; შაქრის ფხვნილი — 1 ჩაის კოვზი; მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი: სატაცური მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით. ერთად წამოვადუღოთ ცხიმი, ნაღები ან რძე, ერთი ჩაის ჭიქა სატაცურის ნახარში და შემდეგ შევაგრილოთ. კვერცხის გული კარგად გავთქვიფოთ შაქრით, გავხსნათ ცოტა საწებლით, ჩავასხათ დანარჩენ საწებელში, დავადგათ, გავაცხელოთ და თან ვურიოთ, რომ არ აგვექრას. მოხარშული სატაცური მოვათავსოთ ლანგარზე და ზემოდან დავასხათ გამზადებული საწებელი.

### *სატაცური ტყემლით*

მასალად საჭიროა: სატაცური — 500 გრამი; ტყემალი — 1 ჩაის ჭიქა; ქინძი — 3 ძირი; ომბალო — 4 ძირი; კამა — 5 ძირი; ნიორი — 2-3 კბილი; წიწაკა და მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი: სატაცური მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით და წვენი გადავუწუროთ.

გადარჩეული, გარეცხილი ტყემალი ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ იმდენი წყალი, რომ ოდნავ ფარავდეს, დავდგათ ცეცხლზე და მოვხარშოთ. მოხარშული ტყემალი წვნიანად გადავიტანოთ თუშფალანგში და გავხეხოთ.

მოხარშული სატაცური ხის კოვზით ცოტა დავკეპოთ, დავუმატოთ გახეხილი ტყემალი, დანაყილი წიწაკა, ნიორი, წვრილად დაჭრილი ქინძი, ომბალო, კამა, მოვაყაროთ მარილი და ერთმანეთში კარგად ავურიოთ.

### *სატაცური ნიგვზით*

მასალად საჭიროა: სატაცური — 500 გრამი; ნიგოზი — 3/4 ჩაის ჭიქა; ხახვი — 2 თავი; ქინძი — 4 ღერი; ოხრახუში — 3-4 ძირი; კამა — 4 ღერი; ღვინის ძმარი, წიწაკა, ნიორი და მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი: სატაცური დავარჩიოთ, დავამტვრიოთ, გავრეცხოთ ცივ წყალში, მოვხარშოთ მარილწყალში და გადავწუროთ წვენი. ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, ქინძი (ერთი ძირი) და მარილი დავნაყოთ ერთად, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, კამა) და გავხსნათ ძმრით. მიღებულ ნიგვზიან მასალაში ავურიოთ კარგად მოხარშული სატაცური და მოვათავსოთ შესაფერ ჭურჭელზე.

### *სატაცური ნიგვზით (მეორენაირად)*

მასალად საჭიროა: სატაცური — 500 გრამი; ნიგოზი — 1/2-3/4 ჩაის ჭიქა; ნიორი — 1-2 კბილი; ქინძი — 2-3 ღერი; ღვინის ძმარი, წიწაკა და მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი: სატაცური დავარჩიოთ, დავამტვრიოთ, გავრეცხოთ ცივ წყალში, მოვხარშოთ მარილწყალში, შევაგრილოთ და გავწუროთ.

ნიგოზი, ნიორი, ქინძი (ორი ტოტი), წიწაკა და მარილი კარგად დავნაყოთ ერთად, გამოვხადოთ ზეთი და ჩავასხათ შესაფერ ჭურჭელში. დანაყილი ნიგოზი გავხსნათ ძმრით, შევურიოთ წინასწარ ცოტათი დაკეპილ, გაწურულ სატაცურს, მოვათავსოთ შესაფერ ჭურჭელზე და ზემოდან მოვასხათ ნიგვზის ზეთი.

### *სატაცური ხახვით*

მასალად საჭიროა: სატაცური — 1 კილოგრამი; ხახვი — 300-400 გრამი; ცხიმი — 150-200 გრამი; მწვანლი და მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი: სატაცური მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით. ქვაბში მოვათავსოთ ცხიმი, ჩავყაროთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მოვხრაკოთ. შემდეგ დავუმატოთ მოხარშული სატაცური, ცხიმი და მოვშუშოთ. თუ გვსურს, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

### *სატაცური მწვანილით*

მასალად საჭიროა: სატაცური — 1 კილოგრამი; ხახვი — 2-3 თავი; ცხიმი (კარაქი ან მარგარინი) — 100-150 გრამი; კვერცხი — 3-4 ცალი; რძე — 1/2 ჩაის ჭიქა; მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, კამა), წიწაკა და მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი: გადარჩეული, გარეცხილი და დატეხილი სატაცური მოვხარშოთ მარილწყალში. წვრილად დაჭრილი ხახვი მოვშუშოთ ცხიმში, შევურიოთ მოხარშული სატაცური და კიდევ მოვშუშოთ. შემდეგ დავუმატოთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, კამა), დანაყილი წიწაკა, ცხიმი და ავურიოთ. კვერცხი ავთქვიფოთ, შევურიოთ რძე, წვრილად დაჭრილი კამა და კვლავ ავთქვიფოთ. სატაცურს დავასხათ მომზადებული კვერცხი, შევუსწოროთ ზედაპირი, ქვაბს დავახუროთ სახურავი და ვშუშოთ, სანამ კვერცხი მომზადდება.

## სიყვარული ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა

დასაწყისი მე-16 გვერდზე

იყვნენ. ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს დოფამინის სისტემის გააქტიურება აღენიშნებოდათ, თუმცა დაუქორწინებელი შეყვარებულების თავის ტვინში მკაფიოდ გამოირკვეოდა ზონები, რომლებიც დაძაბულობაზე, აკვიატებულ იდეებზე, შფოთვაზე აგებდნენ პასუხს.

გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ხელიხელჩაკიდებული ყოფნა ან მოხვევა ჰორმონე ოქსიტოცინის გამოყოფას იწვევს, რაც ამცირებს სტრესის ჰორმონების ზეგავლენას, სისხლის წნევას, აუმჯობესებს განწყობას, ამცირებს ტკივილისადმი მგრძნობელობას. ეს შედეგები ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის მკვლევარებმა მიიღეს.

ოჰაიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა უფრო ადრეულ გამოკვლევებში დაადგინეს, რომ შეყვარებულობის გრძნობა ჭრილობების შეხორცებას უწყობს ხელს.

მათ საყურადღებოდ, ვინც გულისსწორის პოვნა ჯერ ვერ მოახერხა, უნდა იქვას, რომ მეგობრებთან ან ახლობელ ნათესავებთან ახლო ურთიერთობა და ძლიერი ემოციური კავშირი სასიყვარულო ურთიერთობის კომპენსირებას რამდენადმე მაინც ახდენს და 50%-ით ზრდის გადარჩენის შანსებს. უარყოფილი ადამიანი კი ავად შეიძლება გახდეს. ჯანმრთელობაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს განქორწინება.

გ.თ.

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო გამოხატავს ღრმა მწუხარებას ქ.გუდაუთის მე-3 საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, ღირსების ორდენის კავალერის

**ილია არქანიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება „კუს ტბა“ მწუხარებას გამოთქვამს ირაკლი კობიძის მამის

**გივი კობიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება „კუს ტბა“ მწუხარებას გამოთქვამს ნატო და ზურაბ კალანდარიშვილების დედის

**ეთერ კალანდარიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 3. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. ერთი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელიც მთლიანად გარშემორტყულია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიით; 7. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 13. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 15. აეროპორტი ვარშავაში; 16. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 18. კუნძული, სახელმწიფო კარიბის ზღვაში.

**თარაზულად:** 4. ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 6. ჯაშუშის ძველებური სახელწოდება; 8. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 10. ძველი სპარსული სალიტერატურო ენა; 11. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 12. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 14. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 17. ნაქსოვი ფეხსამოსი; 19. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 20. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის“ ავტორი; 21. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა; 22. ტვირთის დროებითი სათავსო ნავსადგურში, საბაჟოზე; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაჰარაჯა; 2. ოტიატრი; 3. ომანი; 4. პუშკინი; 5. სულგუნი; 10. ფეხბურთი; 11. მასპინძელი; 12. ჰიბრიდი; 15. დიოსკურია; 16. ფლინტი; 17. ვიმპელი; 20. პრუსი.

**თარაზულად:** 6. სანატორიუმი; 7. ნუსხური; 8. საიგაკი; 9. დაგერი; 13. ბიზე; 14. ყარაია; 18. ტრიკოტაჟი; 19. ბიაზი; 21. ურეკი; 22. მიზერი; 23. ნინოშვილი; 24. პლასტიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაიკერი; 2. ლიქიორი; 3. ეგეოსი; 4. შპრეე; 5. არსენალი; 7. მზე; 11. როკოკო; 15. არიფანა; 16. კომბლე; 17. ბადრო; 18. ესაძე; 20. რეალი; 22. კაპი.

**თარაზულად:** 6. ალუმი; 8. ქირურგი; 9. ბენთოსი; 10. კურიერი; 12. კასიო; 13. ებანი; 14. კლაკიორი; 19. სეინერი; 21. მაროკო; 23. სიამი; 24. წრიაპი; 25. ინსულტი; 26. ვესტერნი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 12 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7812

ევრო —2,4308

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,866

რუსული რუბლი — 0,0607

**ამინდის პროგნოზი 12 თებერვლისთვის**

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 6-§, ღამით — -3-4

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11-15, ღამით — 5-8

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -3-4, ღამით — -15-2







## ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

## უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


# გიორგი ცინცაძე მამა ხდება

საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი 7 თებერვალს 25 წლის გახდა და სულ მალე უძვირფასეს საჩუქარსაც მიიღებს: მისი მეუღლე, ნანა ცინცაძე, დღე-დღეზე შვილს ელოდება და ისინი ორივენი ვაჟუკაცის, ნიკოლოზ ცინცაძის მშობლები გახდებიან. გიორგი საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხასიათის მოთამაშეა. მისთვის მეტოქის ავტორიტეტს მნიშვნელობა არა აქვს. თუკი თამაშის იშტაზე იქნა, შეუძლია, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს თავბრუ დაახვიოს, თუმცა, თუკი თამაში აერია, კალაპოტიდან ვარდება. ასეა თუ ისე, გიორგი ცინცაძე ჩვენი ნაკრების შეუცვლელი მოთამაშეა და მკითხველიც ალბათ ინტერესით გაეცნობა მასთან ინტერვიუს, რომელიც კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— გიორგი, უამრავი კლუბი გამოიცვალეთ ტარტუს მერე და ახლა კვლავ ტარტუში ხართ. რას იტყვით, როგორ მოერგეთ ხელმეორედ „როკს" და რა სიტუაცია დაგხვდათ კლუბში?***

— კლუბში ახალი მოთამაშეები დამხვდნენ. სიტუაციაც შეცვლილია. მწვრთნელს სულ სხვანაირი ხედვა და ტაქტიკა აქვს, ვიდრე — ადრე. ზაფხულიდან ტრავმა გამომყვა, შემდეგ მეორე ფეხიც ვიტკინე, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ნელ-ნელა უკეთესობისკენ მივდივარ.

***— რამდენად დიდი სხვაობაა მაშინდელსა და ახლანდელ „როკს" შორის?***

— დიდი სხვაობაა. ადრე სხვა გუნდი იყო, გამოცდილი კალათბურთელები თამაშობდნენ, ახლა კი მეტი ახალგაზრდაა, რომლებიც უფრო მეტად ეიფორიულები არიან.

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# სიყვარული ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა

წმინდა ვალენტინის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევები მრავალ საინტერესო შედეგს აფიქსირებს. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, შეყვარებულობის გრძნობა სისხლის წნევის შემცირებას იწვევს, გარდა ამისა, ადამიანს დეპრესიისგან თავის დაღწევაში ეხმარება და ჭრილობების შეხორცებასაც კი უწყობს ხელს.

ბრიგამ იანგის უნივერსიტეტის ადიუნქტ პროფესორის, ჯულიან ჰოლტ-ლანგსტადის თქმით, სასიყვარულო ურთიერთობები ადამიანს სტრესებისაგან იცავენ, პარტნიორი ემოციურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, შეყვარებული ადამიანები მეტ ყურადღებას უთმობენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ვარჯიშს, სწორ კვებას.



ნიუ იორკის სტონი ბრუკის უნივერსიტეტის ფსიქოლოგს, არტურ არონი შეყვარებულობის სხვადასხვა სტადიაზე მყოფი ადამიანების თავის ტვინის სკანირებას ცდილობდა და სურდა გამოერკვია, თუ რა ზეგავლენას ახდენს შეყვარებული მდგომარეობა ჯანმრთელობაზე.

როგორც გაირკვა, შეყვარებული ადამიანის თავის ტვინში გამოიყოფა ნივთიერება დოფანიმინი, რომელიც ნერვული იმპულსების გადაცემას უწყობს ხელს. გარდა ამისა, იგი მოტივაციისა და სიამოვნების გრძნობებზეა პასუხისმგებელი.

არონმა 17 ადამიანის თავის ტვინის სკანირების შედეგები შეადარა ერთმანეთს. ერთი ჯგუფის წევრები 21 წლის განმავლობაში დაქორწინებულები, მეორე ჯგუფის წევრები ახლადშეყვარებულები, ოლონდ დაუქორწინებელნი

გაგრძელება მე-15 გვერდზე

# გესმით თუ არა ადამიანების

## ტესტი



1. მიგაჩნიათ, რომ მიმიკა და ჟესტები არის:

ა. სულიერი მდგომარეობის სპონტანური გამოვლინება. ბ. საუბრის დამატება. გ. ქვეცნობიერის გამოვლინება.

2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქალებში მიმიკა უფრო გამომსახველია, ვიდრე მამაკაცებში?

ა. დიახ. ბ. არა. გ. არ ვიცი.

3. როგორ ესალმებით მეგობრებს.

ა. გამარჯობას ეუბნებით. ბ. ხელს ართმევთ. გ. ეხვევით.

4. შეიძლება თუ არა მიმიკის გაკონტროლება?

ა. დიახ. ბ. არა. გ. მხოლოდ მისი ცალკეული ელემენტებისა.

5. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი ჟესტების უმეტესობა:

ა. ვიღაცისგან არის გადაღებული. ბ. თაობიდან თაობას გადაეცემა. გ. ბუნების მიერ არის განსაზღვრული.

6. თქვენი აზრით, წვერი არის:

ა. ვაჟკაცობის ნიშანი. ბ. სახის ნაკვთების დამალვის საშუალება. გ. სიზარმაცის ნიშანი.

7. ზოგი ამტკიცებს, რომ სახის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ერთმანეთისაგან განსხვავდება. იზიარებთ?

ა. დიახ. ბ. არა. გ. მხოლოდ ხანდაზმულებში.

8. თუ შეიძლება გარეგნობის მიხედვით ტიპური დამნაშავის ამოცნობა?

ა. დიახ. ბ. არა, გ. არ ვიცი.

9. მამაკაცი ქალს ესაუბრება. ამას იმიტომ აკეთებს, რომ:

ა. პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადადგას. ბ. ქალი ქვეცნობიერად ანიშნებს, რომ სურს გამოელაპარაკონ. გ. არ ეშინია უარის მიღებისა.

**პასუხები** *ა. 1 — ქულა ბ. 2 — ქულა გ. 3 — ქულა*

***9-15 ქულა:*** თქვენ შესანიშნავი ინტუიცია გაქვთ, ადამიანებისა შესანიშნავად გესმით, სიტყვებზე უფრო მეტად თქვენს ალღოს და დაკვირვებულობას ენდობით. ხანდახან თქვენი დასკვნები ნაჩქარევია და შეიძლება შეცდომა დაუშვათ.

***16-21 ქულა:*** გარკვეულ სიამოვნებას განიჭებთ სხვა ადამიანებზე დაკვირვება. კარგად ერკვევით მიმიკასა და ჟესტებში, მაგრამ ჯერ კარგად არ იცით მიღებული ინფორმაციის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.

***22-27 ქულა:*** ჟესტებისა და მიმიკის ენა თქვენთვის გაუგებარია. გიჭირთ ადამიანების სწორად შეფასება. არა იმიტომ, რომ ეს არ შეგიძლიათ, უბრალოდ, სათანადო ყურადღებას არ უთმობთ მათ.

# ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

**12 თებერვალი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — გელით კარგი ახალი ამბავი, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ახალი წამოწყება ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. **ღრიანკალი** — მეგობრების წრეში თავს კარგად იგრძნობთ, განიმუხტებით. **მშვილდოსანი** — იაქტიურეთ, თავის გამოჩენა არ გაწყენთ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მერწყული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**13 თებერვალი — შემოქმედებითი დღეა.**

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი კარგად იქნება. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **თხის რქა** — საქმიანი შეხვედრა გელით. **მერწყული** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **თევზები** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!



# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სკანდინავიური სახელწოდება; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ფრანგული კომედიური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 4. ირანის პარლამენტი; 5. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 10. მეფეთა რეზიდენცია მადრიდში; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. ტროპიკული ხილი; 15. ტროპიკებში გავრცელებული დიდი შხამიანი ობობა; 16. ბეღურასნაირთა ოჯახის ფრინველი; 17. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის; 20. ძილის მომგვრელი საშუალება.

**თარაზულად:** 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 7. თავად-აზნაურთა ტიტული ევროპაში; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 13. ლობიოს მსგავსი მარცვლეული მცენარე; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიცია; 19. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 21. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 23. სპაგეტის დასამზადებლად გამოყენებული იტალიური ყველი; 24. შტატი აშშ-ში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

# იუმორი



— თუ შეიძლება, ორი ასლი მინდა, ორ ეგზემპლარად.

— ოთხი ეგზემპლარი?

— არა, მაგრამ მინდა, რომ ორ ადამიანს ორ-ორი ასლი ჰქონდეს.

— ორჯერ ორი ხომ ოთხია.

— თქვენ უკეთ იცით...

***

პლაკატი სავაჭრო ფირმის ოფისში: „ჩვენი კლიენტი გონებაჩლუნგი, გაავებული პირუტყვია, რომელიც საწინააღმდეგოში უნდა დავარწმუნოთ".

***

— ჩემი კატა ჩემს საწოლში დაძინების ნებას დიდსულოვნად მრთავს, ოლონდ მხოლოდ ნაპირზე...

***

— ამ ბოლო დროს იმ ლამაზ ქალთან ერთად ველარ გხედავ.

— გათხოვდა.

— მართლა? ვის გაჰყვა?

— მე...